საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
30 ოქტომბერი - 5 ნოემბერი, 2019
№39 (510)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



**მეგობრების მოყვარული, კარგი მეოჯახე, უაღრესად განათლებული, პატრიოტი და თბილისელი «ხულიგანი»** 24

# პირდაპირი დარტყმა პრემიერზე და ირიბი — მეუფე შიოზე 2



- ახლა დასავლეთის დესტრუქციული ძალების მთავარი საზრუნავია, ამ შეხვედრამდე ან გახარია აღარ იყოს პრემიერი, ან მას, უბრალოდ, «არ ეცალოს» ასეთი დონის შეხვედრებისთვის
- შიოს დასახელებამ თანამოსაყდრედ ბევრს მოლოდინი და იმედები გაუცრუა და მთავარ სამიზნედ უკვე სწორედ მეუფე შიო იქცა



გულბაათ რცხილაძე:
**გათვლა კეთდება იმაზე, რომ შეიქმნას სამხედრო ბაზა ჯავახეთში და ამ ბაზას მოაყოლონ «დამხმარე სამოქალაქო პერსონალი»** 3

## ქართველი ექსპერტების სირ(ი)ული დასკვნები





5

## ხელისუფლებამ ლარის გამყარების საინტერესო გზა მოიფიქრა — მოსახლეობიდან ლარის ამოღება 6



## საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებში უკუღმართობის დასამკვიდრებლად 8



## აშშ-ის იუსტიციის მინისტრი ტრადიციული ფასეულობების სადარაჯოზე 11



## დასავლეთის კაპიტულაცია 24



ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხომ არ ჰგავს ეს ყველაფერი კარგად დაგეგმილ პროვოკაციას, რომელიც შესაბამის მომენტში უნდა აფეთქდეს და ღმერთის სახელით ცალკე ოპოზიცია და ცალკე ოპოზიციის მომხრე მეუფეები, რომლებსაც თვალს პატრიარქის ტახტის ელვარებაც უბრმავებს, მართლა ვა-ბანკზე წავიდნენ და ქვეყანაში სამოქალაქო ომი გააჩაღონ?! მით უმეტეს, კიდევ ვიმეორებთ, საპატრიარქოს არც მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლები მღვდელმთავრები უკვირს და არც საერო ცხოვრების დროს იარაღით მორბენალი მღვდლები.**

# პირდაპირი დარტყმა პრემიერზე და ირიბი — მეუფე შიოზე

**ეკლესიის გარშემო ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები პოლიტიკური პარტიების მკვლევარ ლევან ლორთქიფანიძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადებიდან ამონარიდით უნდა დავიწყოთ: „დღეს ეკლესია ასოცირდება მღვდელმთავართან, რომელიც მთვრალია და იგინება, იფურთხება, ილანძღება, ჭორაობს, იმუქრება და ბირჟაზე ჩაცუცქული, ძალადობაზე ორიენტირებული უსაქმურივით ლაპარაკობს. ეკლესია ასოცირდება მღვდელმთავართან, რომელიც აღფრთოვანებულია ახალაიების ოჯახის ჰუმანურობით, მაცხოვრის ხატის გვერდით ავტორიტარი პრეზიდენტის სურათის ჩამოკიდებას ამართლებს და დადიანების აგარაკზე ცხენებშებმული კაბრიოლეტით გადაადგილდება. ეკლესია ასოცირდება მღვდლებთან, რომლებიც მომღერალს ყელის კიბოს გაჩენას უსურვებენ და მეორე დღეს აბსოლუტურად ჩვეულებრივ მოვლენად ასაღებენ თავიანთ წყევლას. ეკლესია ასოცირდება მღვდლებთან, რომლებმაც თავიანთი უპასუხისმგებლობისა და უყურადღებობის გამო ცეცხლი წაუკიდეს და გამურეს, გაჭვარტლეს თამარის ფრესკა ვარძიაში. ეკლესია ასოცირდება მღვდლებთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბაგრატის ტაძრის „იუნესკოს“ სიიდან ამოშლას და უძველეს ნანგრევებზე არმატურის შველერების გადებას, ყინწვისის იატაკზე თურქული აბანოს მარმარილოს დაგებას და სხვა ვანდალურ აქტებს. ეკლესია ასოცირდება ისეთ ავაზაკებთან, როგორიც არის ვანო ჩხარტიშვილი. ეკლესია ასოცირდება ადამიანებთან, რომლებიც ნერწყვმორეული ელოდებიან ავადმყოფი, დასუსტებული მოხუცის სიკვდილს და ცოცხალი პატრიარქის ტახტს იყოფენ...“**







ძალიან რთულია, ამ ყველაფერს არ დაეთანხმო მაშინ, როცა დაიწყო გააფთრებული შეტევა ქვეყნის ყველაზე მაღალრეიტინგულ ინსტიტუტთან. ეკლესიას, მასირებული შტურმის მიუხედავად, ვერაფერი დააკლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მასთან ასოცირებულმა დასავლურმა არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორმა. პატრიარქის და, შესაბამისად, ეკლესიის ავტორიტეტი ურყევი იყო და ეს იყო სწორედ ის, რაც მოსვენებას უკარგავდა წინა ხელისუფლებას. როგორც ჩანს, **პატრიარქსა და ეკლესიასთან თავის გაიგივება არაერთმა მღვდელმთავარმა გადაწყვიტა, იფიქრა, რომ ამ ურყევი ავტორიტეტის მორგება ცუდი არ იქნებოდა და დაიწყო ბრძოლა არამარტო საკუთარი კეთილდღეობისთვის, არამედ ქვეყნისა და პატრიარქის წინააღმდეგ.**

მოდი, ყველამ ვაღიაროთ, რომ ხანდაზმული და ჯანმრთელობაშერყეული პატრიარქი ყველაზე კარგად ხვდება დღეს არსებულ სიტუაციას. უფრო ზუსტად, ის მიხვდა იმაზე ადრე, ვიდრე ერი გაიღვიძებდა და ამიტომ თანამოსაყდრედ დაასახელა **მეუფე შიო**, მღვდელმთავარი, რომელიც თითქოს არასდროს ჩანდა, არასდროს გახვეულა რაიმე ხმაურიან გარიგებასა თუ სკანდალში და ეს თითქოს პატრიარქის ფარული იარაღი აღმოჩნდა. **თანამოსაყდრედ შიოს დასახელებამ ბევრს მოლოდინი და იმედები გაუცრუა და მთავარ სამიზნედ უკვე სწორედ მეუფე შიო იქცა. რაც მთავარია, მეუფე შიოს დასახელებამ შოკში ჩააგდო დასავლეთი, რადგან ის გახლდათ მღვდელმთავარი, რომელთანაც კავშირზე არ იყვნენ, რომელსაც ატალახებული არ ჰქონდა ამერიკის უმაღლესი ინსტიტუტების კარი, რომელიც არ ითხოვდა მოწყალებას თანამდებობის სახით და სანაცვლოდ არ მიდიოდა რაიმე გარიგებაზე. ასე იქცა მეუფე შიო სასურველი თანამოსაყდრიდან მიუღებელ მღვდელმთავრად და მთავარ სამიზნედ.**

პრემიერის შეცვლის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ **გიორგი გახარია** ისეთი ხისტი არ იქნებოდა საგარეო ურთიერთობებში, როგორც მისი წინამორბედი, არც მუხლებს გადაიტყავებდა დასავლეთში სირბილით. მან ჯერ მეზობელი ქვეყნები მოიარა, შეეცადა, პოზიციები რეგიონში გაემყარებინა და არა დასავლეთში. მეზობლად კი რუსეთიც არის და **ზალკანიან-ლავროვის** შეხვედრის შემდეგ, **ცხადია, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, შორს არც ქვეყნების პირველი პირების შეხვედრაა. შესაძლებლობა იმისა, რომ გახარია ვლადიმერ პუტინს შეხვდეს, ძალიან დიდია და შვეიცარიულმა მხარემ უკვე აღიარა, რომ აღნიშნული შეხვედრის შესაძლებლობასაც განიხილავს და აქტიურადაც ჩაერთვება მის მომზადებაში ორმხრივი მზაობის პირობებში. კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, გახარია-პუტინის შეხვედრა ზამთარში შვეიცარიის კურორტ დავოსში გასამართ ეკონომიკურ ფორუმზე იგეგმება** და ახლა დასავლეთის დესტრუქციული ძალების მთავარი საზრუნავია, ამ შეხვედრამდე ან გახარია აღარ იყოს პრემიერი, ან მას, უბრალოდ, „არ ეცალოს“ ასეთი დონის შეხვედრებისთვის. შედეგად, მეუფე იაკობის განცხადება, რომელმაც ყველა ააფორიაქა, ერთი გასროლით ორ კურდღელზე მონადირე ადამიანის ნათქვამს ჰგავს — **ეს არის პირდაპირი დარტყმა პრემიერზე და ირიბი დარტყმა მეუფე შიოზე.**

ისევ გახარიასა და მისი მისამართით გაკეთებულ განცხადებას დავუბრუნდეთ. პრემიერმა კი თქვა, ასეთი შეხვედრა არ ყოფილა და არ ვადასტურებ, მოსმენილით შოკირებული ვარო, მაგრამ **სხვებს, ხსენებული შეხვედრის სხვა მონაწილეებს, კრინტი არ დაუძრავთ. არადა, ვალდებული იყვნენ (სწორედ ვალდებული), გამოსულიყვნენ და ან დაედასტურებინათ ასეთი შეხვედრა, ან უარეყოთ, თუმცა, როგორც სჩვევიათ, პირში წყალი ჩაიგუბეს და ამით ისედაც ამღვრეული წყალი კიდევ უფრო აიმღვრა.**

მეუფე იაკობი პატრიარქის ქორეპისკოპოსობიდან გადადგა და მის გადადგომას ხელი თვითონ პატრიარქმა მოაწერა. ამ ხელმოწერით დადასტურდა, რომ პატრიარქს მეუფე იაკობის აღარ სჯერა, რადგან, სხვაგვარად რომ ყოფილიყო, არ არსებობს ძალა, რომელიც მას აიძულებდა, იაკობი თანამდებობიდან დაეთხოვა. ეს ყველაზე კარგად სწორედ მეუფე იაკობმა იცის და გადადგომის თაობაზე განცხადების დაწერაც მისი მხრიდან ვა-ბანკზე წასვლა გვგონია. მისი განცხადება პატრიარქს რომ არ დაეკმაყოფილებინა, მაშინ მეუფე გამოვიდოდა, ამ განცხადებას ააფრიალებდა და ეს იქნებოდა არაპირდაპირი, მაგრამ უეჭველი დასტური იმისა, რომ მეუფე იაკობის განცხადებებს უწმინდესი და უნეტარესი ეთანხმებოდა.

**ეს ყველაფერი ძალიან კარგად დაწერილ სცენარს ჰგავს და ეჭვი გვაქვს, სცენარი იქ დაიწერა, სადაც ბოლო ხანს რამდენჯერმე იმყოფებოდა მეუფე იაკობი, გარანტიებიც მიიღო, სავარაუდოდ, ერთგულების ფიციც დადო და — როცა მოლოდინი გაუცრუვდა, იქიდან მწვანე შუქი აუნთეს და ტახტისთვის ბრძოლაც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.**

ეს არის გადამწყვეტი შეტევა ეკლესიაზე და, თუ ახლა დამარცხდება ეკლესია, გამოვა, რომ არც ისეთი მყარი ყოფილა, როგორიც წლების განმავლობაში გვეჩვენებოდა. ფაქტია, უკვე ითქვა, შესაძლოა, პატრიარქი გადადგესო და ახლა, ამ ვითარებაში გადადგომა ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ტახტის მემკვიდრე აუცილებლად თანამოსაყდრე გახდება. **თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ გახარიას გაპრემიერების შემთხვევაში მეუფე იაკობი, პრაქტიკულად, რევოლუციითა და პრემიერის დამხობით (მისი სიტყვებია) იმუქრებოდა, ამის მცდელობა აუცილებლად იქნება. რაც მთავარია, ხელისუფლების დამხობა მისთვის უცხო არ არის, ერისკაცობაში მხედრიონელი და ავტომატით მორბენალი მეუფე ბევრს ახსოვს და ამის დავიწყება ძნელია. არ გვახსოვს ოღონდ მისი მონანიება წარსული საქციელის გამო.**

თითოეულ მეუფეს მრავალათასიანი მრევლი ჰყავს და ამ **მრევლს მეუფის ბრმად სჯერა. ჰო, ბრმად სჯერა მისი სიტყვების და არის ვინმე იმის გარანტი, რომ ბოდბელი ეპისკოპოსი თავის სამწყსოს თბილისისკენ არ წამოუძღვება გახარიას დამხობის მოთხოვნით და აქეთ კიდევ ოპოზიცია არ შეეცდება რევოლუციური სცენარის სათავისოდ მოტრიალებას? თუ ვინმეს შემთხვევითი ჰგონია ის, რომ ბოლო პერიოდში ცალკე მიხეილ სააკაშვილმა და ცალკე გიგა ბოკერიამ აქტიურად დაიწყეს საუბარი ღმერთზე და ლამის მეტანიები აკეთეს პირდაპირ ეთერში?** ხომ არ ჰგავს ეს ყველაფერი კარგად დაგეგმილ პროვოკაციას, რომელიც შესაბამის მომენტში უნდა აფეთქდეს და ღმერთის სახელით ცალკე ოპოზიცია და ცალკე ოპოზიციის მომხრე მეუფეები, რომლებსაც თვალს პატრიარქის ტახტის ელვარებაც უბრმავებს, მართლა ვა-ბანკზე წავიდნენ და ქვეყანაში სამოქალაქო ომი გააჩაღონ?! მითუმეტეს, კიდევ ვიმეორებთ, საპატრიარქოს არც მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლები მღვდელმთავრები უკვირს და არც საერო ცხოვრების დროს იარაღით მორბენალი მღვდლები.

როცა მეუფე შიოს ხელმძღვანელობით სოლიდური დელეგაცია გაემგზავრა ამერიკაში, მეუფე იაკობი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თანამოსაყდრეს მხარდამჭერები ოკეანის გაღმაც გამოუჩნდა და ვაბანკზე წავიდა. ხომ ცხადზე ცხადია, გაწონასწორებულსა და თავდაჭერილ შიოს ძია სემი მიზეზს ვერ მოუძებნის, ვერ აიძულებს პატრიარქის წინააღმდეგ იბრძოლოს და იძულებულნი იქნებიან, ყველაფერი მიიღონ ისე, როგორც არის. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ **არ გაჩერდება მეუფე იაკობი, არ გაჩერდებიან სხვებიც, მიუხედავად იმისა, რომ მეუფე იაკობი და მეუფე პეტრე ბოლო მომენტამდე უახლოეს მეგობრებად ითვლებოდნენ — მეუფე პეტრემ აკურთხა მღვდლად მეუფე იაკობი და მის დაწინაურებასაც შეუწყო ხელი.**

მეუფე იაკობი 2012 წლის 4 დეკემბერს აკურთხეს დიაკვნად, ორ თვეში კი მღვდელი გახდა. შესაძლოა, ბევრმა არც ის იცოდეს, რომ მთავარეპისკოპოსის ტიტული მეუფე იაკობმა მიმდინარე წლის 9 ივნისს მიიღო და მაშინ ეს ამბავი არავის უთქვამს. ახლა კი ის სწორედ მთავარეპისკოპოსის სახელით გვესაუბრება და ამას საუბარიც არ ჰქვია — ის რევოლუციითა და კონკრეტული ადამიანის თავის მოჭრით იმუქრება; თანაც ამბობს, რომ მუქარას აუცილებლად შეასრულებს.

და კიდევ: მეუფე იაკობი **ბიძინა ივანიშვილის** მოძღვარიც იყო და, — თუ ბატონ ბიძინას აღსარება აქვს ნათქვამი მისთვის...

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. თუ ეს ყბადაღებული შეხვედრა მართლაც შედგა და ხელისუფლებამ მართლაც მოითხოვა პატრიარქის გადადგომა, გამოდის, რომ ისინი ღმერთის საქმეში აპირებდნენ ჩარევას. ღმერთის გადაწყვეტილებებში ჩარევა ზნედაცემულმა ანგელოზმა სცადა და რითაც დამთავრდა ეს, ცნობილია. დავიჯეროთ, რომ ხელისუფლება სატანის გზას დაადგა? არა, არ გვინდა ამის დაჯერება!**

„რეალობა კომიკურია. ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ისევ ვითომ პროდასავლური „ლიბერალური“ სუბიექტები ადგენენ და ეს ძალები კარნახობენ მმართველ გუნდს ყველაფერს. ხელისუფლება, მართალია, ცდილობს, ეს არ შეიმჩნიოს, მაგრამ გარკვეულ პოლიტიკურ კომპლექსებს ყველა ხედავს“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გულბაათ რცხილაძე: გათვლა კეთდება იმაზე, რომ შეიქმნას სამხედრო ბაზა ჯავახეთში და ამ ბაზას მოაყოლონ «დამხმარე სამოქალაქო პერსონალი»

**რამდენიმე დღის წინათ ამერიკელი მკვლევარისა და ანალიტიკოსის — ლუკ კოფის იდეას სირიიდან გამოსული ამერიკული ჯარის საქართველოში განთავსების შესახებ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იდეა არ არის ვაშინგტონის ოფიციალური პოზიცია, კამათი საკითხის გარშემო კვლავ გრძელდება. კერძოდ, პოლიტიკური სუბიექტების ნაწილი (რესპუბლიკური პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და სხვ.) მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ კოფის განცხადების კვალდაკვალ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, რათა ამერიკული ჯარის თუნდაც მცირე ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდეს. ეს ნაბიჯი რეგიონში (და არა მხოლოდ რეგიონში) საქართველოს უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად გაამყარებს; ხოლო სტაბილურობის თვალსაზრისით უფრო მეტ გარანტიებს გააჩენს ქვეყნის მიმართ. მიუხედავად ამ მკვეთრი გზავნილებისა და განცხადებებისა, ხელისუფლების წარმომადგენლები შეფასებებს არ აკეთებენ, რაც აშკარაა, რომ პოლიტიკურ სპექტრში გარკვეულ დაძაბულობას ქმნის. ოფიციალური პირები თავს არიდებენ პასუხს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობენ ამერიკელი მკვლევარის მიერ წამოყენებულ იდეაზე... რას ნიშნავს საქართველოსთვის ლუკ კოფის განცხადება და რა მიზანს ემსახურება სინამდვილეში მსგავსი პოლიტიკური გზავნილები? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, ლუკ კოფის განცხადებამ, რომლის თანახმად, თურმე კარგი იქნება, თუ სირიიდან გამოსული ამერიკული ჯარები საქართველოში განთავსდებიან, ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთობ ააფორიაქა. ზოგი მიიჩნევს, რომ საქართველომ ეს „შესაძლებლობა“ ხელიდან არ უნდა გაუშვას; ზოგი პირიქით — სკეპტიკურად უყურებს ამ ინიციატივას. რა მიზანს ემსახურება რეალურად ეს ყველაფერი?**

— ვფიქრობ, გასაკვირი არ არის, რომ ამ განცხადებამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია, მაგრამ უფრო საინტერესო და საყურადღებო მაინც სხვა რამაა. პირველ რიგში, მოდი, ვთქვათ, ვინ არის **ლუკ კოფი.** ეს კაცი ან არასერიოზულია და ექსპერტობასა თუ ანალიტიკოსობასთან საერთოდ კავშირი არ აქვს, ან ამ ყველაფრის უკან დგას სრულიად სხვა რამ. რას ვგულისხმობ: პირველი და უმთავრესი — გათვლა, ალბათ, კეთდება პოლიტიკური ტემპერატურის აწევაზე. როგორც ჩანს, არის ისევ გარკვეული ინტერესი და მცდელობები, რომ საქართველოს კვლავ ჰქონდეს აქტიური დესტრუქციული როლი რუსეთის და არა მხოლოდ მის წინააღმდეგ. ეს ერთი. ახლა მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი, რაც გაავრცელა საინფორმაციო სააგენტო „ნიუსფრონტმა“: არიან გავლენიანი ადამიანები, მათ შორის, ლუკ კოფის გარემოცვაში, რომლებსაც აქვთ თავიანთი კონკრეტული ინტერესები. აქ საუბარია დიდი ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლებზე, ერთ-ერთი მათგანია სომხური ლობი.

**— რა კავშირი აქვს ამ ლობისა და ბიზნესსტრუქტურებს კოფის იდეასთან?**

— მოგახსენებთ. არის, მაგალითად, ასეთი პიროვნება — **ნერსი ნაზარი,** იგივე **ნერსეს ნაზარიანი,** რომელიც ამერიკის სომხური დიასპორის მძლავრი ფინანსური წარმომადგენელია. ეს ადამიანი თანადამაარსებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელია კომპანიისა Vital Connect. Inc, რომელიც, თავის მხრივ, სახელგანთქმულ Silicon Valley-ში ფუნქციობს და საკმაოდ წარმატებითაც. სავარაუდოდ, **სწორედ ამ პიროვნებამ ჩააწვეთა ლუკ კოფის იდეა, რომ ამერიკის სამხედრო ბაზა გაჩნდეს ჯავახეთში. რატომ? იმიტომ, რომ იქ მოხდეს სირიელი სომხების შემოყვანა და დასახლება.** ოფიციალური მონაცემებით, დღეს სომხეთს 22 ათასი სირიელი სომეხი აფარებს თავს. **გათვლა კეთდება იმაზე, რომ შეიქმნას სამხედრო ბაზა ჯავახეთში და ამ ბაზას მოაყოლონ „დამხმარე სამოქალაქო პერსონალი“.** საერთოდ, სომხეთის ნაციონალისტურ ძალებს და, მათ შორის, მათ გავლენიან ამერიკულ ლობისაც ძალიან აშფოთებს ის, რომ ბოლო პერიოდში ჯავახეთი სიღარიბის გამო ბევრმა სომეხმა მოქალაქემ დატოვა. მათი დიდი ნაწილი რუსეთში წავიდა, ნაწილი სხვა — ქვეყნებში და ამან, ბუნებრივია, **რეგიონში გარკვეულწილად შეცვალა დემოგრაფიული სურათი. აი, ამ დემოგრაფიული დანაკლისის შევსებაზე მიდის დღეს, როგორც ჩანს, აქტიური მუშაობა და ამ პროცესში სერიოზული ძალებია ჩართული.** კიდევ ვიმეორებ: ამ ვერსიას ავრცელებს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსფრონტი“ და მასალაში ეს ყველაფერი გამყარებულია კონკრეტული არგუმენტებით, რომლებსაც შესაბამისი ბმულები ერთვის. თუ ვინმეს დააინტერესებს, შეუძლია, გადაამოწმოს. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ეს ვერსია ყურადსაღებია.

«სომხეთის ნაციონალისტურ ძალებსა და მათ გავლენიან ამერიკულ ლობისაც ძალიან აშფოთებს ის, რომ ბოლო პერიოდში ჯავახეთი სიღარიბის გამო ბევრმა სომეხმა მოქალაქემ დატოვა»

**— კოფის განცხადება ბევრმა შეაფასა ერთგვარ პოლიტიკურ პროვოკაციად, რომლის მიღმაც ნაკლებ სავარაუდოა, რეალური გეგმა იდგეს.**

— ცხადია, ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ, თუ ეს პროვოკაციაზე მეტია, მაშინ მას სხვა უფრო რეალური ახსნა არ აქვს, გარდა იმისა, რაც გითხარით საინფორმაციო სააგენტოზე დაყრდნობით.

რაც შეეხება ამ ყველაფრის შესაძლო გავლენას რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, ცხადია, ეს ყველაფერი გამოწვევაა არა მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის, არამედ თურქეთის მიმართაც, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, თურქეთი დღეს სხვა პოლიტიკას ატარებს რუსეთისა და ირანის მიმართ. საერთოდ, მსგავს პროვოკაციულ განცხადებებს, თუნდაც მის მიღმა არ იდგეს რამე კონკრეტული მოქმედების გეგმა, შეუძლია ბევრი რამ შეცვალოს რეგიონში. ეს კარგად ესმით დასავლეთში და შესაძლოა, სწორედ ამ პოლიტიკურ რყევებზეა გათვლილი, ამიტომ არის საჭირო ხელისუფლების მხრიდან დროული და ადეკვატური რეაგირება ყველა ასეთ გამოვლინებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ დღეს ასეთ რეაქციას ჩვენი პოლიტიკური ელიტისგან. პირიქით, ხელისუფლება გაჩუმებულია, თითქოს არაფერი ხდება. არ ვამბობ, რომ ამ ერთი კონკრეტული განცხადებით ქვეყანა დაიქცა, მაგრამ, როცა ამხელა აჟიოტაჟია, თუნდაც ხელოვნურად ატეხილი, პოზიციის გამოხატვა აუცილებელია...

«ვინ არის დღეს იდიოტის მდგომარეობაში: აზერბაიჯანი, რომელსაც აქვს ბალანსის პოლიტიკა, გვედავება ტერიტორიებს და წარმატებითაც; სომხეთი, რომელიც, მართალია, თურქეთთან არ არის ნორმალურ ურთიერთობაში, მაგრამ რუსეთის მოკავშირეა და ამით ასევე კარგად ახერხებს ბალანსის შენარჩუნებას, თუ ჩვენ?»

**— რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან პოზიციის გამოხატვისგან თავის შეკავება?**

— ეს დუმილი იმაზე მეტყველებს, რომ დაშინებული ხელისუფლება გვყავს და მას არ შეუძლია თავისი პოზიციის გამოხატვა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მისასალმებელია უშიშროების ახალდანიშნული მინისტრის, **ღილუაშვილის,** განცხადება რუსულ-ქართულ ურთიერთობებსა და გარკვეულ პოლიტიკურ ფობიებზე. მოგეხსენებათ, ერთ-ერთ ინტერვიუში მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ფობიებს და რომ რუსოფობია არაფერში გამოგვადგებაო. სხვათა შორის, იმავე გამოსვლაში მან დაგმო ქუთაისში გავეშებული ბრბოს მიერ ვითომ ოკუპაციის გაპროტესტების მიზნით სპექტაკლის ჩაშლის მცდელობა. რა შუაშია ოკუპაცია, ჩამოსული იყო პეტერბურგის თეატრი და მიდიოდა წარმოდგენა. ვფიქრობ, ეს განცხადება მიუთითებს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დღევანდელ ხელისუფლებაშიც არიან ცალკეული სუბიექტები, რომლებიც საღად აზროვნებენ და ადეკვატურად აფასებენ მიმდინარე პროცესებს.

რაც შეეხება ქმედებებს და რეალურ პოლიტიკას, მიუხედავად შიგადაშიგ გაკეთებული საღი შეფასებებისა, რეალობა კომიკურია: **ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ისევ ვითომ პროდასავლური „ლიბერალური“ სუბიექტები ადგენენ და ეს ძალები კარნახობენ მმართველ გუნდს ყველაფერს.** ხელისუფლება, მართალია, ცდილობს, ეს არ შეიმჩნიოს, მაგრამ გარკვეულ პოლიტიკურ კომპლექსებს ყველა ხედავს. ყველა ხვდება, რომ „ოცნება“ თავისი ლიდერებით ერთგვარი პოლიტიკური კომპლექსების ტყვეობაშია.

**— რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასა და ბოლო პერიოდში გაღრმავებულ თანამშრომლობაზეც გკითხავთ. გარკვეული პოლიტიკური ძალები საქართველოში ამბობენ, რომ ეს პროცესი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისთვის, საქართველოს მნიშვნელობას ზრდის... რეალურია ეს შეფასება?**

— ყველაფერი პირიქითაა. თუ თურქეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდება, ეს დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობას შეამცირებს. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთი არის საქართველოსთვის სწორედ დასავლეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი და ყველაზე რეალური გზა... გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ შავ ზღვაში, რომლის აკვატორიაშიც „თეთრი სახლი“ ძალიან ცდილობს გავლენის გაძლიერებას, რუსეთი და თურქეთი არიან დომინანტები. მეტსაც გეტყვით, **ამ ორ ქვეყანასთან შეთანხმების გარეშე შავი ზღვა, ზღვა კი არა, არის ტბა და ვერც ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალები აქ ცხვირს ვერ შემოყოფს. სხვათა შორის, თურქეთი დღეს სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებს აფხაზეთში და განსაკუთრებით ტყვარჩელში,** განსხვავებით **შევარდნაძის** პერიოდისგან, როდესაც ბატონი **ვალერი ჩხეიძე** იყო სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და თურქულ თევზსაჭერ სეინერებს აკავებდნენ ჩვენს აკვატორიაში. მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით — **სააკაშვილმა,** ფაქტობრივად, გაანადგურა საზღვაო ძალები და სასაზღვრო კონტროლის ყველანაირი მექანიზმი მოშალა, მაგრამ ამაზე დღეს არავინ საუბრობს, საუბრობენ იმაზე, რომ **თურმე ამერიკის დაძაბული ურთიერთობა ოფიციალურ ანკარასთან ჩვენთვის კარგია. რა არის კარგი და რა — არა, პროცესები გვიჩვენებს,** მაგრამ ერთი შეკითხვა მიჩნდება: **ვინ არის დღეს იდიოტის მდგომარეობაში — აზერბაიჯანი, რომელსაც აქვს ბალანსის პოლიტიკა, გვედავება ტერიტორიებს და წარმატებითაც; სომხეთი, რომელიც, მართალია, თურქეთთან არ არის ნორმალურ ურთიერთობაში, მაგრამ რუსეთის მოკავშირეა და ამით ასევე კარგად ახერხებს ბალანსის შენარჩუნებას, თუ ჩვენ?** პასუხი, მგონი, ერთმნიშვნელოვანია — ბოლო 15-20 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა ხელისუფლებამ „მოახერხა“ ის, რომ ქვეყანას ყველა მიმართულებით განეცადა კრახი, დაეთმო ყველაფერი და სანაცვლოდ არაფერი მიეღო. აი, ეს პოლიტიკა გრძელდება დღესაც და ვფიქრობ, ამ პირობებში კარგის მოლოდინის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს.

რაც შეეხება ისევ კოფის განცხადებას, არ მიმაჩნია, რომ ამ განცხადებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ხელისუფლება სირაქლემის პოზაში კი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა ხედავს, რომ ამ თემით ისეთი დესტრუქციული ძალები (როგორიცაა, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი სუბიექტები) სარგებლობენ, არამედ უნდა გამოვიდეს და გააკეთოს განცხადება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას უნდა ეთქვა, რომ ეს საკითხი არ განიხილება, იმიტომ, რომ კოფი არ არის ოფიციალური პირი და მისი ინიციატივა არ შეიძლება აღვიქვათ რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკად.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენისთანა პატარა ქვეყნის თანაბარუფლებიანი მოკავშირეობა ნებისმიერ დიდ ქვეყანასთან გამორიცხულია, თუნდაც ეს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერია იყოს, რომ არაფერი ვთქვათ აშშ-ის იმპერიაზე, რომელთან სტრატეგიულ მოკავშირეობაზე თავს დებდა და დებს პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-თან თანასწორუფლებიანი მოკავშირეობის ილუზორულობა თვით ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე, რომ იტყვიან, ზედაპირზე დევს — აშშ-თან თანასწორ საუბარს დიდი შვიდეულის ქვეყნებიც ვერ ბედავენ და, აბა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რა სახსენებელია?!**

# საქართველოს, სტრატეგიული მოკავშირე კი არა, ძლიერი მფარველი სჭირდება!

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული ჩვენთვის უფრორა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან — დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“.**



**თუ მაშინ მტრის მახვილისგან გველოდა განადგურება, ახლა სიკვდილიანობა უსწრებს შობადობას, ხოლო ქართველები, რომლებსაც საშუალება აქვს, საქართველოდან უკანმოუხედავად გარბიან და მათ ადგილს უკანონო თუ კანონიერი მიგრანტები იკავებენ; მაშინ, ისლამიზაციის საფრთხიდან გამომდინარე, თუ გვემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის, ქართველობის, მართლმადიდებლობის დაკარგვა, მოკლედ, გადაგვარება-გადაჯიშება, ახლა იმავეს ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების კამუფლაჟით ტოტალური ლგბტ-ზაცია გვიქადის...**

ეს არის ამონარიდი წერილიდან, რომელიც **ილია ჭავჭავაძემ** 1898 წელს მისწერა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორ **სერაფიმეს.**

ამონარდი, რომელიც ადრეც გამომიყენებია ჩემს სტატიებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესაც მივმართე უდიდესი ქართველის ნააზრევს და წინამდებარე წერილს ერთგვარ ეპიგრაფად წარვუმძღვარე, რადგან მიმაჩნია, რომ დიდი ილიას გულიდან ამონახეთქი ზედმიწევნით ეხმაურება სტატიის სათაურის პათოსს, დღევანდელ საგანგაშო ვითარებას, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

საქართველოს უგვირგვინო მეფის ზემოთ მოყვანილი წერილის მოკლე შინაარსი კიდევ უფრო მოკლე რიტორიკული კითხვა-პასუხით შეიძლება გადმოვცეთ — **რუსეთს უფრო სჭირდება საქართველო თუ პირიქით — საქართველოს რუსეთი?**

ამ კითხვაზე პასუხი დიდი ილიასთვის ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა, საქართველოს — რუსეთი!

მაგრამ, რაც XIX საუკუნის ბოლოს ილიასთვის აქსიომა იყო, XXI საუკუნის დასაწყისში არაფერს ნიშნავს საქართველოს შეუგნებელი ურაპატრიოტების ან უფრო უარესი — შეგნებული დემაგოგებისთვის, რომლებიც „რკინისებური“ არგუმენტით — „მაშინ სხვა დრო იყო“, ცდილობენ ილიას აზრის გაბათილებას...

ჰოდა, სიტყვამ მოიტანა და მცირე ისტორიული ექსკურსი არა მხოლოდ კონკრეტულად ილიას პერიოდში, არამედ უფრო შორეულ „სხვა დროში“, რათა უკეთ გავიგოთ ის, რაც და რატომაც გვჭირს ქართველებს დღეს:

ქართველთა სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის პირველ ორ მესამედს **„გადავახტები“, რადგან წერილის მთავარი თემის გასაშლელად ბოლო, დაახლოებით 10 საუკუნე იკმარებს და ამიტომ „სხვა დროში“ ექსკურსს ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიიდან დავიწყებ,** იმ დროიდან, როდესაც ქართულმა სახელმწიფომ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად (თუ ჯერჯერობით კი არა, საერთოდ, უკანასკნელად) მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა.

ამ ბედნიერმა ხანამ (რომელსაც ოქროს ხანასაც უწოდებენ), როდესაც ქართველთა მიერ შექმნილი კავკასიის იმპერია, დიდების, ძლევამოსილების ზენიტში მყოფი, სრულიად ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაშიც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა. ამ პერიოდმა ერთმანეთის მიყოლებით, უწყვეტად, სულ რაღაც, 120 წელიწადი, **დავით აღმაშენებლიდან ლაშა გიორგიმდე** გასტანა.

მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით **გიორგი ბრწყინვალეს** მართლაც ბრწყინვალე, მაგრამ ეპიზოდურ გამონათებას, **ლენგ-თემურის** ველური ურდოების შემოსევის შედეგად საქართველოში „დიდი ღამის“ წყვდიადი ჩამოწვა.

მას შემდეგ, ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვინღა ჩიოდა, ქართველი ერი ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძოდა.

ქართველი ერის ყოფნა-არ ყოფნა განსაკუთრებით რეალური საფრთხის წინაშე იმ დროიდან აღმოჩნდა, როდესაც 1555 წელს, ამასიის ზავის შედეგად საქართველო ოსმალოს სცილასა და ქარიბდას შორის მოექცა.

გმირი ქართველი მეფენი უკეთეს შემთხვევაში რის ვაივაგლახით, ლავირება-დიპლომატიის საშუალებით ახერხებდნენ თავიანთ სამეფოებში მშვიდობის შენარჩუნებას; უარესში კი სიცოცხლის ფასად — მსოფლიოს არც ერთ სამეფო დინასტიას იმდენი წმინდანად შერაცხილი მეფე არ ჰყავს, რამდენიც **ბაგრატოვნებს,** მაგრამ ხშირად აღარც სიცოცხლის გაწირვა შველოდა საქმეს — **შაჰ აბასის შემოსევებმა გაანადგურა ქართლ-კახეთი; დასავლეთ საქართველოს ოსმალო-თურქები აწიოკებდნენ; ლეკიანობა, ტყვეთა სყიდვა და ათასი ჯანდაბა თუ დოზანა, რომლებმაც ცალ-ცალკე და ყველაფერმა ერთად XVIII საუკუნის ბოლოს ამიერ-იმიერი საქართველო ფიზიკური მოსპობის რეალური პერსპექტივის წინაშე დააყენა — იმ დროს, როდესაც ქართლ-კახეთი მიიერთა რუსეთის იმპერიამ, სრულიად საქართველოს მოსახლეობა 450-500 ათას კაცს არ აღემატებოდა.**

და ეს მაშინ, როდესაც ათეული წლების განმავლობაში იმერეთში **სოლომონ I-სა** და ქართლ-კახეთში **ერეკლე II-ს** ხმალი ქარქაშში არ ჩაუგიათ და ცხენიდან არ ჩამოქვეითებულან.

გამუდმებული შემოსევების შეძლებისდაგვარად მოგერიების პარალელურად ქართველი მეფეები ევროპის მონარქთა თუ ვატიკანის მოკავშირეობასაც აქტიურად ეძებდნენ, მაგრამ, მოკლედ და ხატოვნად თუ ვიტყვით, **როდესაც საქართველო სისხლისგან იცლებოდა, მაშინ ევროპა „ციცას ეფერებოდა“ , ერთადერთი იმედი ისევ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი იყო და აკი ყოველმხრივ ხმლის ქნევით დაღალულმა ერეკლე II-მ რუსეთთან სამოკავშირეო მფარველობითი ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმა, რომელიც რუსეთის იმპერიამ მოკავშირეობის ნაწილში დაარღვია, სამაგიეროდ მფარველობა ნამდვილად გაგვიწია.**

ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთება და ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიის გაუქმება იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოსაც იგივე ელოდა და აკი ასეც მოხდა, მაგრამ ვიმეორებ: სამაგიეროდ, ფიზიკური განადგურებისა და უეჭველი ისლამიზაციის გამო ზნეობრივ-მენტალური გადაგვარებისგან გვიხსნა რუსეთის ერთმორწმუნე იმპერიამ.

მყისიერად შეწყდა ლეკიანობა და ტყვეთა გაყიდვა სტამბოლის ბაზარზე — ქართველმა კაცმა შვებით ამოისუნთქა, ელემენტარულად წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო ბევრმა პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში მიიღეს უმაღლესი, ევროპული დონის განათლება; შეიქმნა ქართული ოპერა, თეატრი, გაზეთი; აღორძინდა მწერლობა და ა.შ.

რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცევას, ზემოთ თქმულ პლუსებთან ერთად, მინუსებიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ, რომ იტყვიან, ტარანი თვლითააო და დიდმა ილიამ ისტორიის სასწორზე აწონ-დაწონა საქართველოს რუსეთთან ყოფნის პლუს-მინუსები და რადგან პლუსებმა აშკარად გადაწონა მინუსები, ამიტომ თქვა ის, რაც წინამდებარე წერილის ეპიგრაფშია და უფრო მეტიც — **1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა ბრწყინვალე წერილი „ასის წლის წინათ“, რომელიც თბილისში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის საიუბილეო 100 წლისთავს მიუძღვნა.** დადებით მოვლენად აფასებდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებას **გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი** და თვით მეფის ოხრანკის მიერ მოკლული **დიმიტრი ყიფიანი** და იმჟამინდელი საქართველოს საუკეთესო შვილები.

აი, ამ ყველაფერზე პასუხად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ „მაშინ სხვა დრო იყო“ აქვთ შეუგნებელ და შეგნებულ მავანთ, რომლებსაც, გაგიკვირდებათ და, ახლა დავეთანხმები:

დიახ, სხვა დრო იყო და, **მკითხველმა განსაჯოს, რომელი ჯობია — თუ მაშინ მტრის მახვილისგან გველოდა განადგურება, ახლა სიკვდილიანობა უსწრებს შობადობას, ხოლო ქართველები, რომლებსაც საშუალება აქვთ, საქართველოდან უკან მოუხედავად გარბიან და მათ ადგილს უკანონო თუ კანონიერი მიგრანტები იკავებენ; მაშინ, ისლამიზაციის საფრთხიდან გამომდინარე, თუ გვემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის, ქართველობის, მართლმადიდებლობის დაკარგვა, მოკლედ, გადაგვარება-გადაჯიშება, ახლა იმავეს ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების კამუფლაჟით ტოტალური ლგბტ-ზაცია გვიქადის...**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს უფრო შავ დღეში ვართ, ვიდრე იმ „სხვა დროში“ ვიყავით.

და კიდევ ერთი დასკვნა: **ჩვენისთანა პატარა ქვეყნის თანაბარუფლებიანი მოკავშირეობა ნებისმიერ დიდ ქვეყანასთან გამორიცხულია, თუნდაც ეს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერია იყოს, რომ არაფერი ვთქვათ აშშ-ის იმპერიაზე, რომელთან სტრატეგიულ მოკავშირეობაზე თავს დებდა და დებს პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-თან თანასწორუფლებიანი მოკავშირეობის ილუზორულობა თვით ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე, რომ იტყვიან, ზედაპირზე დევს — აშშ-თან თანასწორ საუბარს დიდი შვიდეულის ქვეყნებიც ვერ ბედავენ და, აბა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რა სახსენებელია?!**

ანალოგიური ვითარებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და რუსეთს შორის — იქაც კარგად აცნობიერებენ, ვინ არის სახლში „ხაზეინი“, მაგრამ, ვინც ვერ გააცნობიერა, რაც მოუვიდა, საქართველო-უკრაინის მაგალითი ცხადყოფს — პირველმა 2008 წელს ალიყური მიიღო, რომელმაც სოხუმ-ცხინვალის მსგავსად, სხვა ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა საქართველო, ხოლო უკრაინა დე ფაქტო უკვე აღარ არსებობს და დე იურე მისი საბოლოოდ დაშლა და უფრო მეტიც, ყირიმის მსგავსად დონეცკ-ლუგანსკის, ოდესის, ხარკოვ-კიევის დაბრუნება რუსეთის წიაღში, რომ იტყვიან, მხოლოდ დროის საქმეა...

კი დავასკვენით, რომ საქართველოს სჭირდება რუსეთი და არა პირიქით, მაგრამ, ეს რომ ილიამ თქვა, მაშინ მართლაც „სხვა დრო“ იყო და დღეს ისეთი გეოპოლიტიკური სურათია შექმნილი, რომ რუსეთსაც სჭირდება საქართველო.

როგორც წინა წერილში აღვნიშნე, სირიაში წარმატებული სამხედრო კამპანიისა და დიპლომატიურ ფრონტზე გამარჯვების შედეგად **ვლადიმერ პუტინი**, გნებავთ, რუსეთის იმპერია, ევრაზიული კავშირის მსგავსად, ახლო აღმოსავლეთის დე ფაქტო გამგებელიც გახდა. ამ ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ რუსეთს მხოლოდ მისი საზღვრების გასწვრივ ნატოს სამხედრო ბაზებისა და ინფრასტრუქტურების განლაგება აწუხებს და ამ სიტუაციაში საქართველოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განთავსებაზე ოფიციალური უარის თქმა ის სამსახურია, რომელიც პატარა საქართველოს შეუძლია დიდ რუსეთს გაუწიოს.

ეს იქნებოდა ის, რასაც საკუთარი ეროვნული ინტერესების მტრის ინტერესებთან თანხვედრა და მისი გამოყენების ხელოვნება ჰქვია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გუშინდელი მტრის მოყვარედ ქცევა. მოყვარედ, რომელმაც ზემოხსენებული საფრთხეებისგან საქართველოს ისეთი მფარველობა შეიძლება გაუწიოს, როგორსაც წლების განმავლობაში თანაცხოვრებისას უწევდა ერთმორწმუნე საქართველოსა და ქართველ ერს, და ვინძლო ეს გზა აღმოჩნდეს ის, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პატარა, მაგრამ მაინც, იმედი ჰქვია.

**დავით მხეიძე**

**ისტორიულად საქართველო ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ზარალდებოდა, როდესაც რუსეთი და ოსმალეთი ზავდებოდნენ და ქართული მიწების გაყოფას შეუდგებოდნენ ხოლმე. ყველაზე სასარგებლო კი ჩვენთვის მუდამ რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი იყო, რის შედეგადაც რუსთა დახმარებით ჩვენს ისტორიულ მიწებს ვიბრუნებდით...**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენს ქვეყანასთან სახიფათოდ ახლო სამხრეთში მიმდინარე საომარი მოქმედებები, ღმერთმა (თუ ალაჰმა?) უწყის, რამდენი ხნით შეწყდა. იქნებ სულაც ახლა, ვიდრე გაზეთი იბეჭდება, სირიაში კვლავ განახლდა ომი, ისევ შეტევაზე გადავიდა თურქეთის არმია და ისევ მძიმე დღეები უდგათ ქურთ ჯარისკაც ქალებს, თავგანწირულ ქურთ მამაკაც მეომრებს და უდანაშაულო ქურთ ბავშვებს, რომლებსაც ასე უმოწყალოდ ხოცავენ და თავებს აჭრიან ჩვენი „ისტორიული მეგობრები“ — თურქი სამხედროები...**

# ქართველი ექსპერტების სირ(ი)ული დასკვნები

ინტერნეტით გავრცელებულმა ვიდეოებმა ყველა ნორმალური ადამიანი შეძრა, თუმცა საქართველოში, როგორც ყოველთვის, მოიძებნებიან ე.წ. ექსპერტები, რომლებიც, უკვე მერამდენედ, როტავენ სისულელეებს და ქართველ საზოგადოებაში უაზრო აზრებს ავრცელებენ.

უკვე დაფარულიც აღარ არის, რომ **ეს ადამიანები გარკვეულმა წრეებმა განგებ „გააექსპერტეს“, რათა ყოველთვის, ყველა სიტუაციაში, მომგებიანი იქნება ეს თუ წამგებიანი ჩვენი ქვეყნისთვის, აუცილებლად ილაპარაკონ რუსეთის საწინააღმდეგოდ და ამერიკის სასარგებლოდ, რაც უნდა დიდი ზიანი მოუტანოს ამით ჩვენს სახელმწიფოს. ეს ამბავი უკვე ყველასთვის ცხადია, მაგრამ მოდი, მაინც გადავხედოთ ამ „ექსპერტთა“ ე.წ. მოსაზრებებს, რომლებიც სინამდვილეში, „მოსაზრებები“ კი არა, კარგად დამუშავებული კონკრეტული პროპაგანდისთვის მომზადებული მესიჯებია.**

პირდაპირ იმით დავიწყებ, რომ ყველაზე სულელური, ამასთანავე, ყველაზე თავხედური „ექსპერტული დასკვნა“ ასეთია: „რუსეთი და თურქეთი საკმაოზე მეტად დაახლოვდნენ და გარკვეულ სამხედრო კამპანიებში პარტნიორებადაც კი შეიძლება განვიხილოთ. ეს განაპირობებს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კარგავს ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდ მოკავშირეს — თურქეთს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამერიკას კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს იქით გზა აღარ აქვს, ესე იგი, მალე საქართველოში ამერიკული ჯარი შემოვა, ამერიკის სამხედრო ბაზები განლაგდება და საქართველო საბოლოოდ დაცული იქნება რუსული აგრესიისა და ომისგან“, — სიხარულით აჭყლოპინდნენ „ექსპერტები“.

რა ჰქვია ასეთ მსჯელობას, ჯერჯერობით სახელი ვერ დავარქვი. გულუბრყვილო? ბავშვური? თუ, უბრალოდ, გარეწრული და საშიში?

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ, როდესაც 2007 წელს ასეთ „ექსპერტებს“ ვეუბნებოდი — თუკი საქართველოს ხელისუფლება ასე მოქმედებას განაგრძობს და დაკარგული ტერიტორიების სამხედრო ძალით დაბრუნებას შეეცდება, რუსეთი ღიად და ოფიციალურად ჩაერთვება ომში და არა მხოლოდ იმ ტერიტორიების, არამედ უშუალოდ თბილისის საავიაციო დაბომბვასაც დაიწყებს-მეთქი, მათგან დაცინვას ვიღებდი: **შენ აშკარად მეცხრამეტე საუკუნეში ხარ ჩარჩენილი, ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და თბილისის დაბომბვას ვინ გაბედავს, რას მიედ-მოედები, რუსეთმა რომ ეგ ქნას, მთელი მსოფლიო რუსეთს დაბომბავსო.**

ყველაზე გასაოცარი „ბრძნული“ მსჯელობა, რაც მოვისმინე, ასეთი იყო: **ჩვენი ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეგ არის, რომ რუსეთი გამოვიდეს მოთმინებიდან, ღიად დაბომბოს საქართველო და თუნდაც თბილისი, ამით ჩვენი დასავლელი პარტნიორები უკვე აშკარად დაინახავენ რუსეთის ნამდვილ სახეს და დედას უტირებენ მას, ახლა თავს იმიტომ იკავებენ, რომ რუსეთი თავს იკატუნებს, ვითომ მშვიდობიანი სახელმწიფოა და ამის გამო ვერაფერს აკეთებენ ჩვენი დასავლელი მოკავშირეები. როგორც კი რუსეთი აგრესიას ღიად გამოავლენს, დასავლეთი სასტიკად დასჯისო.**

სხვათა შორის, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ამ ტიპის მსჯელობები, „ჟანგიანი რუსული ტანკებისა“ არ იყოს, სულ ტყუილად ბრალდება მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს ან მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს. 2006-2007 წლებში ბევრი მათი მოწინააღმდეგე, ბევრი ოპოზიციონერი და ბევრი „ანტიმიშისტი“ ჟურნალისტიც ზუსტად ასე მსჯელობდა.

საბოლოოდ, ვისი ტანკები „ჟანგდებოდა“, ჯავის მაღლობებზე ვნახეთ... სხვათა შორის, ჟურნალისტი **დავით აქუბარდია** დღემდე ითხოვს თავისი ეთერიდან, — „დაგვიბრუნონ რუსებმა ჩვენგან ომის დროს წაყვანილი ტანკები“-ო. არადა, სწორედ აქუბარდია იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც 8 აგვისტომდე ყველაზე დაჟინებით ამტკიცებდა, — რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ და, თუ მათ გაბედეს და გადმოვიდნენ როკის გვირაბის აქეთ, ჩვენი ნატოს სტანდარტებით გაწვრთნილი ჯარისკაცები მათ კუდით ქვას ასროლინებენო.

 აი, ასეთი ექსპერტები „მსჯელობენ“ დღესაც იმაზე, რომ თურმე საქართველოს ისტორიულად ყველაზე ვერაგ და ყველაზე სისხლიან დამპყრობელ ოსმალთა შთამომავალი თურქეთის იმპერიის რაიმე სახის გარიგება მეორე, თუმცა შედარებით „რბილ“ დამპყრობელ რუსეთთან ყოფილა საქართველოსთვის რაიმენაირად მომგებიანი.



თინა ხიდაშელი



დავით აქუბარდია



ადამ კინზინგერი



ლუკ კოფი

**ეს ადამიანები გარკვეულმა წრეებმა განგებ «გააექსპერტეს», რათა ყოველთვის, ყველა სიტუაციაში, მომგებიანი იქნება ეს თუ წამგებიანი ჩვენი ქვეყნისთვის, აუცილებლად ილაპარაკონ რუსეთის საწინააღმდეგოდ და ამერიკის სასარგებლოდ, რაც უნდა დიდი ზიანი მოუტანოს ამით ჩვენს სახელმწიფოს. ეს ამბავი უკვე ყველასთვის ცხადია, მაგრამ მოდი, მაინც გადავხედოთ ამ «ექსპერტთა» ე.წ. მოსაზრებებს, რომლებიც სინამდვილეში, «მოსაზრებები» კი არა, კარგად დამუშავებული კონკრეტული პროპაგანდისთვის მომზადებული მესიჯებია**

არადა, **სწორედ ის მიწა-წყალი, ის ქვეყანა, ის სახელმწიფოა ყველაზე ნათელი მაგალითი, რომლიდან გამომდინარეც იწყებენ ამ „ბრძნულ“ მსჯელობებს. აკი, სწორედ სირიის ტერიტორიაზე ამერიკის გარკვეული სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების გაჩენამ გამოიწვია ამ ქვეყანაში ჯერ შიგა არეულობა და სამოქალაქო ომი, შემდეგ რუსეთის, მოგვიანებით კი თურქეთის ჩარევა და საბოლოოდ ამ ორი უკანასკნელის შეთანხმებული ქმედებები. ყოველივე ამან სირიის ბევრი ქალაქი ნანგრევებად აქცია და ქვეყანა დიდი ხნით მოშალა და გაანადგურა. დღეს ზოგი აღტაცებით გაიძახის, რომ სირიაში რუსეთმა დაჯაბნა ამერიკაო. ზოგს კი უხარია — ამერიკელებმა სირიაში რუსებს დედა უტირესო.**

სირიისთვის კი არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომლის გამარჯვებას უფრო ვირწმუნებთ სირიის ტერიტორიაზე — ამერიკის თუ რუსეთის. მთავარი ისაა, რომ თვითონ სირიამ მთელი ამ „კამპანიიდან“ მხოლოდ ზარალი და განადგურება მიიღო.

სირიაში სამხედრო კონფლიქტის შედეგები დადებითად მხოლოდ ბაშარ ალ ასადისა და მისი გარემოცვისთვის შეიძლება შეფასდეს. მათ შეინარჩუნეს ხელისუფლება და თავიდან აიცილეს სასჯელი, რომელიც პროამერიკული ძალების გამარჯვების შემთხვევაში მოელოდათ. თვითონ ქვეყანამ, სირიამ, როგორც სახელმწიფომ კი, ვიმეორებ, უდიდესი და აუნაზღაურებელი ზარალი მიიღო.

სწორედ ამიტომ არის საკვირველი, ეს ჩვენი „ბრძენი“ ექსპერტები სირიის მაგალითზე რომ გვიქადიან ჩვენს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ძალების შემოსვლას და, აქედან გამომდინარე — აყვავებას, გაფურჩქვნასა და განვითარებას... ქართველ „ექსპერტთა“ სულელური აზრები, პრინციპში, ახალი არ არის და ხშირადაც მოგვისმენია, მაგრამ მთლად ასეთი „სირ(ი)ული“ დასკვნები, მაინც გვეზედმეტება.

**აკი ისტორიულად საქართველო ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ზარალდებოდა, როდესაც რუსეთი და ოსმალეთი ზავდებოდნენ და ქართული მიწების გაყოფას შეუდგებოდნენ ხოლმე. ყველაზე სასარგებლო კი ჩვენთვის მუდამ რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი იყო, რის შედეგადაც რუსთა დახმარებით ჩვენს ისტორიულ მიწებს ვიბრუნებდით...**

თუმცა, თუკი გავეცნობით ზოგიერთი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის განცხადებებს, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

მაგალითად, ამერიკელი „მკვლევარი“ (როგორც მას მოიხსენიებენ), სამხედრო მრჩეველი **ლუკ კოფი** საჯაროდ ამბობს, რომ სირიიდან გამოსული ამერიკული ჯარის ნაწილები არა თურქეთში, არამედ საქართველოში, კერძოდ, ახალქალაქის ტერიტორიაზე, ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე უნდა განლაგდნენ.

ლუკ კოფის ამ განცხადებას (ფაქტობრივად, ჯერ განცხადებულიც რომ არ ჰქონდა ისე) სასწრაფოდ გამოეხმაურა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თინა ხიდაშელი** და ამ ამბავს „საქართველოს ბრწყინვალე შანსი“ უწოდა... **როგორ გითხრათ და, ჩემი აზრით, ეს მართლაც „ბრწყინვალე შანსია“ საიმისოდ, რომ მომავალში საქართველოც (ღმერთმა დაგვიფაროს!) სირიას დაემსგავსოს და ორი (ან სამი) დიდი სახელმწიფოს მიერ ერთმანეთის ძალების გამოსაცდელ პოლიგონად იქცეს...**

თუმცა არა! აგერ, აქვეა ამერიკელი კონგრესმენი **ადამ კინზინგერი**, რომელიც აცახდებს: **„ჩვენ ვუგზავნით მტკიცე სიგნალს პუტინს, კარგად დაფიქრდეს, სანამ საქართველოს საქმეებში უხეშად ჩაერევა!“**

დასავლეთი არა აღშფოთებული და შეშფოთებული, არამედ უაღრესად აღშფოთებული და უკიდურესად შეშფოთებული აქამდეც იყო და ამ „აღშფოთება-შეშფოთების“ სხვადასხვა ფაზა დღემდეც გაიარა, მაგრამ, როგორც ჩანს, „სიგნალი“ უკვე სულ სხვა რამაა.

მით უმეტეს, უბრალო სიგნალი კი არა, მტკიცე სიგნალი!

მით უფრო სასაცილოა ამერიკელი კონგრესმენის ამ განცხადებით აღფრთოვანება, რომ პატივცემული კინზინგერი იმასაც კი არ აზუსტებს, რა ფორმით, როგორი დიპლომატიური თუ სხვა გზებით „მიუპიპინა“ მან კრემლსა და პუტინს. კომიკურია, აგრეთვე, ფრაზა — „კარგად დაფიქრდეს“. იცით, მე მგონია, რუსეთის პრეზიდენტი ისედაც ძალიან კარგად ფიქრობს ხოლმე, ვიდრე რაიმე ნაბიჯს გადადგამს, გინდ საქართველოს და გინდ სხვა მიმართულებით. რაღაც მეეჭვება, რომ ის იმპულსურად მოქმედებდეს და ვინმე ამერიკელი კონგრესმენის შეხსენება სჭირდებოდეს ამ მიმართულებით. ასე რომ, დიახ, **ვლადიმერ პუტინი ძალიან კარგად დაფიქრდება და შემდეგ ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშად. ნეტავ, რას აპირებს ამის შემდეგ, ანუ ასე „ძალიან კარგად დაფიქრებული“ პუტინის წინააღმდეგ ჩვენი ყველაზე ახლო სტრატეგიული პარტნიორი?**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერი საშოვარზეა გადაგებული და ამიტომ არის, რომ ლუკმაპური ოქროდ ფასობს. ამას ზემოთ ვერასოდეს მიხვდებიან, რადგან მათ არც სხვა ქვეყანაში კოლეგის ძმის შვილის ქორწილზე წასვლა და მოლხენა უჭირთ, არც შვილები ეუბნებიან ყოველ დილით: 1 ლარი მომეცი, სკოლის სასადილოში რამე რომ შევჭამოო, რადგან მათ შვილებს საბანკო ბარათები აქვთ, რომლებზეც მუდმივად ერიცხებათ თანხა და მშვიდად მიირთმევენ იქ, სადაც მოესურვებათ. ჰო, მათ ანაბრებიც აქვთ, მომავალი უზრუნველყოფილი რომ ჰქონდეთ და ზოგადად, აქვთ ყველაფერი, რაზეც რიგითი მოკვდავნი ოცნებასაც ვერ ბედავენ.**

# ხელისუფლებამ ლარის გამყარების საინტერესო გზა მოიფიქრა — მოსახლეობიდან ლარის ამოღება

**რაოდენ ხმამაღალიც უნდა მოგეჩვენოთ ეს განცხადება, ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მონობაში ცხოვრობს. სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმ დამოკიდებულებას, რომელიც მოსახლეობასა და ბანკებს შორის არსებობს. სამწუხაროდ, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, უმრავლესობა იძულებული იყო, თავის დროზე ბანკიდან სესხი აეღო, შემდეგ კი შემოსავლის უდიდესი ნაწილი სწორედ ბანკისთვის დაებრუნებინა. არც არის გასაკვირი, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოში ყველაზე მომგებიანი ბიზნესი აზარტული თამაშები და ბანკებია. აზარტული თამაშები იმიტომ, რომ ადამიანები ფიქრობენ: იქნებ გამიმართლოს, დიდი ფული მოვხსნა და მონობას თავი დავაღწიოო, მაგრამ ასიდან 99 შემთხვევაში პირიქით ხდება. აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვა შარშან 15 მილიარდი ლარი იყო, ბანკების სუფთა მოგება კი — ლამის 800 მილიონ ლარამდე და სოციალურ ნიადაგზე მომხდარი სუიციდის შემთხვევები ყოველწლიურად იმატებს.**



დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე მეტად მოსახლეობა სწორედ ბანკებმა დააზარალეს. ჯერ იყო და, კომუნიზმის პერიოდში დაგროვებული ანაბრები გაქრა და გაუფასურდა; მერე იყო და, ბანკები იხსნებოდა, საოცარ პროცენტებსა და პირობებს სთავაზობდნენ ადამიანებს და, როცა სოლიდურ კაპიტალს მიიღებდნენ, იკარგებოდნენ, კოტრდებოდნენ და პასუხსაც არავინ სთხოვდა. ახლა არის და ისეთი პროცენტი აქვთ, პირდაპირ გეუბნებიან: კრედიტს თუ აიღებ, მთელი ის დრო ჩემზე უნდა იმუშაოო. შესადარებლად: მაგალითად, **ბანკი გთავაზობთ 10 ათას ლარს 2 „ეფექტური“ (ამ სიტყვას ყველაზე ხშირად იყენებენ) 13%-ით და თქვენც ძალიან გიხარიათ, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ეს „ეფექტური“ 13% თვეშია გადასახდელი და წლიური 156% გამოდის, ანუ აიღებთ 10 ათას ლარს და უკან აბრუნებთ დაახლოებით 25 ათასზე მეტს.**

წელან ხმამაღალი განცხადება ვახსენეთ და სწორედ ხმამაღლა ვამბობთ იმას, რომ **ამ ყველაფერში დამნაშავე ხელისუფლებაა. დიახ, ხელისუფლება, რომელსაც აქვს ბერკეტი, კონკრეტული პროცენტი დააწესოს, კონკრეტული ზღვარი და იმის ზემოთ გაცემა აკრძალოს, ანუ ბანკებმა მოგების დაბალ მარჟაზე იმუშაონ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამას არავინ აკეთებს.** პროცენტის დაწევა კი არა, **უკვე გამოტანილ სესხებზე გააძვირეს პროცენტი და პარადოქსია, მაგრამ დააკანონეს კიდეც.** მოკლედ, 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 102 700 სესხია გაცემული. მათი უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, **მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი 1 პროცენტული პუნქტით 8.5 პროცენტამდე გაეზარდათ. და ეს იმიტომ, რომ რეფინანსირების განაკვეთი ეროვნულმა ბანკმა მოუმატა, იმ ბანკმა, რომელიც აცხადებს: ლარის კურსს ვაკონტროლებთ, მყარად გვიჭირავსო.** დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 5,3 მლრდ ლარის მოცულობის სესხია გაცემული. 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 4,4 მლრდ-ით, ხოლო მთლიანი პორტფელი — 5,04 მლრდ-დან 5,31 მლრდ ლარამდე.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ 2012 წელს წინასაარჩევნოდ გაცემული ერთ-ერთი მთავარი დაპირება — უფასო, უპროცენტო ფული და უკიდურეს შემთხვევაში წლიური 3%. ამას იმეორებდნენ ყველგან და, თუ ვიღაცამ სამართლიანობის აღდგენისთვის მისცა ხმა დღევანდელ ხელისუფლებას, არცთუ ცოტანი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც საარჩევნო ყუთთან სწორედ იმ იმედით მივიდნენ და გააკეთეს არჩევანი, რომ მომავალი ხელისუფლება მათ ბანკების მონობიდან დაიხსნიდა. რა თქმა უნდა, სხვა მოლოდინების დარად, არც ეს მოლოდინი გამართლდა — ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ **„ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა დაიანგარიშა და განაცხადა, რომ მცდარი დაპირებები გასცა, რომ ბენზინი ვერ გაიაფდებოდა, რომ ბანკები კერძო საკუთრებაა და ვერ შეეხებოდა, რომ ლარის კურსი ხელოვნურად ეჭირა მათ წინამორბედს და მათ კი თავისუფალ ცურვაში გაუშვეს და ისე გამოვიდა, რომ ყველა დაპირება 100%-ით შესრულდა, ოღონდ პირიქით.** ჰო, პირიქით — მოიმატა საპროცენტო განაკვეთმა, ლარის გაუფასურების შემდეგ გაიზარდა სესხის შენატანის ოდენობა, სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ახალ თანამდებობებზე დაინიშნენ და დაწინაურდნენ ის პირები, რომლებიც წინა წლებში ხალხს ატერორებდნენ; სასაცილოა იმაზე ფიქრი და მოლოდინი, რომ ხელისუფლება დაპირებულ საწარმოებს გახსნის და უმუშევრობის პრობლემას მოაგვარებს.

**მოიმატა საპროცენტო განაკვეთმა, ლარის გაუფასურების შემდეგ გაიზარდა სესხის შენატანის ოდენობა, სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, ახალ თანამდებობებზე დაინიშნენ და დაწინაურდნენ ის პირები, რომლებიც წინა წლებში ხალხს ატერორებდნენ. სასაცილოა იმაზე ფიქრი და მოლოდინი, რომ ხელისუფლება დაპირებულ საწარმოებს გახსნის და უმუშევრობის პრობლემას მოაგვარებს**

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ **ხელისუფლებამ ლარის გამყარების საინტერესო გზა მოიფიქრა. ამ გზას მოსახლეობიდან ლარის ამოღება ჰქვია — რაც უფრო ცოტა ფული ექნება ხალხს, მით მეტი მოითხოვნა ექნება ეროვნულ ვალუტას და მით მეტად დაედება ფასი, ამიტომაც ბანკებს მწვანე შუქი ექნებათ ადამიანების საღლეტად, მწვანე შუქი ექნებათ აზარტული თამაშების მფლობელებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი მიიზიდონ.** შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას პარლამენტში ხელახლა დაარეგისტრირეს კანონპროექტი **„მომგებიანი და აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვისა და აკრძალვის შესახებ“,** რომელიც საკანონმდებლო ორგანომ 9 თვის წინათ ერთხელ უკვე ჩააგდო. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს, აზარტული თამაშების რეკლამა გაქრეს როგორც სატელევიზიო სივრციდან, ისე ბილბორდებიდან და ნებისმიერი თვალსაჩინო ადგილიდან. 9 თვის წინათ ამაზე ისეთი ამბავი ატყდა, რომ კანონპროექტი მის ინიციატორებს ლამის თავზე გადაახიეს. მერე იყო ხალხის პროტესტი და ხელისუფლების თავის მართლება, დასახვეწი იყო კანონი და იმიტომ არ მივიღეთო. არადა, **არაფერი არ არის დასახვეწი, გარკვევით წერია: აიკრძალოს რეკლამა და მორჩა!** ე.ი., აიკრძალოს მოარული სიკვდილის რეკლამა, ხალხის გაღატაკების რეკლამა და, წესით, ნორმალურ სახელმწიფოში ეს ხელს უნდა აძლევდეთ. მით უმეტეს, იმ სტატისტიკის ფონზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაგრამ არა — გნებავთ, სოციალურ ქსელში, გნებავთ, ქუჩებში და გნებავთ, ტელევიზიებში **მთავარი სარეკლამო ბადე სწორედ აზარტული თამაშების პოპულარიზაციას უკავია და ეს გასაგებიცაა. როცა წლიური ბრუნვა საქართველოს ბიუჯეტზე მეტია, ასი თუ ორასი მილიონის დახარჯვა რეკლამაში რა პრობლემაა?!**

რაც შეეხება ხალხის გაღარიბებისა და გაღატაკების თემას, ბანკების აქტივში ყოველწლიურად იზრდება უძრავი ქონების ოდენობა, ქონებისა, რომლებსაც იმ ადამიანებს ართმევენ, რომლებიც კრედიტს ვერ იხდიან. საუბარია ბინებზე, სავაჭრო ობიექტებზე, მიწის ნაკვეთებზე და რჩებიან ადამიანები ქუჩაში და შემოსავლის გარეშე. ეს ავტომატურად ზრდის სიღარიბის დონეს და, რამდენიც უნდა იძახოს ხელისუფლებამ ყველაზე დაბალი უმუშევრობისა და სიღარიბის დონე საქართველოში სწორედ დღეს არისო, რეალობა აშკარად სხვაა. ალბათ, **ძლიერნი ამა ქვეყნისანი გვიან იღვიძებენ და ქუჩაშიც გვიან გადიან, თორემ აუცილებლად დაინახავდნენ ნაგვის ურნებში გადაყუდებულ ადამიანებს, რომლებიც ადრე იმიტომ მიდიან ნაგვის ურნასთან, სხვა მშიერმა კონკურენტმა რომ არ დაასწროს და გადაგდებული საკვების ნარჩენი არ ააცალოს.**

ყოველთვის გვეუბნებიან, მწვავე პრობლემებზე როცა წერთ, გამოსავალიც არ დაგავიწყდეთო და **ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოსავალი ერთობაშია. 120 ათას ადამიანს სესხი რომ გაუძვირეს ხელის ერთი მოსმით, გამოვიდნენ ქუჩაში, დადგნენ ერთად, მოსთხოვონ ხელისუფლებას რეაგირება; მოსთხოვონ, რომ სწორედ მათი უნიათობის გამო გაძვირდა სესხი და იმოქმედოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, შეშინებული ხელისუფლება (და 120 ათასი ადამიანის ნამდვილად შეეშინდებათ), ნამატის დაფარვის პირობას დადებს და საამისოდ ბიუჯეტის თანხებს გამოჰყოფს, ანუ ისევ ჩვენ და თქვენ ფულს და ჩვენივე ფულით ჩვენსავე ნამატს გადაიხდის.**

ამას წინათ თქვა ერთმა ექსპერტმა: პოლიტიკურმა ნიჰილიზმმა დაისადგურა ხალხშიო. ნიჰილიზმი არ არის ეს, ბატონებო! **ადამიანებს არსებობისთვის ყოველდღიური ბრძოლა უწევთ და ამიტომ არ აქვთ დრო, ქუჩაში გამოვიდნენ და „წადი, წადი“ იყვირონ. მიზეზი მარტივია — მათ შინ შვილები ჰყავთ, რომლებიც „მშია, მშიას“ ამბობენ და, საღამოს საკვები რომ არ მიუტანოს, შესაძლოა, თოკი მოძებნოს და ისედაც მზარდი სუიციდის სტატისტიკა კიდევ უფრო გაზარდოს.** ამიტომ **მთელი ერი საშოვარზე გადაგებულია და ამიტომ არის, რომ ლუკმაპური უკვე ოქროდ ფასობს. ამას ზემოთ ვერასოდეს მიხვდებიან, რადგან მათ არც სხვა ქვეყანაში კოლეგის ძმის შვილის ქორწილზე წასვლა და მოლხენა უჭირთ, არც შვილები ეუბნებიან ყოველ დილით: 1 ლარი მომეცი, სკოლის სასადილოში რამე რომ შევჭამოო, რადგან მათ შვილებს საბანკო ბარათები აქვთ, რომლებზეც მუდმივად ერიცხებათ თანხა და მშვიდად მიირთმევენ იქ, სადაც მოესურვებათ. ჰო, მათ ანაბრებიც აქვთ, მომავალი უზრუნველყოფილი რომ ჰქონდეთ, და ზოგადად, აქვთ ყველაფერი, რაზეც რიგითი მოკვდავნი ოცნებასაც ვერ ბედავენ.**

ხვალაც გათენდება საქართველოში და ზეგაც, ისევ გვიან ადგებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი საწოლებიდან და ისევ ვერ დაინახავენ ურნებში გადაყუდებულ ადამიანებს, ან თუ დაინახავენ, თვალს აარიდებენ, ხასიათი რომ არ გაიფუჭონ და ნაღებიან ყავას კრუასანი მშვიდად მიაყოლონ.

**ბესო ბარბაქაძე**

**120 ათას ადამიანს სესხი რომ გაუძვირეს ხელის ერთი მოსმით, გამოვიდნენ ქუჩაში, დადგნენ ერთად, მოსთხოვონ ხელისუფლებას რეაგირება; მოსთხოვონ, რომ სწორედ მათი უნიათობის გამო გაძვირდა სესხი და იმოქმედოს**

**ანალოგიური სამაჯური შეიძლება გაუკეთდეს ნარკორეალიზატორებს და ამით სამუდამოდ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა, რადგან ყოველთვის ეცოდინებათ სამართალდამცველებს, სად არის ეს ადამიანი და ახლა არ თქვათ, პოლიციამ არ იცის, სად იყიდება ნარკოტიკიო. იცის და იმ ადგილის სიახლოვეს თუ შეამჩნევენ ნარკოვაჭრობაში ერთხელ გასამართლებულ პირს, მაშინ ყველაფერი გაცილებით გამარტივდება. სამაჯური სჭირდებათ პედოფილიის ბრალდებით გასამართლებულებსაც, რადგან პედოფილია არ არის რიგითი დანაშაული. ეს არის დაავადება, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში სტერილიზაციით „მკურნალობენ“.**

კრიმინალის წინააღმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამაჯურები დამნაშავეებისთვის

**ყველას ახსოვს, ალბათ, როგორ შეაბეს პარლამენტარ ნიკანორ მელიას კამერების წინ სამაჯური, აქაოდა, უნდა ვაკონტროლოთ, ეს კაცი სად დადისო და სხვა აკრძალვებიც დაუწესეს. სხვათა შორის, მეცნიერები სამაჯურებსა თუ საყელურებს ხშირად ცხოველებსაც უკეთებენ, მათი მიგრაცია რომ შეისწავლონ. ფრინველებსაც უკეთებენ ფეხზე პატარა რგოლებს, რომლებშიც მიკროსქემებია ჩამონტაჟებული და მათი მეშვეობით აკვირდებიან. რაღა შორს წავიდეთ, შინაურ ძაღლებს არაერთმა ადამიანმა შეაბა სპეციალური საყელური, დაკარგვის შემთხვევაში ცხოველს ადვილად რომ მიაგნოს. ეს ყველაფერ პრევენციისთვის კეთდება, მერე იმავე მეცნიერებმა თუ შინაური ცხოველების პატრონებმა თავში ხელი რომ არ შემოირტყან: ნეტავ, ცოტა ფული დამეხარჯა და შედეგი გამეთვალაო.**



**მობილურში შეიძლება ასეთი აპლიკაციების ჩამოტვირთვა და მობილური შეგატყობინებს, არის თუ არა შენს ახლოს საფრთხე. ესეც არ იყოს, სამაჯური სპეციფიკური უნდა იყოს, სხვებმაც რომ იცოდნენ, რომ სამაჯურშებმული კაცი არ არის სანდო, რომ რაღაცისთვის უკეთია ის, თორემ მელიას, სამაჯური კი არა, საყელური რომ შეაბათ, პარლამენტარია კაცი და მის დანახვაზე არავინ იფიქრებს გარიდებასა და დამალვას, იმიტომ, რომ მისგან საფრთხეს არავინ ელის**

გაზეთის წინა ნომერში დავწერეთ, რომ კასპში ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული დედის გარდა აუცილებელი იყო, ბრალი ქმრისთვისაც წაეყენებინათ, რადგან, როცა მან ცოლი შეირთო, გოგო (ცოლი) 14 წლის გახლდათ და, შესაბამისად, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი ქართული კანონმდებლობით იჯება. გაზთის გამოსვლის წინა დღეს პროკურატურა ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ჩვენ ვივარაუდეთ და ქმარს ბრალი წაუყენა, მაგრამ საკმარისი ესეც არ არის. **როცა იმ ბავშვმა ბავშვი გააჩნა, როცა 15 წლისამ იმშობიარა, სად იყვნენ სამშობიარო სახლის ექიმები? რატომ არ შეატყობინეს პოლიციას და თუ შეატყობინეს, რატომ არ მოახდინა რეაგირება პოლიციამ? ესეც გასარკვევი და გამოსაძიებელია, რათა მომავალში ანალოგიური რამ არავინ გაბედოს.**

ეს ყველაფერი კი იქით მიგვყავს, რომ ჩვენთან ხდება მყისიერი რეაგირება დანაშაულზე, იწყება გამოძიება, მიდის ბრალდებები, ხმაური სოციალურ ქსელში, მერე ყველა პროფესორობს, მაგრამ არ ხდება დანაშაულის პრევენცია. თუნდაც ვაკეში ქალის მკვლელობა ავიღოთ, ქალისა, რომელსაც ყელი მამინაცვალმა შვილების თვალწინ გამოსჭრა. სამართალდამცავებმა ხმამაღლა განაცხადეს: ამ კაცზე შემაკავებელი ორდერი გვქონდა გაცემული, მაგრამ არ დაგვემორჩილაო და ხელებიც დაიბანეს. პოლიციამ თავი იმართლა — რაც შემეძლო, გავაკეთეო და რეალურად, სასტიკი მკვლელობა თავიდან ვერ ავიცილეთ.

მოდი, ამ დანაშაულს სხვა მხრიდან შევხედოთ — **რა მოხდებოდა, მკვლელს შემაკავებელი ორდერის გარდა სამაჯური რომ ჰქონოდა შებმული? ჰო, ისეთი სამაჯური, როგორიც მელიას აქვს, და მისი გადაადგილება აღრიცხული იყო?** ხომ მიხვდებოდნენ კონკრეტულ მომენტში სამართალდამცავები, რომ, აკრძალვისა თუ შემაკავებელი ორდერის მიუხედავად, პიროვნება არღვევდა წესს და იმ ადამიანების სახლთან მიდიოდა, რომელთანაც მისვლა ჰქონდა აკრძალული? მაშინ რა მოხდებოდა, გარდაცვლილს რომ ჰქონოდა რაიმე მოწყობილობა, რომელიც აუწყებდა, რომ სავარაუდო მოძალადე მის ახლოს იმყოფებოდა, ვთქვათ, 100 ან 200 მეტრში? ხომ გაერიდებოდა, ხომ დაიცავდა თავს? ასე კი, სახლში შევიდა და იქ დანით შეიარაღებული მკვლელი დახვდა.

შესაძლოა იფიქროთ, ეს ფანტასტიკის სფეროაო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ბატონებო — **მობილურში შეიძლება ასეთი აპლიკაციების ჩამოტვირთვა და მობილური შეგატყობინებს, არის თუ არა შენს ახლოს საფრთხე. ესეც არ იყოს, სამაჯური სპეციფიკური უნდა იყოს, სხვებმაც რომ იცოდნენ, რომ სამაჯურშებმული კაცი არ არის სანდო, რომ რაღაცისთვის უკეთია ის, თორემ მელიას სამაჯური კი არა, საყელური რომ შეაბათ, პარლამენტარია კაცი და მის დანახვაზე არავინ იფიქრებს გარიდებასა და დამალვას, იმიტომ, რომ მისგან საფრთხეს არავინ ელის.**

**ანალოგიური სამაჯური შეიძლება გაუკეთდეს ნარკორეალიზატორებს და ამით სამუდამოდ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა, რადგან ყოველთვის ეცოდინებათ სამართალდამცველებს, სად არის ეს ადამიანი და ახლა არ თქვათ, პოლიციამ არ იცის, სად იყიდება ნარკოტიკიო.** იცის და იმ ადგილის სიახლოვეს თუ შეამჩნევენ ნარკოვაჭრობაში ერთხელ გასამართლებულ პირს, მაშინ ყველაფერი გაცილებით გამარტივდება. სამაჯური სჭირდებათ პედოფილიის ბრალდებით გასამართლებულებსაც, რადგან პედოფილია არ არის რიგითი დანაშაული. ეს არის დაავადება, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში სტერილიზაციით „მკურნალობენ“ (ჩვენთანაც თუ მიიღებენ ამ კანონს, ურიგო არ იქნება).

ახლა ისე არ გაიგოთ, თითქოს მხოლოდ დასჯაზე ვიყოთ ორიენტირებულები. არა ბატონებო, არა! უბრალოდ, იმას ვამბობთ, რომ ბევრი დანაშაულის პრევენცია შესაძლებელია და იმავე ამერიკაში, რომელსაც ვეტოლებით, ანალოგიური პრაქტიკა მიღებულია. ისიც ფაქტია, რომ აგენტურული ქსელი ამერიკაშიც გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ დანაშაული იქ მაინც ბევრია, ამიტომ ვამბობთ, რომ ბევრი რამ გადასახედი და დასამტკიცებელია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი ადამიანის უფლებებზე დაიწყებს საუბარს, რომ არ შეიძლება სამაჯურების მასობრივად გამოყენება, მაგრამ ამას მეორე მხრიდანაც შევხედოთ — **მკვლელს, პედოფილს, ნარკორეალიზატორს უნდა ჰქონდეს თუ არა ისეთივე უფლებები, როგორიც რიგით, კანონმორჩილ ადამიანებს? ვალდებულია თუ არა ნებისმიერი მოქალაქე, იცოდეს, ცხოვრობს თუ არა მის გვერდით პედოფილი? გორში მოკლული ბავშვის მშობლებს რომ სცოდნოდათ, მათ ქალაქში უმძიმესი დანაშაულისთვის გასამართლებული პირი ცხოვრობდა, გაუშვებდნენ ბავშვს მარტო? გვგონია, რომ არა და პრევენციაც სწორედ ეს არის.**

ვინც არ იცის, მათ გასაგონად ვიტყვით, რომ ციხეში, ანუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებსაც უკეთიათ „სამაჯური“. ეს არის ერთგვარი ლენტი, რომელიც გამოსაჩენ ადგილზე უკეთიათ იმ პატიმრებს, რომლებიც ე.წ. საქათმეში ცხოვრობენ, ხოლო იმ პატიმრებს, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე მუშაობენ, ალაგებენ, ანუ „რაბოჩი კლასს“ ანალოგიური ლენტი ფეხზე აქვთ გაკეთებული. შესაბამისად, ყველამ იცის, ვინ ვინ არის და პრობლემაც არ არსებობს. შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, ციხის კანონებით ხომ არ ვიცხოვრებთო და არა, ბატონებო, მივცეთ ამ ყველაფერს ცივილიზებული სახე და, უბრალოდ, თავი დავიცვათ. ის, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში გასამართლებულებს რამდენიმე ქვეყანაში სწორედ საჯაროდ და სახალხოდ ამოსაცნობი ნიშანი აქვთ, **ის, რომ მათ სამაჯურები უკეთიათ და სამართალდამცავების მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებიან, გავრცელებული პრაქტიკაა.** ეს არ იქნება ჩვენი „ნოუ ჰაუ“ და საერთაშორისო ორგანიზაციები ხმას არ ამოიღებენ. ზუსტად ისე, როგორც, მაგალითად, 223-ე მუხლის მიღებისას მოხდა, როცა კანონიერი ქურდებისთვის სასჯელი დაწესდა. **ეს პრაქტიკა უკვე გადაიღო რუსეთმა და ანალოგიური მუხლი მიიღო. ამ კანონზე მუშაობენ უკრაინაში, ბელარუსში და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, რაც იმას ნიშნავს, რომ კრიმინალთან ბრძოლის მკაცრი მეთოდები მისაღებია და ამართლებს. რამდენიმე ადამიანის გარდა, ვინმეს გაუპროტესტებია ჩვენთან, კანონიერი ქურდები რატომ აღარ არიანო? ჰოდა, არც სამაჯურებს გააპროტესტებენ და პოტენციურ დამნაშავესაც თუ არ სურს, რომ ქუჩაში ყველასთვის მისახვედრი და ამოსაცნობი „დამღით“ იაროს, ნუ ჩაიდენს დანაშაულს.**

სხვაგვარად კი ისე გამოდის, რომ ჩვენ დანაშაულიდან დანაშაულამდე ვცხოვრობთ. საზოგადოებისთვის გასაკვირი და აღმაშფოთებელი, პრაქტიკულად, ველარაფერი მოხდება, ისეთი მძიმე და იმ ოდენობის დანაშაულები ვნახეთ ბოლო წლებში. ყველაფერი სოციალურ ქსელში ინაცვლებს, იქ დაიცლება ხალხი ემოციისგან და რჩება ჭირისუფალი თავის მიცვალებულთან, დამნაშავე — სასამართლოსთან, რომელიც უმძიმეს დანაშაულებზე, მაინც ვიტყვით, რომ ლმობიერია და წერტილი ესმება ყველაფერს. **რატომ არ შეიძლება, ნარკორეალიზატორებს (ვინც უნდა იყოს ის) პირდაპირ სამუდამო მიუსაჯონ?** — მუხლი რომელიმე წლით კი არ დაიწყოს, პირდაპირ ეწეროს, რომ ამ დანაშაულისთვის არის სამუდამო სასჯელი; ან იგივე რომ გაკეთდეს პედოფილების მიმართ? ჰო, ეს ყველაფერი შეწყალების უფლების გარეშე, რადგან პედოფილიაც და ნარკოტიკების რეალიზაციაც კარგად გათვლილი და მოფიქრებულია — შემთხვევით ამ დანაშაულს ვერავინ ჩაიდენს, თუ წინასწარ არ აქვს შეცნობილი შედეგი. **დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ ნარკოტიკების გამყიდველები ძალიან კარგად დაფიქრდებიან, თორემ ჯერ გიორგი მარგველაშვილმა წაახალისა „ბარიგები“, როცა ერთ-ერთი შეიწყალა, ახლა სალომე ზურაბიშვილმა მოიმოქმედა იგივე. როცა დამნაშავეს ჰგონია, რომ თავისუფლებაზე გამოსვლის შანსი მაინც ექნება, ის უფრო თამამია, ხოლო, როცა დაზუსტებით ეცოდინება, რომ ჩავარდნის შემთხვევაში მისთვის ყველაფერი დასრულდება, სანამ ნაბიჯს გადადგამს, ძალიან ბევრს იფიქრებს.**

**არავინ თქვას, სამაჯურების შებმა სახელმწიფოს ძვირი დაუჯდებაო. 15-20 ევრო ღირს ანალოგიური სამაჯური და პრობლემის მოგვარება ერთ მილიონ ლარად მარტივად არის შესაძლებელი. ერთი (და არაერთი) მილიონი ლარი კიდევ იმდენ სისულელეებში დაუხარჯავს ხელისუფლებას, გახსენებადაც არ ღირს**

სულ ეს იყო, რაც გვინდოდა, გვეთქვა და... არავინ თქვას, სამაჯურების შებმა სახელმწიფოს ძვირი დაუჯდებაო. 15-20 ევრო ღირს ანალოგიური სამაჯური და პრობლემის მოგვარება ერთ მილიონ ლარად მარტივად არის შესაძლებელი. ერთი (და არაერთი) მილიონი ლარი კიდევ იმდენ სისულელეებში დაუხარჯავს ხელისუფლებას, გახსენებადაც არ ღირს.

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მაგრამ რა ხდება იმ ე.წ. ცივილიზებულ მსოფლიოში, საითაც ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისწრაფვის, ყველამ ვიცით. დასავლეთ ევროპაში ოჯახებისთვის წართმეული ბავშვების ელექტრონული აუქციონები ეწყობა და ასობით ბავშვია უკვე, ათასობით თუ არა, ამ გზით ერთი და იმავე სქესის წყვილების „ოჯახებზე“ გასხვისებული“.**



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: უახლოეს მომავალში წამოვა «საგანმანათლებლო» პროგრამები დაწყებითი კლასებისთვის, რათა ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე გაუღვივონ და შთაუნერგონ გარკვეული «ლიბერალური» სტანდარტები

**საქართველოში მოქმედმა უცხოეთიდან დაფინანსებულმა ორმა „არასამთავრობო ორგანიზაციამ“ — „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ — რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და „ტრანსგენდერი მამაკაცის“ ნიკოლო ღვინიაშვილისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სასურველი გენდერის ასახვაზე ქართული მართლმსაჯულების უარი გაასაჩივრა.**

განცხადებაში, რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა სარჩელის შეტანიდან მალე გაავრცელეს, ნათქვამია, რომ მომჩივანი თავის გარეგნობასა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში მითითებულ სქესს შორის შეუსაბამობის გამო დისკრიმანაციას განიცდის, რაც მისი უფლებების უხეში დარღვევაა. იმავე საჩივარში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მთელ რიგ ფუნდამენტურ ცვლილებებს საჭიროებს სექსუალური უმცირესობების უფლებების ეფექტიანად დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, განცხადებაში საუბარია ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებზე, რაც თურმე სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ არ თუ ვერ დაცვის პირობებში სექსუალური უმცირესობებისთვის და განსაკუთრებით ტრანსგენდერებისთვის ისედაც მძიმე დისკრიმინაციულ ფონს კიდევ უფრო ამძიმებს.

**ცნობისთვის:** საქართველოში მოქმედი უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, უკვე რამდენიმე წელია, ტრანსგენდერებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტში მათთვის სასურველი სქესის მითითების უფლებას ითხოვენ (საუბარია იმაზე, რომ ადამიანს პირადობის დამადასტურებელ ოკუმენტში სქესი განესაზღვროს არა მისი ბიოლოგიური აგებულების, არამედ საკუთარი სურვილის მიხედვით). აღნიშნული მოთხოვნით ერთ-ერთი ხმაურიანი და სანახაობრივი აქცია გასულ წელს „ქალთა მოძრაობამ“ გამართა ლოზუნგით „მე ვარ ქალი — აღიარე“. თუმცა, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაში მათი მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი არ დამდგარა...

**რას ნიშნავს ეს მოთხოვნა და რა პრეცედენტი შეიქმნება ქართულ კანონმდებლობაში, თუ სტრასბურგის სასამართლო „ტრანსგენდერი მამაკაცის“ სარჩელს დააკმაყოფილებს (რაც, დიდი ალბათობით, მოხდება), „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამას წინათ ორმა „არასამთავრობო ორგანიზაციამ“ ქართულ მართლმსაჯულებას „ტრანსგენდერი მამაკაცისთვის“ საიდენტიფიკაციო დოკუმენტში მისთვის სასურველი სქესის მითითებაზე უარის გამო სტრასბურგში უჩივლა. სარჩელში წერია, რომ საქართველოში ტრანსგენდერები მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციას და საჭიროა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა. თუ სტრასბურგი მომჩივანთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს კანონმდებლობაში, რა პრეცენდენტს შექმნის რეალურად ეს ყველაფერი?**

— უცხოეთიდან დაფინანსებული რომელიმე არასამთავრობოს თუ სხვა ვინმეს მიერ მსგავსი ფაქტის გამოვლინება უნდა განვიხილოთ, როგორც ე.წ. გენდერის თეორიის პრაქტიკაში დანერგვის მცდელობა. ასეთ მცდელობებს ჩვენ, უკვე წლებია, ვხედავთ და განსაკუთრებით აქტიური ეს პროცესი გახდა 2015 წლიდან, როდესაც სახალხო დამცველმა პირველად განაცხადა, რომ ტრანსგენდერებს უნდა შეძლებოდათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში მათთვის სასურველი სქესის მითითება. მოგეხსენებათ, მაშინ სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** იყო. მარტივად რომ ვთქვათ, **საუბარია იმაზე, რომ მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესი უნდა მიეთითოს არა მისი ბიოლოგიური აგებულების, არამედ სურვილის მიხედვით,** შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ, ადამიანი როცა იბადება, მისი სქესი განსაზღვრული კი არაა, ის მერე ირჩევს სქესს, თვითონ განსაზღვრავს. ხვდებით, რა აბსურდზეა ლაპარაკი?! რაც შეეხება კონკრეტულ სარჩელს, რა თქმა უნდა, **მოლოდინი იმისა, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დააკმაყოფილებს ამ სარჩელის მოთხოვნას, სრული ილუზიაა, დარწმუნებული ვარ, დააკმაყოფილებს და მიიღებს შესაბამის მკაცრ გადაწყვეტილებას.** ახლა თქვენ, ალბათ, მკითხავთ, თუ რა იქნება ამის საბოლოო შედეგი. მოგეხსენებათ, **სტრასბურგის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ატარებს პრეცენდენტულ ხასიათს ჩვენი მართლმსაჯულებისთვის და ამ შემთხვევაში ძალიან ცუდ პრეცენდენტს მივიღებთ. ფაქტობრივად იწყება ახალი ეპოქა ჩვენს კანონმდებლობაში და ცუდ პრეცენდენტში მე ვგულისხმობ იმას, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილების კვალდაკვალ დაიწყება „ლიბერალური“ საკანონმდებლო ცვლილებების კასკადი.**

**— კონკრეტულად?**

— არ მინდა, ჩემი საუბარი მკითხაობას ჰგავდეს, მაგრამ, თუ სტრასბურგი სარჩელს დააკმაყოფილებს და, პრაქტიკიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, დააკმაყოფილებს, მას აუცილებლად ექნება ერთგვარი ჯაჭვური რეაქციის ხასიათი კანონმდებლობაში. როგორც ხდება ხოლმე, იქნება დირექტივები, იქნება მითითებები და რეკომენდაციები, რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების მიმართ კი არ აღსრულდეს „სამართალი“, არამედ მართლმსაჯულება „დაიხვეწოს“. სწორედ მსგავსი დირექტივებისა და მითითებების საფუძველზე მიიღო თავის დროზე პარლამენტმა „ანტიდისკრიმინაციული“ კანონი, კანონი მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შესახებ, კანონი სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებაზე, ბავშვთა უფლებების კოდექსი და ა.შ. რაც შეეხება სოციალურ რეალობას, რომელსაც მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები შექმნის, ზოგს შეიძლება ჰგონია, რომ ვიღაცას, პრობლემური ცნობიერებით, მიაჩნია, რომ მას აქვს სქესის არჩევის უფლება, ჩაუწერენ პასპორტში მისთვის სასურველ სქესს, ვთქვათ, მამაკაცს — მდედრობითს ან პირიქით და ამით დასრულდება ყველაფერი, ცხადია, ეს არ იქნება ამ პროცესის დასასრული. **უახლოეს მომავალში წამოვა „საგანმანათლებლო“ პროგრამები დაწყებითი კლასებისთვის, რათა ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე გაუღვივონ და შთაუნერგონ გარკვეული „ლიბერალური“ სტანდარტები.** მაგალითად, ის, რომ, თურმე ადამიანი როცა იბადება, მისი სქესი განსაზღვრული კი არ არის, მას თვითონ ირჩევს; ან, მაგალითად, ის, რომ თურმე აუცილებელი არ არის, ცოლი ქალი იყოს, ისევე, როგორც ქმარი არ ნიშნავს აუცილებლად მამაკაცს. ახლა ვიღაც ამას შეიძლება აგდებულად უყურებს და ფიქრობს: რა სისულელეა, საქართველოში ეს არ მოხდებაო. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **10-15 წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ შუაგულ თბილისში, რუსთაველზე, ადამიანების ჯგუფი მამათმავლობის ზეიმს ჩაატარებდა ან ვინმე წარმოიდგენდა, რომ მსგავსი სიბინძურეები რეალური განხილვისა და მსჯელობის საგანი გახდებოდა საკანონმდებლო ორგანოში?**

**— გინდათ თქვათ, რომ საზოგადოება ნელ-ნელა შეაგუეს ამ ყველაფერს?**

— იმის თქმა მინდა, რომ **ეს არის პროცესი და ხვალ-ზეგ ამას ყველა გამოცდის საკუთარ თავზე. ყველას შეეხება, ყველა ოჯახს და განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს, იმიტომ, რომ საკმარისია, რომელიმე მათგანს გაუჩნდეს პროტესტი, ვთქვათ, სკოლის მიმართ და მოარიდოს ბავშვი არასასურველ გაკვეთილებს, სოციალური მუშაკი მას შვილს წაართმევს.** თუმცა აქ, კიდევ ვიმეორებ, პრობლემა არის ის, რომ ბევრ ადამიანს ეს არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, რომ ეს მოხდება. არადა, აუცილებლად მოხდება და ეს დრო შორს არ არის.

**«ეს არის პროცესი და ხვალ-ზეგ ამას ყველა გამოცდის საკუთარ თავზე. ყველას შეეხება, ყველა ოჯახს და განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს, იმიტომ, რომ საკმარისია, რომელიმე მათგანს გაუჩნდეს პროტესტი, ვთქვათ, სკოლის მიმართ და მოარიდოს ბავშვი არასასურველ გაკვეთილებს, სოციალური მუშაკი მას შვილს წაართმევს. თუმცა აქ, კიდევ ვიმეორებ, პრობლემა არის ის, რომ ბევრ ადამიანს ეს არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, რომ ეს მოხდება. არადა, აუცილებლად მოხდება და ეს დრო შორს არ არის»**

რაც შეეხება „ტრანსგენდერების სქესის აღიარების“ საკითხს, ვიცი, ამის გამო სრულიად „ლიბერალური“ ისტებლიშმენტი კიდევ ერთხელ აღშფოთდება და ბოლმის ნიაღვარი წამოვა ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ, მოდი, ვთქვათ სიმართლე — ვინ არის რეალურად ე.წ. ტრანსგენდერი? **ტრანსგენდერი — ეს არის ყოველგვარი ზნეობისა და მორალისაგან დაცლილი, ფაქტობრივად, უსულო ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას აღარ ახდენს შემოქმედთან და არ აქვს არავითარი პასუხისმგებლობა. პრაქტიკულად ის არის პარაზიტი იმ თვალსაზრისით, რომ ისრუტავს სხვისი შრომის ნაყოფს ბავშვების სახით.** ახლა კიდევ ვიმეორებ: ვიღაცას შეიძლება, ვერ წარმოუდგენიას, რომ აქ მსგავსი რამ მოხდება და ბიოლოგიური მშობლებისთვის წართმეულ ბავშვს ასეთ ადამიანებზე გააშვილებენ, მაგრამ რა ხდება იმ ე.წ. ცივილიზებულ მსოფლიოში, საითაც ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისწრაფვის, ყველამ ვიცით. **დასავლეთ ევროპაში ოჯახებისთვის წართმეული ბავშვების ელექტრონული აუქციონები ეწყობა და ასობით ბავშვია უკვე, ათასობით თუ არა, ამ გზით ერთი და იმავე სქესის წყვილების „ოჯახებზე“ გასხვისებული.** ამაზე მეტი არგუმენტი რაღა უნდა მოვიყვანოთ, მაგრამ იმ პირობებში, **როცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი „ლიბერალური“ მეინსტრიმული მედიის მიერ არის სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეული, ძალიან რთულია, ადამიანებს აუხსნა, რასთან გვაქვს რეალურად საქმე. საზოგადოების რაღაც ნაწილი, უბრალოდ, ვერ აღიქვამს, რა ხდება, რა პროცესი მიმდინარეობს და რა გველოდება უახლოეს მომავალში...**

**— გამოსავალს ხედავთ? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს პროცესები თავიდან ავიცილოთ?**

— ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობენ განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში იმაზე, რომ ქვეყანაში კონსერვატიული განწყობები ძლიერდება, რომ ეს დასავლეთში მიმდინარე პროცესების გამოძახილია და საბოლოოდ ამ ყველაფერს თავისი ლოგიკური დასასრული ექნება. რა თქმა უნდა, ეს განწყობები ძლიერდება და ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, რომელიც, ვფიქრობ, როგორც ორჯერ ორია ოთხი, ისეა, თუ ამ საზოგადოებრივ განწყობებს არ მიეცა შესაბამისი პოლიტიკური მიმართულება და შემდეგ ეს ყველაფერი არჩევნებში არ აისახა, მიუხედავად პროტესტისა და უკმაყოფილებისა, რომელიც შეიძლება მზარდიც იყოს, არსებული დღის წესრიგი განუხრელად გააგრძელებს აღებულ კურსს. ეს ნიშნავს, რომ ყველა დაწყებული ლიბერალური რეფორმა, ყველა გეგმა წარმატებით განხორციელდება. **შედეგად კი მივიღებთ იმას, რომ ერთ მხარეს იქნება დაზაფრული, გულგახეთქილი და უკიდურეს ნიჰილიზმში გადავარდნილი საზოგადოება, მეორე მხარეს — პოლიტიკური ელიტა, რომელიც კვლავ იხელმძღვანელებს პრინციპით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიქრის...“ ეს რომ არ მოხდეს და ქვეყანა კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდეს გარედან მართული მავნე ძალების ხელში, საჭიროა მძლავრი ეროვნულ-კონსერვატიული ფლანგი.** თუ შემდეგი არჩევნებიც მათი ტრიუმფით დასრულდება, ჩვენი მომავალი გასაგებია. საქართველოს პერსპექტივა არ აქვს, მათ ხელში საქართველო განწირულია ტოტალური უსამართლობისთვის, ტოტალური ლიბერალური დიქტატურისთვის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



ომარ მარგველაშვილი

**რატომ „გვაბოლებს“ ხელისუფლება ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ლაპარაკით წლების განმავლობაში? იმიტომ ხომ არა, რომ გადაფაროს საშინაო პრობლემები, გამოწვეული უმუშევრობით და, აქედან გამომდინარე, სიდუხჭირით?**

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ ლამის ყველა პოლიტიკოსად გვაქცია. პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი რეგულარულად აშუქებს პოლიტიკურ თემებს, თუმცა ტენდენციურად და არაპროფესიონალურად. სამწუხაროდ, ბოლო სიტყვა არა მხოლოდ მმართველ „ოცნებას“ ეხება, არამედ ოპოზიციაში მყოფ ნაცებსაც, ვინაიდან არაპროფესიონალიზმის დამკვიდრება სახელმწიფოს სათავეში მათი ყოფნიდან მოდის.**

# პრობლემებით დახუნძლული ქვეყანა

სწორია „ოცნება“, როდესაც წინამორბედს მთელ რიგ საკითხებში ადანაშაულებს, მაგრამ არასწორია, როდესაც დამნაშავეების წინააღმდეგ შესაბამის ზომებს არ იღებს. **მხოლოდ ლაპარაკით არაფერი გამოვა, პირიქით — დამნაშავე ნაცებს ისეთ განცდას უჩენს, დანაშაულის დამადასტურებელი მასალები რომ ჰქონდეთ, ამდენ ხანს პასუხს გვაგებინებდნენო, თუმცა ნაცების ბინძურ საქმეებზე ზღვა მასალა არსებობს.**

შვიდი წელია, „ოცნება“ მართავს ქვეყანას (თუ ამას მართვა ჰქვია) და მხოლოდ თითოოროლა დამნაშავე გაისტუმრა ციხეში. დანარჩენი ნაცები, მათი დამნაშავე ბელადი თავისუფლები არიან, პარლამენტშიც სხედან და გვმოძღვრავენ, კოაბიტაციით გაგულისებულნი. მმართველი ქოცები, ნაცებს არა მხოლოდ ნეპოტიზმში აჭარბებენ, არამედ არასწორ საკადრო პოლიტიკაშიც, რის გამოც ნაცების რისხვას უდავოდ იმსახურებენ.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეობისთვის მებრძოლი მთავარი პროკურორის, **შალვა თადუმაძის,** ყალბი დიპლომისა და უვიცობის საქვეყნოდ გამოვლინების ფაქტი დანაშაულებრივი საკადრო პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია.

განა ყოფილი მთავარი პროკურორის, უცხოეთში ქურდად აღიარებული **ფარცხალაძის** „მოღვაწეობა“ დასაგმობი და აღმაშფოთებელი არ არის?

ახლახან ქართველ „პოლიტიკოს“ ქალებში, მდედრობითი სქესის ჟურნალისტებსა და ექსპერტებში ისეთი კრიახი ატყდა **მამუკა ხაზარაძის** ნათქვამზე ინფრასტრუქტურის მინისტრ **მაია ცქიტიშვილის** მიმართ, გეგონებოდა, ქვეყანა დაიქცაო. ხაზარაძემ თქვა ის, რასაც არაპროფესიონალი ვიცეპრემიერი ქალბატონი იმსახურებს.

ინფრასტრუქტურის სამინისტრო მრავალფეროვნებით გამოირჩევა სხვა სამინისტროებისგან და მას უდავოდ სჭირდება პროფესიონალი ხელმძღვანელი. მაღალ თანამდებობებზე რომ „ღმერთთან“ დაახლოებულები ინიშნებიან, გასაკვირი არაფერია, ვინაიდან „ოცნების“ პარტიის დამფუძნებელიცა და ხელმძღვანელიც ის არის, მაგრამ **ნუთუ ამ პარტიაში კადრების ისეთი სიმწირეა, რომ აქცენტი გაუნათლებლებზე კეთდება?! ან რა უნდა ამდენ გაუნათლებელსა და არაკეთილსინდისიერს მმართველ პარტიაში?!**

სწორი საკადრო პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის გონიერ საშინაო და საგარეო ცხოვრებას. სამწუხაროდ, ქოცური მმართველობის შვიდი წლის განმავლობაში ეს არ შეინიშნება. **რაც შეინიშნება — ეს არის დაქცეული ეკონომიკა და დუხჭირი სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობა, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა და სხვა უბედურება, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არაპროფესიონალიზმისა და უპასუხისმგებლობის ბრალია.**

ყველას გვახსოვს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და მასში გამარჯვებული „ოცნების“ დაპირებები, რომელმაც, ნაცთა სიძულვილის წყალობით, გადაწყვიტა იმ არჩევნების ბედი. დაპირებებში იყო ისეთი, რომელთა შესრულება ეჭვს იწვევდა, მაგრამ უმრავლესობა თავისი შინაარსით ადვილად მოსაგვარებელი იყო, თუმცა „ოცნების“ შვიდწლიანი მმართველობის პირობებში დაუძლეველი ბარიერი გახდა.

ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ ლარი ორჯერ გაუფასურდებოდა, კატასტროფულად მოიმატებდა საწვავის, კვების პროდუქტების, მედიკამენტების, მომსახურების ფასები; გაღარიბებული ქვეყანა, ქოცთა დაპირებების მიუხედავად, კიდევ უფრო გაღატაკდებოდა?

ვინ იფიქრებდა იმას, რომ ქართველი ქალები დამლაგებლებად, დავრდომილთა მომვლელებად გადაიხვეწებოდნენ უცხოეთში, დამამცირებელ და შეურაწმყოფელ სამუშაოებზე? ვინ იფიქრებდა, რომ სუიციდე, ძირითადად სიღატაკით გამოწვეული, მწვერვალებს მიაღწევდა ან სიკვდილიანობა, შობადობას გადააჭარბებდა?

სუიციდის შემთხვევები, სამწუხაროდ, ყოველწლიურად კატასტროფულად მატულობს, რაც ხშირ შემთხვევაში გარდა სიდუხჭირისა, სულიერმა სიღარიბემ, ადამიანური ღირსების დამცირებამ, უსამართლობამ, მათდამი საზოგადოების აგდებულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობებს ანადგურებს ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, უმოქმედობა და, საერთოდ, ლიბერალური იდეოლოგია.

**ხალხში დაისადგურა განცდამ, რომ საშველი არ არის. სახელმწიფო ვერ და არ იცავს თავის მოსახლეობას, სუიციდის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება არ ზრუნავს თავის ხალხზე. გაუარესებული დემოგრაფიული სურათიც ამის ბრალია. სიღარიბის გამო ოჯახი ცდილობს, ერთ შვილზე მეტი არ იყოლიოს. როგორ უნდა შეინახო ოჯახი თვიური 400-500 ლარით ან ხუთსულიან ოჯახზე გამოყოფილი სამასზე ოდნავ მეტი თანხით?! ბოლო მონაცემით, საქართველო აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებთანაც ვერ მივა. იქ ერთ სულზე (გაეროს მონაცემებით) დღიურად 2 დოლარი მოდის, ჩვენთან — 81 ცენტი.** ასეთი პრობლემების მქონე ქვეყნის ხელისუფლებას პირზე არ უნდა ეკეროს ნატოში ან ევროკავშირში შესვლა, რადგან იქ ღარიბ-ღატაკ ქვეყანას არ მიიღებენ. მაშ, **რატომ „გვაბოლებს“ ხელისუფლება ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ლაპარაკით წლების განმავლობაში? იმიტომ ხომ არა, რომ გადაფაროს საშინაო პრობლემები, გამოწვეული უმუშევრობით და, აქედან გამომდინარე, სიდუხჭირით?**



**ხალხში დაისადგურა განცდამ, რომ საშველი არ არის. სახელმწიფო ვერ და არ იცავს თავის მოსახლეობას, სუიციდის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება არ ზრუნავს თავის ხალხზე. გაუარესებული დემოგრაფიული სურათიც ამის ბრალია. სიღარიბის გამო ოჯახი ცდილობს, ერთ შვილზე მეტი არ იყოლიოს. როგორ უნდა შეინახო ოჯახი თვიური 400-500 ლარით ან ხუთსულიან ოჯახზე გამოყოფილი სამასზე ოდნავ მეტი თანხით?**

შიმშილობის მსოფლიო ინდექსით საქართველოს 39-ე ადგილი უკავია. ჩვენზე უკეთესი პოზიცია აქვს რუსეთს, უკრაინას, ბელარუსს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ყირგიზეთს, ყაზახეთს, თურქმენეთს, უზბეკეთს... ...

დასავლეთ საქართველოში იმათ გარდა, ვინც სამუდამოდ გადაიხვეწა უცხოეთში, არიან ისეთებიც, ვინც სეზონურ სამუშაოზე მიდის თურქეთში — მოსავლის ასაღებად, ჩაის საკრეფად... არადა, შინ მოსავალი ულპებათ. ჩაის ბუჩქები ხეებად არის ქცეული. საბჭოთა საქართველო კი ჩაითა და ციტრუსებით ამარაგებდა სრულიად საბჭოთა კავშირს.

**რაც შეეხება ჩაის, საქართველო 97%-ით აკმაყოფილებდა საბჭოეთს. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ ოდნავი ყურადღება გამოიჩინოს ჩაის კულტურის რეაბილიტაცია-განვითარების ან გლეხთა ეზოებში დაკრეფილი ციტრუსების საექსპორტოდ გატანის მიმართ, არაფერს აკეთებს, რითაც აიძულებს გურულებს, აჭარლებს, მეგრელებს მეზობელ თურქეთში ჩაის საკრეფად და მოსავლის ასაღებად გადასვლას, იქ დასახლებას, საკუთარი კარ-მიდამოს მიტოვებას და გავერანებას. გურიის, სამეგრელოს სოფლები ისეა დაცარიელებული, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანს, ნადგურდება ყველაფერი.**

გიჩნდება კითხვები: სად არის ადგილობრივი ხელისუფლება საკრებულოს, მერიის, გუბერნატორის სახით? რას აკეთებს მერიის ლამის 200-კაციანი სამსახური, თუ არა კომპიუტერში თამაშის, ლაზღანდარობის, ღვინისა და ყავის სმის მეტს? ეს ხალხი უსაქმურობის ბაცილით არიან დაავადებულნი!

საბჭოთა კავშირის პერიოდში რაიკომ-ალმასკომში მომუშავეთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო და ისინი მშვენივრად ართმევდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლება შეგნებულად აკეთებს ყველაფერს, რათა ხალხმა მიატოვოს სამშობლო, უცხოეთში გადაიხვეწოს და ამით გაიუმჯობესოს უმუშევართა სტატისტიკური მაჩვენებელი.

ზემოთ ვახსენე ახალგაზრდების მიერ ცხოვრების თვითმკვლელობით დასრულება. სუიციდის შემთხვევების მომატება განა საგანგაშო არ არის ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა?! თვითმკვლელთა უმრავლესობა მოზარდია.

უცხოეთში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფსიქიატრები და სოციალური მუშაკები აქტიურად არიან ჩართულნი ამ საქმეში.

ჩვენთან რა ხდება? — სახელმწიფოს მხრიდან სრული იგნორირება, ტელევიზიით, პრესით სუიციდის თემაზე ლაპარაკის მიუღებლობა, თავის არიდება. არადა, ეს უდიდესი პრობლემაა ჩვენთვის.

ამ დაავადების გამომწვევი ფაქტორი ბევრია, მაგრამ მათ შორის გამოირჩევა უფულობა, დაუსაქმებლობა, მედიკამენტების, კვების პროდუქტების, ჩასაცმელ-დასახურავის სიძვირე... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ხელისუფლების ყურადღებას მოითხოვს. ხელისუფლება კი დუმს და, ნაცვლად იმისა, გულისყურით მიუდგეს საქმეს, ახალი ავტომანქანების შეძენით, სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვით არის დაკავებული.

სხვას რას უნდა მივაწეროთ პრეზიდენტის აპარატისთვის, ისე, როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის, საბიუჯეტო თანხების გაზრდა და პრეზიდენტის ახალი სასახლის ანტიკვარული ავეჯით მოსაწყობად 1.5 მილიონი ლარის გამოყოფა?! პრემიერმინისტრის განცხადებით, პოლიციას, მათ შორის პატრულს, 500 კაცი დაემატება. რას ნიშნავს ეს, თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის განიავებას?

საჭიროა რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე წასვლა, რაც მალე — მით უკეთესი, ვინაიდან დრო დავკარგეთ და 2012 წლის დაპირებას — რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას — შვიდი წლის განმავლობაში თავი ვერ მოვაბით. ჟენევისა და აბაშიძე-კარასინის ფორმატების მუშაობა საკმარისი რომ არ არის, ყველა ხედავს.

რას მივაწეროთ **ზალკალიან-ლავროვის** შეხვედრის შემდეგ „ოცნების“ წარმომადგენელთა განმარტება, რომ ნიუ-იორკის შეხვედრა „უბრალო ლადავი“ იყო და მნიშვნელოვანს იქ არ შეხებიანო. ჩვენ სერიოზულ მოლაპარაკებას მაშინ დავიწყებთ, როდესაც სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოები აღარ იქნება და რუსეთი გაიყვანს ჯარს „ოკუპირებული“ ტერიტორიებიდანო. ეს, ხომ საქართველოს მხრიდან ძველი და ხავსმოდებული ულტიმატუმია, უსუსური და უგუნური?!

ჯერ ერთი: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ ოკუპირებულია, ვისი ბრალია?

როდესაც შენ გბრალდება ცხინვალის ომის გაჩაღება და შემდეგ **სარკოზი-მედვედევის** ხელშეკრულების პროექტიდან იმ პუნქტის ამოშლა, რომელსაც თბილისს, ცხინვალსა და სოხუმს შორის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უნდა გადაეჭრა, რამაც გამოიწვია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, დეოკუპაციაზე ლაპარაკი ზედმეტია და ზედმეტია იმიტომაც, რომ აფხაზიც და ოსიც რუსს, ოკუპანტად კი არა, მხსნელად მიიჩნევს.

ჩემი აზრით, **საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებისთვის წინაპირობები კი არ უნდა წამოაყენოს, არამედ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით უნდა დაიწყოს დიალოგი. თუმცა რა გასაკვირია საგარეო საქმეებში არსებული ხარვეზები, როდესაც საშინაოში აუარება ხარვეზია და მათ გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს!**

წინ საპარლამენტო არჩევნებია, რომლისთვისაც „ოცნება“ შესაბამის ნაბიჯებს დგამს. ივანიშვილის ჩასვლა რაიონებში და იქაურ აქტივთან შეხვედრები განა ამის დამადასტურებელი არ არის?!

**ამ შეხვედრებზეც ისმის დაახლოებით ისეთივე დაპირებები, როგორიც 2012 წელს. მიზანი ერთია — ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება. არადა, 2012 წლის დაპირებების ნაწილი რომ შეესრულებინა, ხალხი დაინახავდა სიკეთეს. დღეს კი მოსახლეობა ისეა გაწბილებული „ოცნებით“, ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნების შიში რომ არ ჰქონდეს, „ოცნების“ მხარდასაჭერად თავს არ შეიწუხებდა.**

აი, სად გაუმართლა ქოცებს — კოაბიტაციამ გაუმართლა და მერე როგორ! მაგრამ ხალხს? — ნურას უკაცრავად!

**ომარ მარგველაშვილი**

კულტურა და ანტიკულტურა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელოვნების ცალკეული წარმომადგენლები — მომღერლები და მსახიობები, რუსეთის ქალაქებში თავიანთი გამოსვლების აფიშირებას ერიდებიან, ხშირად კი ამის გამო თავს იმართლებენ, თითქოს რამე დანაშაული ჩაიდინეს. ხელოვნების მუშაკებს უადგილოდ, მაგრამ მუდმივად ახსენებენ „რუსული ოკუპაციის“ თემას, ნაცვლად იმისა, რომ ეს „ოკუპაცია“ სწორედ კულტურით, ხელოვნებით, ჩვენი ხალხების ნიჭიერი, პატივცემული წარმომადგენლების ჰუმანიტარული ურთიერთობით გადაილახოს.**

# კულტურა და ხელოვნება — საქართველოს «რბილი ძალა»

**თუკი ქართულ-რუსულ ურთიერთობებს კულტურისა და ხელოვნების დონეზე განვიხილავთ, სურათი უფრო კარგი ჩანს, ვიდრე პოლიტიკურ კონტექსტში, მაგრამ ამ მხრივაც ყველაფერი უპრობლემო როდია: გავიხსენოთ ქართული სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლის — „ერისიონის“ გამოსვლა მოსკოვში 2013 წელს: მასმედიის მიერ მხარდაჭერილმა რამდენიმე მყვირალა „არასამთავრობო ორგანიზაციამ“ ისტერიკა მოაწყო ამის გამო — უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ „ერისიონი“ კრემლის დარბაზში გამოვიდა, „ოკუპანტის ბუნაგში“, როგორც ისინი თავიანთ პრიმიტიულ წარმოსახვაში აღიქვამენ მსოფლიოს ერთ-ერთ კულტურულ (და არა მხოლოდ პოლიტიკურ) ცენტრს — მოსკოვის კრემლს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ კრემლი მათი გაღიზიანების პირველ მიზეზს არ წარმოადგენს.**



სცენა სპექტაკლიდან

**გასაკვირია, სადამდე დაეცნენ ვაიპატრიოტები, როდესაც მათ, კულტურისა და ხელოვნების საკითხებში ბითურებმა, სახელგანთქმული ქართული სტუმარმასპინძლობის მიმართაც გამოავლინეს უპატივცემულობა. ამგვარი სამარცხვინო მაგალითია ერთი მუჭა იმბეცილების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია ქუთაისში — მესხიშვილის თეატრის წინ. იქ რუსული თეატრის სპექტაკლის «ნიკიტას კარიბჭესთან» გამართვის წინააღმდეგ**

ქართული ანსამბლების რუსეთში გასტროლების წინააღმდეგ მიმართული კამპანია რუსეთში „ერისიონის“ მოგზაურობის შემდეგაც გაგრძელდა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ არ დაიკავა მკაფიო პოზიცია, რამაც ფრთები შეასხა ქართულ-რუსული კულტურული კავშირების მოწინააღმდეგეებს.

დიახ, სწორედ კულტურული კავშირების და არა მხოლოდ პოლიტიკურის, მოწინააღმდეგეებს. მყვირალა ვაიპატრიოტების ამოცანა ქართულ-რუსული ურთიერთობების დაზიანებაა. მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები ორ ქვეყანას შორის მათ არ ჰყოფნით. **საქმე იქამდეც მივიდა, რომ დიდი ქართული ფოლკლორული ანსამბლები რუსეთში აღარ ჩადიან, ხოლო ხელოვნების ცალკეული წარმომადგენლები — მომღერლები და მსახიობები, რუსეთის ქალაქებში თავიანთი გამოსვლების აფიშირებას ერიდებიან, ხშირად კი ამის გამო თავს იმართლებენ, თითქოს რამე დანაშაული ჩაიდინეს. ხელოვნების მუშაკებს უადგილოდ, მაგრამ მუდმივად ახსენებენ „რუსული ოკუპაციის“ თემას, ნაცვლად იმისა, რომ ეს „ოკუპაცია“ სწორედ კულტურით, ხელოვნებით, ჩვენი ხალხების ნიჭიერი, პატივცემული წარმომადგენლების ჰუმანიტარული ურთიერთობით გადაილახოს.**

ვაიპატრიოტების მოტივი გასაგებია — ისინი მუშაობენ ბინძური ფულის სანაცვლოდ და მათ ამოცანას წარმოადგენს ხელოვნების პოლიტიზაცია, ქართველებსა და რუსებს შორის კავშირების გაწყვეტა. განა სხვა ხელშესახებ მიზანს ისახავდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარი ივნის-ივლისის მოვლენები? შედეგი — ზარალი ქართულ ეკონომიკას, რომელიც ასეულობით მილიონი დოლარით აღირიცხება...

მაგრამ მაინც **გასაკვირია, სადამდე დაეცნენ ვაიპატრიოტები, როდესაც მათ, კულტურისა და ხელოვნების საკითხებში ბითურებმა, სახელგანთქმული ქართული სტუმარმასპინძლობის მიმართაც გამოავლინეს უპატივცემულობა. ამგვარი სამარცხვინო მაგალითია ერთი მუჭა იმბეცილების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია ქუთაისში — მესხიშვილის თეატრის წინ, იქ რუსული თეატრის სპექტაკლის „ ნიკიტას კარიბჭესთან“ გამართვის წინააღმდეგ.** ყველამ იცის, რომ „აქტივისტები“ პოლიტიკურ დავალებას ასრულებდნენ, მაგრამ ხომ არ შეიძლება, საქართველო შეარცხვინო, სტუმრების — ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების შეურაცხყოფის გზით, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ რუსეთის ხელისუფლებასა და პოლიტიკასთან?! „მე მრცხვენია“, — ასე მიმართა რუსული თეატრის რეჟისორმა **მარკ როზოვსკიმ** ქუთაისის თეატრის მაყურებლებს, მომხდარის გამო...

სამაგიეროდ, სასიხარულოა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა, ისინიც კი, ვინც, შესაძლოა, არც ისე კარგად უყურებს თანამედროვე რუსულ სახელმწიფოს, თანდათან გამოფხიზლდა და არ იზიარებს კულტურისა და ხელოვნების მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას. მეტიც, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმისგან, რომელმაც თავის დროზე სარესტორნო რუსული სიმღერებიც კი აკრძალა, ამჟამინდელი ხელისუფლება გაცილებით ჯანსაღ პოზიციებზე დგას. ძალზე მნიშვნელოვანია ახლახან დანიშნული სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის — **გრიგოლ ლილუაშვილის** პოზიცია, რომელიც „იმედის“ სატელევიზიო ეთერში გამოხატა:

**„რუსოფობია ვერ წაგვადგება. ხალხი გულღიად ხვდება იმ დიდ ტურისტულ ნაკადებს, რომლებიც რუსეთიდან მოედინება, ხალხში რუსი ერის მიმართ აგრესია არ არის. აგრესია გვაქვს და არ ვეთანხმებით რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს მიმართ.**

**გუშინ ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, ჩემი აზრით, ვინაიდან ქუთაისის მესხიშვილის თეატრმა მიიღო თავისი კოლეგის, სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთი დრამატული დასი, რა დროსაც ჩვენი პოლიტიკოსი თუ არაპოლიტიკოსი აქტივისტები მისცვიდნენ და შეეცადნენ, ჩაეშალათ ეს ღონისძიება, ვინაიდან სტუმრები წარმოადგენდნენ რუსეთის მოქალაქეებს. ასეთი ფობიები შედეგის მიღწევაში არ წაგვადგება. ეს შეიძლება იყოს კონკრეტულ სეგმენტზე გათვლილი გულის მოსაფხანი რეაქციები, თუმცა საქმეს ნამდვილად არ წაადგება. შესაბამისად, თუკი იმ 9 მლნ ტურისტიდან ნახევარზე ცოტა მეტი იყო რუსულენოვანი სამყაროდან ჩამოსული და ჩვენ მათ გაშლილი ხელით, ღვინით, ჩვენი ტრადიციული სტუმართმასპინძლობით დავხვდით — რატომ უნდა დავხვდეთ აგრესიით ხელოვან ადამიანებს, რომელთაც სპექტაკლი აქვთ ჩამოტანილი ქუთაისში?!**

**ჩვენ უნდა ავირჩიოთ მიმართულებები, რომლებიც ფონს გაგვიყვანს და არა ჩიხში მოგვამწყვდევს. ვფიქრობ, რომ ეს ფობიური განცდები და მოქმედებები, რეაქციები, სწორედ ჩიხში შესაყვან მიმართულებებს წარმოდგენს ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ ეს უნდა გადავლახოთ“.**


საპროტესტო აქცია ქუთაისში

ბატონი ლილუაშვილი ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული პოსტზე და არ ჰქონდა ნათქვამი ეს სიტყვები, რომ ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სეუ“ გაემგზავრა რუსეთის სამხრეთის ქალაქებში. ეს ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე პროფესიონალურად დაკომპლექტებული საუნივერსიტეტო ანსამბლი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია გამოსული, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე. მოცეკვავეთა ახლანდელმა თაობამ პირველად გადაკვეთა რუსეთის საზღვარი. ისინი ძალზე ღელავდნენ, მაგრამ გასტროლები შესანიშნავად ჩაატარეს, მათ ასახელეს თავიანთი თავიც და საქართველოც. ესენტუკი, ნალჩიკი, სტავროპოლი, კრასნოდარი, სოჭი... მათ ყველგან ხვდებოდნენ გულითადად, რუსმა მაყურებელმა დააფასა ანსამბლის მონდომება და ოსტატობა. მოცეკვავეები მათივე ანსამბლის მუსიკოსების მიერ ორიგინალურად შესრულებული ცოცხალი მუსიკის ფონზე ცეკვავდნენ, კიდევ უფრო ორიგინალური საცეკვაო ქორეოგრაფიით. შეიძლება ითქვას, რომ **„სეუს“ წევრებმა ყველაფერი გააკეთეს საქართველოს სასახელოდ და მათ ეს გამოუვიდათ, ხოლო რუსი მაყურებლებისგან მათ ქართული კულტურისადმი დიდი სიყვარული დაინახეს. სტავროპოლის რადიომ მოაწყო ვიქტორინა და ამ ვიქტორინის გამარჯვებულებმა ქართული ანსამბლის კონცერტზე უფასო ბილეთები მიიღეს — შესანიშნავი კრეატივი, რომელმაც სტავროპოლში კონცერტს პოპულარობა შეჰმატა. ადგილობრივმა ტელევიზიამ ასევე მოამზადა სიუჟეტი კონცერტსა და ანსამბლის შემსრულებლებზე.**

ქართული ანსამბლის რუსეთში წარმატებული გამოსვლისა და ხელოვნებისა და კულტურის როლზე ორი ქვეყნის ურთიერთობებში აზრი ვკითხეთ რამდენიმე ქართველ პოლიტიკოსს:

**მიხეილ ბატიაშვილი — საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:**

— შეუძლებელია, არ გვახარებდეს საზღვარგარეთ, მათ შორის რუსეთში, ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ქართულ კულტურას იქ ძალზე აფასებენ, ჩვენ ამას ვხედავთ და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ქართულმა ანსამბლებმა თვითონ უნდა აირჩიონ თავიანთი შემოქმედებითი გზა. კულტურა მოწოდებულია, შექმნას და გაამყაროს მშვიდობა და ურთიერთგაგება სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის. მთავრობა ბევრს აკეთებს ქართული ფოლკლორის მხარდასაჭერად, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს; მაგრამ ჩვენ ასევე მივესალმებით, თუკი ესა თუ ის ანსამბლი თავს საკუთარი, კონცერტებიდან მიღებული შემოსავლებით უზრუნველყოფს.

**გენადი მარგველაშვილი — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:**

— ასეთ ღონისძიებებს უნდა მივესალმოთ, სწორედ კულტურა და ხელოვნება უნდა ახდენდეს გავლენას პოლიტიკაზე და არა პირიქით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქართული იდენტობა გაიგონ და მიიღონ კავკასიის ქედის ჩრდილოეთითაც.

**ზაზა პაპუაშვილი — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის წევრი:**

— კულტურის მნიშვნელობა უდავოა, მაგრამ კულტურა კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პოლიტიკური საკითხები გადაწყდეს მაღალ კულტურულ დონეზე, ასე ვთქვათ. უნდა იწარმოებოდეს მოლაპარაკებები და მხარეები კულტურულად უნდა მოიქცნენ. ამ შემთხვევაში ბევრი რამ დალაგდება. რაც შეეხება კულტურულ გაცვლას საქართველოსა და რუსეთს შორის, იგი პოზიტიურ ფონს შექმნის. საქართველო მსოფლიოში ცნობილია თავისი კულტურით, ფოლკლორით. როგორ შეიძლება ამის გარეშე არსებობა?! როგორ შეიძლება, სადავო გავხადოთ ანსამბლების უფლება, გავიდნენ რუსეთში ან ნებისმიერ ქვეყანაში გასტროლებზე?! ეს აბსურდია. ასე რომ, მე მხარს ვუჭერ ასეთ პროექტებს.

**ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის წევრი:**

— ხელოვნებას არ აქვს საზღვრები, მას ვერ გააჩერებს ვერავითარი მავთულხლართები. ამიტომაც ჩვენ თავად უნდა დავუჭიროთ მხარი ჩვენი კულტურისა და ხელოვნების, განსაკუთრებით ფოლკლორის, პოპულარიზაციას, რომელიც ასე სახელგანთქმულია უცხოეთში, განსაკუთრებით — რუსეთში.

**სიმონ ნოზაძე — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის წევრი:**

— ჩვენს რეგიონში ყოველთვის არსებობდა დიდი მოთხოვნა ქართულ კულტურაზე, მაგრამ საჭიროა, მუდმივად გვეჭიროს რენომე. ჩვენი კულტურა საქართველოს „რბილი ძალაა“. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ანსამბლმა შეძლო, კიდევ ერთხელ ეჩვენებინა ქართული ფოლკლორული კულტურის სიდიადე რუსეთის ქალაქებში, რასაც ყველას ვულოცავ კიდეც.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ბრძოლა ფასეულობებისთვის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის იუსტიციის მინისტრი რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის „ეპიცენტრად“ თავისი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებს მიიჩნევს. ამასთანავე, როგორც მან აღნიშნა, ამ ბრძოლამ გადაინაცვლა შტატების დონეზე, რადგან ფედერალურ ცენტრში მოქმედი რესპუბლიკური ადმინისტრაცია იცავს ტრადიციულ ფასეულობებს.**

# აშშ-ის იუსტიციის მინისტრი ტრადიციული ფასეულობების სადარაჯოზე

## აშშ-ის გენპროკურორმა შეშფოთებით განაცხადა, რომ «ტრადიციული მორალური ფასეულობების დასანგრევ ტარანად გამოიყენება კანონი»

**აშშ-ის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ „სამოქალაქო ომში“ ახალი ფრონტი გაიხსნა. ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა უილიამ ბარმა საჯაროდ დაიცვა ტრადიციული მორალი და ოჯახური ფასეულობები. პასუხად მას ბეჭდურ მედიაში არამზადა უწოდეს და დაადანაშაულეს, რომ თითქოს თავისი ბოსის, დონალდ ტრამპის, პოლიტიკური პრობლემებიდან ყურადღების გადატანას ცდილობს და სურს, „ღმერთიც კი აქციოს პრეზიდენტის თანამზრახველად“.**



### „კონსტიტუცია ღვთისმოშიში ადამიანებისთვის“

ბარი ეკლესიური კათოლიკეა. ინდიანას შტატის ნოტრდამის კათოლიკურმა უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინათ მიიწვია ლექციის წასაკითხად აშშ-ში რელიგიური თავისუფლების შესახებ. ბარიც დათანხმდა.

მინისტრმა ყველას შეახსენა, რომ ამერიკის სახელმწიფოს „დამფუძნებელი მამებისთვის“ „ძირითადი საფრთხე რესპუბლიკისთვის გარე მტრებისგან არ მომდინარეობდა“. **„შორეულ პერსპექტივაში ცენტრალური საკითხი იყო ის, შევძლებთ თუ არა, თავი გავართვათ ჩვენს თავისუფლებას“,** — განმარტა მან, — საკითხი არის ის, **შეძლებენ თუ არა თავისუფალი საზოგადოების მოქალაქეები მორალური დისციპლინისა და წესიერების შენარჩუნებას, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ თავისუფალმა ინსტიტუტებმა „გაძლონ“.**

ბარმა მიუთითა, რომ **„კლასიკურ ქრისტიანულ ტრადიციაში“ ადამიანის ბუნება მას (ადამიანს) ანიჭებს უნარს, შექმნას როგორც სიკეთე, ისე ბოროტება და, რომ საკუთარი ვნებებისადმი მონური მორჩილება კიდევ ერთი ფორმაა ტირანიისა“.**

ამ კონტექსტში ბარმა მოიყვანა აშშ-ის მეორე პრეზიდენტის, **ჯონ ადამსის,** ციტატა: **„ჩვენ არ გვყავს მთავრობა, რომელსაც შეეძლება გაუმკლავდეს მორალისა და ეკლესიისგან შეუზღუდავ ადამიანურ ვნებებს. ჩვენი კონსტიტუცია იქმნებოდა მხოლოდ ზნეობრივი და ღვთისმოშიში ადამიანებისთვის. ის სრულიად უსარგებლოა სხვა ნებისმიერი ადამიანის სამართავად“.**

ადამსი აშშ-ის პრეზიდენტი იყო 1797-1801 წლებში — **ჯორჯ ვაშინგტონის** შემდეგ და **თომას ჯეფერსონის** წინ. ის იყო ამერიკის პირველი სახელმწიფო მეთაური, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა თეთრ სახლში.

### „მოპიკეტეების მორალი“

ბარმა გაიხსენა, რომ ქრისტიანების მსოფლმხედველობა ეყრდნობა ორ დიად მცნებას — ღმერთის პატივისცემასა და მოყვასის სიყვარულს. ამ მცნებების შემცვლელები, რომლებიც შეავსებდნენ „სულიერ სიცარიელეს“ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, არ გამოჩენილა თანამედროვე ეპოქაში, რომელსაც დასავლეთში ზოგჯერ „პოსტქრისტიანულსაც“ უწოდებენ.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე ამერიკაში რელიგია აღმოჩნდა ალყაში. **„ეს არ არის დაცემა, ეს ორგანიზებული ნგრევაა,** — თქვა მან, — **რელიგიის მოწინააღმდეგენი და მათი მოკავშირეები „პროგრესისტებს“ შორის მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების, პოპულარული კულტურის, გართობის ინდუსტრიისა და სასწავლო დაწესებულებების ძალების მობილიზაციით გამუდმებით ესხმიან თავს რელიგიას და ტრადიციულ ფასეულობებს“.**

ამერიკელი მაღალჩინოსნის აზრით, ვითარების პარადოქსულობა არის ის, რომ საერო პროექტი რელიგიად იქცა. „მან შეიქმნა რელიგიის ყველა ატრიბუტი, მათ შორის ინკვიზიცია და განკვეთა“, — განაცხადა კათოლიკე გენპროკურორმა. **მან დაუპირისპირა რწმენისა და სრულყოფის გზაზე შემდგარი თითოეული ადამიანის სულის გადარჩენისკენ მიმართული ტრადიციული ქრისტიანული „მიკრომორალი“ თანამედროვე „მაკრომორალს“, რომელსაც ადამიანების პირადი არაკეთილსინდისიერება და უპასუხისმგებლობა გადააქვს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრებზე“.**

„ახალი საერო რელიგია ასწავლის მაკრომორალს, — თქვა ბარმა, — ზნეობრიობის საზომი არის არა პირადი საქციელი, არამედ პოლიტიკური იდეებისა და კოლექტიური მოქმედებისადმი ერთგულება სოციალური პრობლემების კონტექსტში“.

**„ეს სისტემა უფლებას გვაძლევს, არ შევშფოთდეთ ჩვენს პირად ცხოვრებაზე, რადგან ჩვენ ხსნას ვეძებთ პიკეტების ხაზით, — დაასკვნა აშშ-ის მთავარმა იურისტმა, — ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ ჩვენი „მაღალი ზნეობა“ ამა თუ იმ საბაბით დემონსტრაციებში მონაწილეობით“.**

აშშ-ის გენპროკურორმა შეშფოთებით განაცხადა, რომ „ტრადიციული მორალური ფასეულობების დასანგრევ ტარანად გამოიყენება კანონი“.

**გამოსვლის ბოლოს ბარმა განაცხადა, რომ, სანამ გენპროკურორად რჩება, მინესოტა იქნება მათ რიგებში, ვინც მზად არის იბრძოლოს ადამიანის თავისუფლებებიდან ყველაზე ძვირფასისთვის — იცხოვრო საკუთარი მრწამსის მიხედვით»**




თავდაპირველად — განსაზღვრული აკრძალვების გაუქმება (ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეტაპად ბარმა დაასახელა ჯერ აბორტების ლეგალიზაცია, შემდეგ — ევთანაზია აშშ-ში. ევთანაზია ამჟამად ლეგალიზებულია დედაქალაქსა და 7 შტატში), შემდეგ — **„მორწმუნე ადამიანისა და თემებისთვის მათი სარწმუნოებისთვის მიუღებელი პოლიტიკური და პრაქტიკული თემების თავს მოხვევა“.**

**ბარმა გაიხსენა, რომ ქრისტიანების მსოფლმხედველობა ეყრდნობა ორ დიად მცნებას — ღმერთის პატივისცემასა და მოყვასის სიყვარულს. ამ მცნებების შემცვლელები, რომლებიც შეავსებდნენ «სულიერ სიცარიელეს» საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, არ გამოჩენილა თანამედროვე ეპოქაში, რომელსაც დასავლეთში ზოგჯერ «პოსტქრისტიანულსაც» უწოდებენ**

ამერიკელი მინისტრი რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის „ეპიცენტრად“ თავისი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებს მიიჩნევს. ამასთანავე, როგორც მან აღნიშნა, ამ ბრძოლამ გადაინაცვლა შტატების დონეზე, რადგან ფედერალურ ცენტრში მოქმედი რესპუბლიკური ადმინისტრაცია იცავს ტრადიციულ ფასეულობებს.

ბარმა გამოყო რელიგიის მოწინააღმდეგეთა შეტევის სამი მიმართულება — **სასწავლო პროგრამის შინაარსი, ფინანსების ხელმისაწვდომობა და ე.წ. საერო ორთოდოქსიის იძულება,** მან თითოეული მიმართულების საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითები მოიყვანა.

* მისი თქმით, **ნიუ-ჯერსის შტატის ხელისუფლებამ „ცოტა ხნის წინათ მიიღო კანონი, რომელიც მოითხოვს ლგბტ-ს შესახებ ისეთი სასწავლო პროგრამის გამოყენებას, რომელიც, ბევრის აზრით, შეუთავსებელია ქრისტიანულ სწავლებასთან“. მსგავსი ნორმები შემოღებულია კალიფორნიისა და ილინოისის შტატებში, ამასთანავე, კალიფორნიის ოლქ ორანჯში განათლების ადგილობრივმა საბჭომ დაადგინა, რომ მშობლებს, რომლებიც არ ეთანხმებიან სასწავლო მასალებს სქესის, სქესობრივი კუთვნილების, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ, უფლება არ აქვთ, გაათავისუფლონ თავიანთი შვილები აღნიშნული სწავლებისგან“.**

„ზოგიერთ შემთხვევაში სკოლას შეუძლია, არც კი გააფრთხილოს მშობლები იმის თაობაზე, რა უნდა ასწავლონ ბავშვებს სექსუალური საქციელისა და ურთიერთობის შესახებ“. — დასძინა მინისტრმა.

* დაფინანსების მაგალითი აღებულია მონტანას შტატის გამოცდილებიდან. იქ კერძო სკოლებს აკრძალული აქვთ საქველმოქმედო სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობა. ამ მიდგომას იუსტიციის სამინისტრო ქვეყნის უზენაეს სასამართლოში გააპროტესტებს.

* მესამე მაგალითი ჰგავდა პირველს, მაგრამ არ ეხებოდა სასწავლო პროგრამებს. **ინდიანას შტატში მასწავლებელმა სასამართლოში გააპროტესტა ადგილობრივი კათოლიკური არქიეპისკოპოსის განკარგულება, რომ მის საზღვრებში მოქცეულ კათოლიკურ სკოლებში სამუშაოდ არ აიყვანონ მასწავლებლები, რომლებიც დაქორწინებული არიან თავიანთი სქესის წარმომადგენლებზე. იუსტიციის სამინისტრო ამაში ხედავს საეკლესიო თემის კონსტიტუციური უფლების დარღვევას და ადგილობრივ სასამართლოს ურჩევს, არ მიიღოს სარჩელი.**

ამ მაგალითების ფონზე შეუძლებელია, არ გავიხსენოთ, თავის დროზე როგორი გააფთრებული კრიტიკა დაიმსახურა აშშ-ში რუსულმა კანონმა არასრულწლოვანთა შორის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ურთიერთობის პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე.

ახლა **ირკვევა, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ხელისუფლებაა შეშფოთებული თავის სკოლებში ასეთი „სწავლების“ დაშვების გამო.**

გამოსვლის ბოლოს ბარმა განაცხადა, რომ, სანამ გენპროკურორად რჩება, მინესოტა იქნება მათ რიგებში, ვინც მზად არის, იბრძოლოს ადამიანის თავისუფლებებიდან ყველაზე ძვირფასისთვის — იცხოვრო საკუთარი მრწამსის მიხედვით“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გაცეცხლებულმა სტალინმა ერთი კი შეხედა მთავრობის თავმჯდომარეს და კბილებიდან გამოცრა: „ბეზდელნიკ!“, შემდეგ კარი გაიჯახუნა და გაუჩინარდა. არ ვიცი, სარწმუნოა თუ არა ეს პასაჟი, მაგრამ იმდენჯერ მაქვს მოსმენილი და ისეთი პიროვნებებისგან, რომელთა სიზმარიც კი დაიჯერება. და თუ ეს ასე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა 1921 წლის 25 თებერვალს კი არ დაუკარგავს, არამედ მაშინ, როდესაც სტალინმა ნოე ჟორდანიას კარი „მოუჯახუნა“. რა მოხდებოდა, სტალინი რომ დანიშნულიყო საქართველოს ჯარების მთავარსარდლად?**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-38, 2019 წ.

**ზოგიერთი „მეცნიერი“, „მკვლევარი“, მუცლით მეზღაპრე თუ დემაგოგი გვიმტკიცებს, 1921 წელს სტალინს საქართველო რომ არ დაეპყრო, რუსეთისათვის არ გადაეცა და ამით არ შეეფერხებინა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარება, ახლა ჩვენი ქვეყანა მოწინავე ქვეყნების ათეულში იქნებოდაო. ჩვენ ასეთ „მეცნიერებს“ ვიცნობთ და ვაკრიტიკებთ კიდეც.**

# რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?

რადგან დღევანდელი წერილის სიმართლის ძირითადი მოწმე **რევაზ გაბაშვილი** იქნება, მოდი, მის მოკლე ბიოგრაფიას გავეცნოთ, მეტი სანდოობის საფუძველი რომ გაუჩნდეს მკითხველს.

**რევაზ გაბაშვილი** არის ცნობილი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის, უფროსი ვაჟი, რომელიც 1882 წელს დაიბადა. 1902 წელს მან თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. 1905 წელს, როდესაც რევოლუციის ექომ ევროპასაც მიაღწია, რევაზ გაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1906 წელს არალეგალურად გაემგზავრა პეტერბურგში და სწავლა კვლავ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტის დამთავრება ვერ მოასწრო, ის 1911 წელს სასწავლებლიდან გარიცხეს. ამ დღიდან რევაზ გაბაშვილი დაუკავშირდა ქართულ რევოლუციურ მოძრაობას. მან რთული და ქარტეხილებით სავსე ცხოვრება განვლო, დაწყებული რევოლუციური მოძრაობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვითა და ემიგრაციით დამთავრებული. „სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“ — ეს იყო რევაზ გაბაშვილის დევიზი სიცოცხლის ბოლო წუთამდე, რისთვისაც მას არაერთხელ მიუღია არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც, მაგრამ არასოდეს გატეხილა და 1959 წელს მიუნხენში გამოაქვეყნა მოგონებათა 340-გვერდიანი წიგნი „რაც მახსოვს“. ბატონმა რევაზმა თავისი წიგნით ბევრს დაუფრთხო ძილი, ბევრი კი „სიზმრიდან“ გამოიყვანა. რევაზ გაბაშვილის, როგორც თვითმხილველისა და უამრავი ქარტეხილგამოვლილი კაცის, გულწრფელი ნაამბობი, ანალიზი და შეფასებები უდიდესი მონაპოვარია, როგორც ისტორიისთვის, ისე თითოეული ჩვენგანისთვის, მათთვის, ვისაც აინტერესებს თავისი ქვეყანა და თავისი ქვეყნის წარსული. ამიტომ მინდა, ჩემი დღევანდელი წერილის დარჩენილი ადგილი სწორედ ბატონ რევაზ გაბაშვილის დანახულსა და განცდილს დავუთმო:

„სოციალიზმსა და რევოლუციაზე შეშლილი საქართველოს მთავრობა, სრულიად უგულებელყოფდა ეროვნულ საკითხებს და ძალად იწვევდა რევოლუციას, როცა არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა ამ რევოლუციას საქართველოში. სულ ღია კარში იჭრებოდნენ, რამდენადაც ეს შეეხებოდა სოციალურ საკითხებს და მთელი მათი რევოლუციონური ენერგია შინ (და გარეთაც) იხარჯებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების წინააღმდეგ.... და ესეთი დამანგრეველი, მძარცველი სულისკვეთება შერჩათ, სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, — ბოლომდე. რევოლუციონური კი არა, ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, ყაჩაღურ-რევოლუციონური ფსიქოზი არასოდეს განელებიათ.

სად დაიმალება ისეთი მაგალითები, როგორც ტრაპიზონისა და, საერთოდ, დიდი ომის, რუს-ოსმალოს ფრონტიდან ნაცარცვი აურაცხელი ქონება (სამხედრო და სხვაც), რომელიც საქართველოს „ბიუჯეტად“ ეყოფოდა“ და მე თუ „ცარცვას“ ვეძახი, სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტურმა პარტიებმა და კერძო პირებმა დაირიგეს, და არა — სახელმწიფოს გადასცეს. მათი „კოოპერატივები“ და კერძო ვაჭრები ჰყიდდნენ და მდიდრდებოდნენ, ჩამოტანილი შაქრით, ფქვილით, რძის კონსერვებითა და ათასი სხვა რამ სანოვაგითა და საქონლით.

...აქ თუ ახდილი ძარცვა-ყაჩაღობა ხდებოდა, ეგრეთ წოდებული „ზემგორის“ უთვალავი ქონება — კარავ-უნაგირ-ლურსმიდან დაწყებული, ფართლეულ-ფქვილ-კონსერვებით გათავებული — ისე საიდუმლოდ ქრებოდა, ზურგით, ცხენით, ურმით, ვაგონებით წაღებული, რომ ორიოდე თვის შემდეგ სადგურიდან მუშტაიდამდე მთებად დაყენებული მდიდარი საწყობები, უდაბნოს მოგაგონებდათ. თბილისის სამხედრო საწყობები (ნახევარ-მილიონზე მეტი ჯარის ამუნიციისა იყო) ისე დაცარიელდა, რომ შემთხვევით გადარჩენილიდან (ან ვერ მიგნებულიდან), 1921 წლის ომის შემდეგაც ბოლშევიკებს დარჩათ 17 000 ახალი თოფი (ქუთაისში 300 ხელუხლები ტყვიისმფრქვეველი) და... „მთავრობამ“ (?) ყურები გამოუჭედა ქვეყანას: იარაღი არაგვქონდა და ჯარი როგორ უნდა შეგვექმნა ან რითი შეგვეიარაღებია“-ო (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 206).

**მენშევიკები და მენშევიკური მთავრობის ბოგინის პერიოდი არამხოლოდ ოციანი წლების, საერთოდ, მეოცე საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში სამარცხვინო წლებია. ეს ის მენშევიკური მთავრობაა, რომელიც 1990-იან წლებში „დამოუკიდებლობამოპოვებულმა“ საქართველოს რესპუბლიკამ, ქართველი ხალხის საუბედუროდ და სამარცხვინოდ, დიდ წინაპრად აღიარა.**

„მე ვამტკიცებ, — განაგრძობს რევაზ გაბაშვილი, — ჟორდანია არ იყო სახელმწიფო კაცი, მას ეგონა, რომ სახელმწიფოს შექმნა, შენახვა და დაცვა შეიძლება ცარიელი სიტყვებით, ნაცარქექიელი მოკვარახჭინებით, და, მეორე: ჟორდანიას თავისი საკუთარი ჯარისა ყოველთვის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 231).



**სტალინი, განგებისაგან ხელდასხმული, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიემგზავრება ფრონტზე. იცის, რომ განწირულია, მაგრამ შიშის განცდა დაკარგული აქვს. ის სამხრეთში მიდის, როგორც გრიგალი, რათა წალეკოს ყოველგვარი უწმინდურობა, ღალატი და ფარისევლობა; ის გონებაში ადგენს, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების განადგურების გეგმას**

**სასაცილოა, სამარცხვინო რომ არ იყოს, რევაზ გაბაშვილის თვალით დანახული და თავის ხელით დაწერილი „ტაბახმელის ფრონტი“ და „სოღანლუღის ფრონტი“. ნუთუ ასეთმა უსუსურმა ხელისუფლებამ ჩაიგდო ხელში საქართველო და ასეთი უთავმოყვარეო იყო თვითონ ქართველი ხალხი? მაგრამ, როგორც ქვემოთ შევიტყობთ, უფრო თავზარდამცემი ხელისუფლება არც უცხოელი ყოფილა საქართველოში და არც ადგილობრივი.**

გავყვეთ „ფრონტების“ მიმდინარეობას:

„ტაბახმელის „ფრონტზე“

მივედი „ფრონტზედ“. ბრტყელ ბექობზე იდგა ოთხი პატარა სამთო ზარბაზანი; დახატულივით ლამაზი ვაჟკაცი ოფიცერი **ჩრდილელი** მბრძანებლობდა ამ „ბატარეას“. არც კი მოუხედია ჩემკენ, როცა ზოგიერთმა ნაცნობმა ხელქვეითმა მისმა სალამი მომცა. ამ დროს ხევის გადაღმა მარჯვენა მხარეს, გორაზედ გამოჩნდა მწყობრად მომავალი ნაწილი. აცნობეს და მაშინვე გაჩნდა **ა. ჩხეიძე**. გაიხედა დურბინდში და უბრძანა: „გახსენით ცეცხლი!“. გამიკვირდა ორი რამ: ჯერ ერთი, მხოლოდ სამი ზარბაზანი ისროდა და მეოთხე პირდაღებული იდგა ჩუმად, მეორე — ვის ესვრიან, იქნება ჩვენები არიან? რომ ვკითხე ჩემ ყოფილ მასწავლებელს („გიმნასტიკისა“) ჩხეიძეს, მიპასუხა: ამ სამ ზარბაზნისთვისაც ძლივს გვყოფნის ყუმბარები, იშვიათი სროლისათვის და ზედმეტი ხალხი რისთვის მოვაცდინოთ აქ დგომოთაო? და, რაც შეეხება სროლას, — „აქეთ რა უნდათ, რომ მოდიან, ასეთი ბრძანება შტაბს არ გაუცია და თვითონ გამოარკვიონ, მტრები არიან, თუ მოყვარენიო“. უკვე ბინდდებოდა და წამოსვლისას მითხრა: ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა და უთხარით თბილისში, ყუმბარები მოგვაწოდონ, რამდენი ხანია, ვეხვეწებით, გვპირდებიან და არსად ჩანს; მესამე დღეა, ახალგაზრდებს ამ სიცივეში არც ცხელი საჭმელი უნახავთო.“ (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 323)

## „სოღანლუღის „ფრონტზე“

დავინახე ღენერალი **გ. მაზნიაშვილი**, აჩქარებით გამოსული ზემოაღნიშნული „შტაბის“ შენობიდან, რაღაც დაკეცილი ქაღალდის ნაგლეჯის ქნევით ჰაერში: „აბა, ჩქარა, ერთი ცხენი მიშოვეთ, შიკრიკი უნდა გაიგზავნოს შავნაბადაზე!“

შეიქნა რაღაც ჩოჩქოლი... „სადა გვყავს ცხენები? — „აგერ ცხენები“ ... “ეგ გვარდიისაა, ჯარს არ ეკუთვნის“ და სხვ. ჩემი თვალით ვხედავდი ათიოდე მშვენიერ ცხენს, დაბმულს შორიახლოს ფარდულში, ფრუტუნით ქერსა და თივას რომ სჭამდნენ, მაგრამ, მტკვრის გაღმა და გამოღმა რამდენიმე ვერსის ფრონტის სარდალს, ღენერალ გიორგი მაზნიაშვილს, არა მარტო შიკრიკისათვის, თავისთვისაც არა ჰყავდა ცხენი.... რომ „ეკუნკუნლნა“, — ზაქარია გურულების „სტრატეგიული“ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ. გაიმართა ხვეწნა-ჭიდილი-ვაჭრობა ფრონტის უფროსისა და გვარდიის „წარმომადგენელის“ შუა და რის ვაი-ვაგლახით „კომპრომისით“ გათავდა: გვარდიელის ცხენზე შესხდნენ ორნი — ერთი გვარდიელი და ერთი ჯარისკაცი, შიკრიკი მაზნიაშვილი სასაჩქარო ქაღალდით და წავიდნენ“ (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 326.)

## ბათუმი

„საჯავახოს ხიდთან გროვდება მთელი ჩვენი ჯარი და გვარდია... დიდი, გადამწყვეტი ბრძოლა იქ მოხდება... მართლაც მოსჩანდა აქა-იქიდან მომავალი ნაწილები (მერე გავიგეთ, რომ 13 000 მეომარი შეიკრიბა **გიორგი მაზნიაშვილის** მეთაურობით; რაც არ მომხდარა მთელი ომის განმავლობაში ამდენი მეომრის ერთად თავმოყრა). ყურდაცქვეტინი ველოდით ბათუმში საჯავახოს ბრძოლების ამბავს. ელვასავით ხმა რომ გავარდა, ზარბაზნების ჭექა-ქუხილის მაგიერ: „მთავრობამ ზავი ჩამოაგდო ბოლშევიკებთან... ჩვენი ჯარი გადადის მათს განკარგულებაში“-ო.

**„ჟორდანია** ხომ თავის უმეწეობას აბრალებს მხედრობას, მინისტრებს, ოპოზიციას... რეპლიკებსაც კი; და ახლა სხვები ნახეთ:

**ნოე რამიშვილი** იმეორებდა ბათუმში, სტამბოლსა და პარიზშიაც: „მთავრობამ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის, მაგრამ ხალხმა არ ივარგა“-ო. **ვალიკო ჯუღელმა** ხომ არაერთხელ წარმოსთქვა ჩვეულებრივი „სიბრძნე“: ჩვენ ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდით, მაგრამ წინააღმდეგობის გაუწევლად და უპროტესტოდ ხომ არ დავნებდებოდით“-ო (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტ.3. გვ. 344-346)

„რადა ღირს, თუნდ **კოწია გვარჯალაძეს** „გამოსვლა“ ჯერ კიდევ „ეროვნულ საბჭოში“, დორბლით პირზე: „თავადაზნაურობა სულ უნდა ამოიჟლიტოს“-ო, ან **ვალიკო ჯუღელის** მინაწერი პარიზიდან თბილისში: „... სხვას თუ ვერაფერს მივაღწიეთ, თავადაზნაურობა ხომ გავანადგურეთ“-ო;

შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო და მოისმინო პრიმიტივიზმამდე დასული, ეროვნული თავმოყვარეობის არმქონე ადამიანების ფრაზები, რომლებიც ასე შიშვლად არის წარმოდგენილი რევაზ გაბაშვილის მოგონებებში. ერთს კი ვფიქრობ: რა უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას ან თუნდაც სტალინს, ბოლომდე ემხილებინათ ადამიანები, რომლებმაც უფსკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა სამ წელიწადში?! საქართველო ჯიჯგნა ათასი ჯურის გადამთიელმა. ხელისუფლებამ გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, მდიდართა ოჯახები და საზღვარგარეთ გაიქცა.

ყურმოკრული ამბავი: ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობის გეგმას ბოლშევიკური რუსეთი რევოლუციის შემდგომ პერიოდში რეგულარულად ამუშავებდა და საქმის კურსში სხვებთან ერთად სტალინიც იყო. 1920 წლის შემოდგომაზე სტალინი კონფიდენციალურად შეხვდა ნოე ჟორდანიას, გააცნო მას საქართ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო და მოისმინო პრიმიტივიზმამდე დასული, ეროვნული თავმოყვარეობის არმქონე ადამიანების ფრაზები, რომლებიც ასე შიშვლად არის წარმოდგენილი რევაზ გაბაშვილის მოგონებებში. ერთს კი ვფიქრობ: რა უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას ან თუნდაც სტალინს, ბოლომდე ემხილებინათ ადამიანები, რომლებმაც უფსკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა სამ წელიწადში?! საქართველო ჯიჯგნა ათასი ჯურის გადამთიელმა. ხელისუფლებამ გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, მდიდართა ოჯახები და საზღვარგარეთ გაიქცა.**


რევაზ გაბაშვილი

**რევაზ გაბაშვილი არის ცნობილი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის, უფროსი ვაჟი, რომელიც 1882 წელს დაიბადა. 1902 წელს მან თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. 1905 წელს, როდესაც რევოლუციის ექომ ევროპასაც მიაღწია, რევაზ გაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება**

◀ველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური სურათი და შესთავაზა, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება, თვითონ (სტალინი) დანიშნოს შეიარაღებული ძალების მინისტრად (როგორც ჩანს, სტალინი საქართველოში ილია ჭავჭავაძის სულმა გამოიძახა ამ საბედისწერო მოვლენის გამო).

როდესაც საქართველოს გაუჭირდა, სტალინმა განზე გადადო ყოველგვარი წყენა მენშევიკების მიმართ და საჭიროდ ჩათვალა, სამშობლოს სამსხვერპლოზე თავი დაედო. მშიშარა პროვინციელმა, რომელიც თავის სკამს იყო ჩაბღაუჭებული, შიშჩამდგარი თვალებით დაეჭვებულმა შეხედა სტალინს და წარმოიდგინა, რომ მას სტალინი შეიარაღებულ ძალებთან ერთად დიდხანს არ დატოვებდა სავარძელში და პასუხად უთხრა: „მარტო მე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტ, პარლამენტს უნდა შევეკითხო და საერთო აზრი შევიმუშაოდ".

გაცეცხლებულმა სტალინმა ერთი კი შეხედა მთავრობის თავმჯდომარეს და კბილებიდან გამოცრა: „ბეზდელნიკ!", შემდეგ კარი გაიჯახუნა და გაუჩინარდა. არ ვიცი, სარწმუნოა თუ არა ეს პასაჟი, მაგრამ იმდენჯერ მაქვს მოსმენილი და ისეთი პიროვნებებისგან, რომელთა სიზმარიც კი დაიჯერება. და თუ ეს ასე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა 1921 წლის 25 თებერვალს კი არ დაუკარგავს, არამედ მაშინ, როდესაც სტალინმა ნოე ჟორდანიას კარი „მოუჯახუნა". რა მოხდებოდა, სტალინი რომ დანიშნულიყო საქართველოს ჯარების მთავარსარდლად?

**ტროცკის** მიერ გადაბირებული **ლენინი** თანახმა იყო, ჩამოეცილებინათ სტალინი. უამრავ გეგმას იხილავდნენ, როგორმე ხელში მოეგდოთ და გაენეიტრალებინათ მოუხელთებელი სტალინი, მაგრამ ყველა ცდა და ხერხი უშედეგოდ დასრულდა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მიაგნეს სტალინის მოშორების ყველაზე ვერაგული ხერხს. **გადაწყდა, იოსებ ჯუღაშვილი სამხრეთის ფრონტზე გაუშვან ყოველგვარი რწმუნების გარეშე და განწირულ ცარიცინს ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან სასიკვდილოდ განწირული სტალინი შესწირონ.**

სტალინი, განგებისაგან ხელდასხმული, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიემგზავრება ფრონტზე. იცის, რომ განწირულია, მაგრამ შიშის განცდა დაკარგული აქვს. ის სამხრეთში მიდის, როგორც გრიგალი, რათა წალეკოს ყოველგვარი უწმინდურობა, ღალატი და ფარისევლობა; ის გონებაში ადგენს, როგორც გარეშე, ისე შიგა მტრების განადგურების გეგმას. ცარიცინში ჩასვლის მესამე დღეს სტალინი ელვადეპეშას უგზავნის ლენინს:

**„ექვსში ჩამოვედი ცარიცინს. ცარიცინში, ასტრახანში, სარატოვში გამეფებულია აღვირახსნილობა და სპეკულაცია. ცარიცინში შემოვაღებინე საბარათო სისტემა და მტკიცე ფასები. მიუხედავად ადგილობრივი კოლეგიების პროტესტებისა, იძულებული ვარ, დავაყენო სპეციალური კომისრები, რომლებიც უკვე ამყარებენ წესრიგს. გადაეცით შმიდტს, აღარ გამოგზავნოს თაღლითები, კობზევმა განკარგულება გასცეს, რომ კოლეგიებმა ვორონეჟში თავისივე ინტერესებისათვის დაბრკოლებები არ შეუქმნან ჩემს რწმუნებებს".**

სტალინი თავდაყირა აყენებს არა მხოლოდ ტროცკის სამხედრო უწყებას, არამედ პრინციპულად უტევს ლენინის ნეპს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა საბჭოთა რუსეთი 1920-იან წლებში). 1918 წლის 7 ივლისს ლენინისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი წერს, რომ უთანხმოება აქვს სარდლებთან, რომლებსაც პირადად ხელმძღვანელობს ტროცკი (სტალინი „მახეშია გაბმული", რადგან ის ტროცკის ხელქვეითია).

**„მივეშურები ფრონტზე... ცარიცინის სამხრეთით ხაზი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. ვლანძღავ ყველას, ვინც ღირსია. შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, არავის დავზოგავ, არც ჩვენს თავსა და არც სხვებს".**

სტალინი ცეცხლს ეთამაშება. ყოველგვარი რწმუნების გარეშე ფრონტის სარდლებს ხელმძღვანელობს და იწვევს „დუელში", მათ თავს ახვევს თავის ნებას ტროცკის ნების საწინააღმდეგოდ. სრულიად შესაძლებელია, ფრონტის სარდლებმა იგი მოღალატედ წარმოადგინონ და საველე პირობებში დახვრიტონ კიდეც, რასაც, ალბათ, ხელისუფლებაც დაეთანხმება, მაგრამ სტალინი სტალინია! ის კიდევ ერთხელ შეახსენებს ლენინს:

**„ვინაიდან განაპირა მხარეების კავშირი ცენტრთან სუსტია, საჭიროა, ადგილზე გვყავდეს დიდი რწმუნებით აღჭურვილი პირი სასწრაფო ზომების დროულად მისაღებად. და თუ ამ მიზნით დანიშნავთ ვინმეს (ვინც უნდა იყოს), მაცნობეთ პირდაპირი ხაზით და მანდატიც ასევე პირდაპირი ხაზით გადმოეცით".**

ლენინისაგან ერთი რწმუნება უკვე გაცემული იყო ჯარების დაქვემდებარების თაობაზე და ეს რწმუნება **ტროცკის** ეკუთვნოდა. მაშინ რას ითხოვს სტალინი? — უფრო მეტს, იმაზე მეტს, ვიდრე ეს ლენინსა და ტროცკის წარმოუდგენიათ. სტალინს სააშკარაოზე გამოაქვს ლენინისა და ტროცკის ერთობლივი მცდელობა, უღალატონ რევოლუციას და რუსეთი უკაცრიელ ტრამალებად აქციონ. სტალინი მაღლა დგება საკუთარ თავზე და, საერთოდ, ადამიანზე. მან გამოავლინა ზებუნებრივი ძალა, რომლის შეფასებაც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუძლებელია.

**„თუ ტროცკიმ წინდაუხედავად და განურჩევლად დაურიგა მანდატები ტრიფონოვს (დონის ოლქი), ავტონომოვს (ყუბანის ოლქი), კოპეს (სტავროპოლი), საფრანგეთის მისიის წევრებს (რომლებმაც დაპატიმრება დაიმსახურეს) და სხვებს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი თვის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაფერი დაირღვევა და ამ მხარეს საბოლოოდ დავკარგავთ".**

თუ სტალინი აქამდე მკაცრი, მაგრამ ადამიანური ენით ესაუბრებოდა ლენინს, უკვე ევსება მოთმინების ფიალა და პირდაპირ ბრძოლას იწყებს, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს, ვერც ლენინი და ვერც „სხვა რამ".

**„საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ ფორმალობის დაუცველად ჩამოვაგდებ არმიათა იმ სარდლებს და კომისრებს, რომლებიც საქმეს დაღუპავენ, ასე მიკარნახებს საქმის ინტერესი და, რასაკვირველია, ტროცკის ნაკუწი ქაღალდის უქონლობა ვერ შემაჩერებს".**

მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ადამიანის აზროვნება და ქმედება. მის გაბედულებას აქვს უხორცობისა და ზეადამიანურ ქმედებათა ნიშანთვისებები. **სტალინი იდგა ბრძოლის ველზე, რომლისკენაც მიმართული იყო ათასობით თოფი და ხმალი, მაგრამ მისმა სიმართლემ, უშიშრობამ, გამჭრიახობამ, გამბედაობამ და უფლის ხელდასმამ, იმის ნაცვლად, რომ კუბოთი ჩაეყვანათ ხელისუფლებისათვის, უკვდავების შარავანდედით შემოსილი, სამოქალაქო ომში გამარჯვებული, წითელი ვარსკვლავით მკერდდამშვენებული დააბრუნა დედაქალაქში.**

ადვილად წარმოსადგენია, რა შიში აიტანდა ნოე ჟორდანიას, როდესაც სტალინს წარმოიდგენდა ქართული ჯარის სარდლად და თქვენ, მკითხველო, ალბათ, აცნობიერებთ, რომ სტალინის ხელში ქართული ჯარი გადაიქცეოდა ლომების პრაიდად, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

მე უარვყოფ აზრს, რომ სტალინი საქართველოსთვის ტრაგედია იყო. **ტრაგედიას საქართველოსთვის მენშევიკური მთავრობა და მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია წარმოადგენდ?.** მენშევიკების კისერზეა, როგორც რუსეთის იმპერიაში გაჩაღებული სამოქალაქო ომი, ისე საქართველოში 1918-1921 წლების დიდი თუ პატარა ომები, რომლებმაც საქართველო ეკონომიკურად და ტერიტორიულად გააჩანაგა, დაასუსტა მორალურად.



მენშევიკური მთავრობის არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და სიმჩატემ, ევროპისკენ გაუთვითცნობიერებლად სწრაფვამ და ბოლშევიკური რუსეთისადმი შეურიგებელმა მოქმედებამ შექმნა იმის წინაპირობა, რომ საქართველომ თავისი ძირძველი მიწები დაკარგა, ამის გამო კი ხელისუფლებამ — ხალხში ნდობა და სიყვარული. საქართველოს ტერიტორიული კატასტროფის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მენშევიკური მთავრობაა.

ზოგიერთი ავტორი აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს გმირობად უთვლის, რომ მან გაბედა და სტალინის ეპოქაში ქართველი ერის ისტორია დაწერა. **მათ უნდა შევახსენო, რომ საქართველოს ისტორიის დაწერის ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ სტალინისგან მოდიოდა და, როდესაც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა, თავიანთი ნებისა და გემოვნების მიხედვით, არასრულყოფილად შეადგინეს საქართველოს ისტორიის წიგნის მაკეტი, სადაც ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო ან დამახინჯებით მიეწოდებინათ მოვლენები, სტალინმა მკაცრად გააფრთხილა სამივე დიდი მეცნიერი და მოუწოდა, პირუთვნელად ეწერათ თავიანთი ქვეყნის ისტორია.** აი, ამის შემდეგ გაჩნდა ისტორიის სახელმძღვანელოში ვრცელი მიმოხილვა დავითისა და თამარის ეპოქებზე, სააკაძისა თუ სხვა პიროვნებათა ღირსებებზე. ასე რომ, გმირობად ნუ ჩა?თვლით ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის შექმნას. მეცნიერი, რომელიც მენშევიკების აქტიური მხარდამჭერი იყო და 1921 წელს უნივერსიტეტის ახალგაზრდებს კრემლის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა, სტალინმა გადაარჩინა შურისძიებით აღვსილი ქართველი ბოლშევიკების რისხვისგან და უმაღლეს სამეცნიერო და სახელისუფლო კვარცხლბეკზე აიყვანა. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი მის წინააღმდეგ მებრძოლი უნივერსიტეტის ექვსი კომუნისტი რექტორი მიზეზთა გამო დახვრიტეს.

„ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული და მოქალაქეობრივი გმირობის ფასი რომ წარმოვიდგინოთ, უნდა გავიაზროთ, რომ ქართველი ერის ისტორიის უმთავრესი კვლევა სტალინის ზეობის პერიოდში მიმდინარეობდა".

და მერე რა, ეს კარგი იყო თუ ცუდი? ეს გმირობა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის თუ იოსებ სტალინს? ივანე ჯავახიშვილს უნდა ეწერა, როგორც მეცნიერს, სტალინს კი უნდა დაებეჭდა, როგორც ხელისუფალს. რომელმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა? — მგონი, ორივემ კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. მაშ, რატომ ერთს — გმირობა და მეორეს — „ვირობა"?

უახლესი ისტორიის მეცნიერი და მკვლევარი **ვახტანგ გურული**, თავის შრომებში ფართოდ მიმოიხილავს სტალინის როლს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწორად შეფასებაში და ილიას გავლენას სტალინის სოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

„ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებას იჩენდა. იგი არც 1901-1904 წლებში და არც შემდგომ პერიოდში ილიას წინააღმდეგ წამოწყებულ ბინძურ კამპანიაში არ ჩაბმულა. ილიას მიერ ხელდასხმულ მოღვაწეს კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში" (ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი", გვ.12)

ალბათ, სტალინმაც შორეულ ვენაში 1913 წელს სწორედ თავისი დიდი წინაპრისა და მასწავლებლის „კონსპექტი" გაიყოლა, რომლითაც შეიქმნა გენიალური ნაშრომი ეროვნულ საკითხზე. სტალინისა და ილია ჭავჭავაძის განმარტებებიდან ჩანს, რომ ისინი ერთი ძუძუთი იკვებებიან და ერთი წყაროთი საზრდოობენ. ისინი ერთი სამრეკლოდან რეკენ!

**(გაგრძელება იქნება)**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**24 ოქტომბერს სოჭში 10 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა ინიციატივით, უზრუნველყონ აფრიკის სტაბილურობა და აყვავება. სამიტის მონაწილეთა შორის იყვნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, აფრიკის სხვადასხვა სახელმწიფოს 43 ლიდერი, აგრეთვე, მინისტრები და ელჩები კიდევ 11 ქვეყნიდან (აფრიკის 54-ვე სახელმწიფოდან), 120 ელჩი და მინისტრი, აგრეთვე, ევროპის წამყვანი ქვეყნების, აშშ-ის, კანადისა და ავსტრალიის 6000-ზე მეტი წარმომადგენელი.**

# შედეგები მასშტაბური სამიტისა «რუსეთი — აფრიკა»

**სამიტის ყველა მონაწილემ და ეს აფრიკის 54 ქვეყანაა, პლუს რუსეთი, შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ერთიან პოზიციაზე სავალუტო და საგარეო პოლიტიკაში შანტაჟისა და დიქტატის თაობაზე, რომლის დაწესებასაც ცდილობს ზოგიერთი სახელმწიფო. რუსეთი დააფინანსებს აფრიკის ინფრასტრუქტურას, გზების მშენებლობას, ენერგეტიკის სფეროს, სოფლის მეურნეობას, განათლებასა და ჯანდაცვას.**




24 ოქტომბერს სოჭში დასრულდა მასშტაბური და თავისებურად უნიკალური სამიტი „რუსეთი-აფრიკა“. ეს ღონისძიება მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ახალი ეპოქის დასაწყისი იქნება აფრიკის კონტინენტისთვის. **24 ოქტომბერს სოჭში 10 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა ინიციატივით, უზრუნველყონ აფრიკის სტაბილურობა და აყვავება. სამიტის მონაწილეთა შორის იყვნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, აფრიკის სხვადასხვა სახელმწიფოს 43 ლიდერი, აგრეთვე, მინისტრები და ელჩები კიდევ 11 ქვეყნიდან (აფრიკის 54-ვე სახელმწიფოდან), 120 ელჩი და მინისტრი, აგრეთვე, ევროპის წამყვანი ქვეყნების, აშშ-ის, კანადისა და ავსტრალიის 6000-ზე მეტი წარმომადგენელი.**

1500-ზე მეტი ოფიციალური შეხვედრისა და 35 დიდი ღონისძიების გამართვის შემდეგ 24 ოქტომბერს ვლადიმერ პუტინმა შედეგები შეაჯამა. მან მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს რუსეთსა და აფრიკას შორის ყველა საკვანძო მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით დიდ დეკლარაციაზე ხელმოწერის გამო. აღსანიშნავია, რომ ყველაფერთან ერთად, ქვეყნებმა შეძლეს მოლაპარაკება ერთიან პოზიციაზე ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან შანტაჟსა და დიქტატზე სავალუტო და საგარეო პოლიტიკაში.

2 დღე-ღამის განმავლობაში მიღწეული იქნა მკაფიო საყოველთაო შეთანხმება თანამშრომლობასა და მეგობრობაზე; ურთიერთგაგება დოლარის გავლენიდან გამოსვლის შესახებ, გაეროს გარდასაქმნელად ძალისხმევის კოორდინაციაზე, შეთანხმება თანამშრომლობის გაფართოებისა, როგორც პირდაპირ მთავრობათაშორისი ურთიერთობებით, ასევე აფრიკის კავშირის მეშვეობით; შეთანხმება — აღდგეს კეთილმეზობლური და საქმიანი ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ეს ურთიერთობები ადრე დაინგრა; შეთანხმება — ერთობლივად აამაღლონ აფრიკის უსაფრთხორება და სხვ.

სულ ხელი მოაწერეს 15 მლრდ დოლარის 1500-ზე მეტ შეთანხმებას, მემორანდუმსა და კონტრაქტს. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, ამიერიდან სამიტი „რუსეთი-აფრიკა“ სტაბილურად ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება — რიგრიგობით სხვადასხვა ქვეყანაში.

სამიტის გამორჩეული მოვლენა იყო ეგვიპტის პრეზიდენტის — **ფათაჰ ას-სისისა** და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა, რომლის შემდეგაც ას-სისიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ კაიროსთვის მოსკოვი ყველაზე საიმედო პარტნიორია. ორი ქვეყნის ლიდერებმა მოილაპარაკეს ჩარტერული ავიამიმოსვლის განახლების შესახებ, აგრეთვე, აფრიკის ინფრასტრუქტურის, გზების მშენებლობისა და ენერგეტიკის სფეროს დაფინანსებაზე.

სამიტზე იმსჯელეს არა მხოლოდ პერსპექტივებზე, არამედ გაიხსენეს უკვე მიღწეულიც. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტმა და მისმა კოლეგამ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან — **ფორსტენ-არკანჟ ტუადერამ** ღონისძიებების მონაწილეებს უამბეს იმის შესახებ, როგორ თანამშრომლობენ ისინი განათლების, ვაჭრობისა და თავდაცვის სფეროებში.

სახელმწიფოების ლიდერებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ ლიბიის საკითხი. ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **აბდელ ჰადი ალ-ჰუვეიჯმა** განაცხადა, რომ მზად არის, აამოქმედოს სახალხო ერთობის მთავრობის ჩამოყალიბების პროცედურა და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები.

**ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლის კომენტირებისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ლიბიაში კრიზისი პირდაპირ არის დაკავშირებული ზოგიერთი ქვეყნის უპასუხისმგებლო და საფუძველშივე მცდარ პოლიტიკასთან, რომლებმაც გააუკუღმართეს გაეროს რეზოლუცია. რუსეთის პრეზიდენტმა დასძინა, რომ რუსეთი შეეცდება, ყველაფერი გააკეთოს კონფლიქტის მოსაგვარებლად და ლიბიის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.**

რუსეთი ცდილობს აფრიკაში ფეხის მოკიდებას. უწინარესად, ეს ეხება გასაღების ბაზრებსა და სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებას, შემდეგ მოდის სამხედრო ბაზების განლაგება.

**2 დღე-ღამის განმავლობაში მიღწეული იქნა მკაფიო საყოველთაო შეთანხმება თანამშრომლობასა და მეგობრობაზე; ურთიერთგაგება დოლარის გავლენიდან გამოსვლის შესახებ, გაეროს გარდასაქმნელად ძალისხმევის კოორდინაციაზე, შეთანხმება თანამშრომლობის გაფართოებისა, როგორც პირდაპირ მთავრობათაშორისი ურთიერთობებით, ასევე აფრიკის კავშირის მეშვეობით; შეთანხმება — აღდგეს კეთილმეზობლური და საქმიანი ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ეს ურთიერთობები ადრე დაინგრა; შეთანხმება — ერთობლივად აამაღლონ აფრიკის უსაფრთხოება და სხვ.**



**აფრიკის პოლიტიკურ ველზე რუსეთი თამაშობს ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავებული არიან ამ კონტინენტიდან სხვადასხვა რესურსის ამოქაჩვით, ამიტომ იქ რუსებისთვის ყველაზე დიდი რისკია დაპირისპირება შეიარაღებულ დაქირავებულებთან, რომლებიც დაკავებულნი არიან ადგილობრივ მოსახლეობაში ჩანერგილი აგენტების მეშვეობით სტიქიური ამბოხების მოწყობით, ადგილობრივი პოლიტიკოსების მოსყიდვითა და მათი მოშორებით, „ექსპერიმენტული“ დაავადებების სპონტანური აფეთქებით ადამიანებსა და ცხოველებს შორის. იქ არ არის სერიოზული რისკი დაპირისპირებისა ფორმატში „არმია არმიის წინააღმდეგ“.**

რუსეთი აფრიკაში, ძირითადად, წარმოდგენილი იქნება დაზვერვისა და სამხედროების მიერ მხარდაჭერილი რუსული კორპორაციების სახით. უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში რუსეთი გეგმავს კონტინენტთან გააორმაგოს საქონელბრუნვა. ამჟამად რუსეთს აფრიკაში გააქვს 14 მლრდ დოლარის შეიარაღება და 2,3 მლრდ დოლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

**გეოპოლიტიკური კონკურენცია აშშ-თან (საზოგადოდ, დასავლეთთან) ნიშნავს სისტემების პრინციპულ შეჯახებას პლანეტაზე, როდესაც ლაპარაკია ამერიკის გლობალური ჰეგემონიის ნგრევის აუცილებლობაზე, უნდა გვესმოდეს, რომ წარმატების შემთხვევაში წარმოქმნილი სიცარიელე ალტერნატივით უნდა შეივსოს. აქ არის ორი ვარიანტი — ან ჩინეთი, ან რუსეთი. სოჭში გამართული დიდი შეხვედრის შედეგები მიუთითებს აფრიკელების სერიოზულ განაცხადზე, რომ ასეთი ლიდერი რუსეთია. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსკოვს აქვს აფრიკის განვითარების მომხიბვლელი პროგრამა და რუსულ კომპანიებს შეუძლიათ, თანამშრომლობის უკეთესი პირობები შესთავაზონ ადგილობრივებს, ვიდრე ჩინელებს, ამერიკელებს ან ევროპელებს.**

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სპეციალისტები აფრიკაში 600-მდე ობიექტს აშენებდნენ, მათი ნახევარი წარმატებით დასრულდა. ალუმინის საბჭოთა წარმოება ეფუძნებოდა აფრიკულ ბოქსიტებს, მათ შორის გვინეაში მოპოვებულს. მხოლოდ კონგოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ყიდდა 10 ათას ტონა ტყვიის კონცენტრატს წელიწადში.

**აფრიკაში არის სასარგებლო წიაღისეულის მსოფლიო მარაგის მესამედი. ამჟამად აფრიკაში მოიპოვებენ მსოფლიოში მოპოვებული პლატინის 83%-ს, ალმასების — 45%-ს, ოქროს — 40%-ს, კობალტის — 47%-ს, პალადიუმის — 54%, ქრომის — 42%-ს.**

რუსეთისთვის აფრიკა საჭიროა, სულ ცოტა, სამი საკვანძო მიმართულებით:

**პირველი** — როგორც გასაღების ბაზარი რუსული ქიმიური პროდუქციისთვის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სასუქებისთვის. ამჟამად კონტინენტზე ცხოვრობს 1,2 მლრდ ადამიანი, 2050 წლისთვის 1,8 მლრდ-ს მიაღწევს. იქ სურსათის საკითხი ძალიან მწვავედ დგას, პირველ რიგში, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანგრევის გამო ევროპული და ამერიკული „ჰუმანიტარული“ დახმარების გამო. **უფასო პურმა აფრიკის ქვეყნებში მოკლა სოფლის მეურნეობის დარგი — ეს თემა დიდი და მრავალწახნაგოვანია.**

ფაქტია, გაეროს (უზარმაზარი კორუფციული სისტემა) ჰუმანიტარული დახმარებების მოცულობის გაფართოებამ აფრიკაში გამოიწვია იქაური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება, სიღარიბის მატება და შიმშილობა. პრობლემის მოგვარება კი შეიძლება სურსათის იმპორტის შემცირებით. ამისთვის კი საჭიროა ბევრი სასუქი, ძალიან ბევრი. წინასწარი შეფასებით, მხოლოდ ეს ბაზარი ყოველწლიურად 5-7 მლრდ დოლარის შემოსავალს მოიტანს 2025-2030 წლებისთვის და მატების პერსპექტივაც ექნება;

**მეორე** — ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებისთვისაც საჭიროა რუსეთში წარმოებული მოწყობილობები. მაგალითად, ამჟამად „როსატომი“ აფრიკის 12 ქვეყანაში ახორციელებს 30 პროექტს, ხოლო ატომური ენერგეტიკის საკითხებს სტუდენტებს შეასწავლის 50 ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აფრიკული შეკვეთების 14-მილიარდიანი პაკეტი შეიძლება გაორმაგდეს, რადგან ენერგეტიკული სიმძლავრეები უფრო საჭიროა, ვიდრე სასუქები;

**მესამე** — მარტივი გათვლებითაც ჩანს, რომ აფრიკული ქვეყნების ბაზარი დიდ სივრცედ შეიძლება იქცეს ყველა სახის რუსული პროდუქციისთვის. ის შეიძლება გახდეს რუსული საწარმოების პროდუქციის გასაღების ადგილი.

თუ გადავხედავთ აფრიკული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას, ვნახავთ, რომ ისინი ეკონომიკურად 45-50%-ით მიბმულნი არიან ევროკავშირთან; დაახლოებით მესამედით — მეზობელ ქვეყნებთან კონტინენტზე; 11-15%-ით — ჩინეთთან; აშშ-ის წილი კი 3,5%-ს შეადგენს.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**დოკუმენტში ჩაწერილია შეთანხმება, წინ აღუდგნენ საერთაშორისო სამართლის შეთანხმებების არქიტექტურის დარღვევებს შეიარაღებაზე კონტროლის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და განიარაღების სფეროებში. მხარეები შეთანხმდნენ, ყველაფერი გააკეთონ, რათა კოსმოსი არ გადაიქცეს კონფრონტაციის არენად და ამისკენ მოუწოდეს სხვა სახელმწიფოებსაც.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რუსეთ-აფრიკის» სამიტის ერთობლივი დეკლარაცია

**სოჭში გამართული „რუსეთ-აფრიკის“ სამიტის შემდეგ მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია. დოკუმენტში დასახულია მიზნები და ამოცანები რუსეთისა და აფრიკის თანამშრომლობის გასავითარებლად ყველა მიმართულებით — პოლიტიკაში, უსაფრთხოებაში, ეკონომიკასა და სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ ჰუმანიტარულ სფეროებში.**



დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს შემზღუდავ ზომებს დამატებული ცალმხრივი სანქციები ძირს უთხრის გაეროს უშიშროების საბჭოს ზომების ეფექტიანობას.

**ხელმომწერები შეთანხმდნენ, თავი შეიკავონ ძალისმიერ მუქარებზე ან მის გამოყენებაზე გაეროს წესდების დარღვევით და დაგმონ ცალმხრივი სამხედრო ჩარევა. აგრეთვე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა და ლეგიტიმური მთავრობის დამხობის მიზნით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის საშინაო საქმეებში ჩარევის დაგმობა.**

დოკუმენტში ჩაწერილია შეთანხმება, წინ აღუდგნენ საერთაშორისო სამართლის შეთანხმებების არქიტექტურის დარღვევებს შეიარაღებაზე კონტროლის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და განიარაღების სფეროებში. მხარეები შეთანხმდნენ, ყველაფერი გააკეთონ, რათა კოსმოსი არ გადაიქცეს კონფრონტაციის არენად და ამისკენ მოუწოდეს სხვა სახელმწიფოებსაც.

ხელმომწერები გამოვიდნენ მსოფლიო ვაჭრობაში პროტექციონიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და შეთანხმდნენ, რომ „დაუპირისპირდებიან პოლიტიკურ დიქტატსა და სავალუტო შანტაჟს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაში; აღკვეთენ ცალკეული ქვეყნების მისწრაფებას, მიითვისონ განსაკუთრებული უფლება, განსაზღვრონ სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთქმედების მიზანშეწონილობა და დასაშვები პარამეტრები; აგრეთვე, თვითონ აიცილონ გლობალური რეჟიმის მოთხოვნების მანიპულაციები არასასურველ ქვეყნებზე ზემოქმედებისა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით“.

**გადაწყდა, რომ მოხდეს ძალისხმევის კოორდინაცია და გამოცდილების გაცვლა ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის საკითხებში, აგრეთვე, დაიწყოს თანამშრომლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რადგან ბოროტმოქმედებმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიძლება დანაშაულებრივი მიზნით გამოიყენონ.**

ამას გარდა, რუსეთისა და ეგვიპტის პრეზიდენტების თანდასწრებით ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს აფრიკის კავშირის კომისიასთან, ხოლო რუსეთის მთავრობამ და აფრიკის კავშირმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძვლების შესახებ.

**ხელმომწერები შეთანხმდნენ, თავი შეიკავონ ძალისმიერ მუქარებზე ან მის გამოყენებაზე გაეროს წესდების დარღვევით და დაგმონ ცალმხრივი სამხედრო ჩარევა. აგრეთვე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა და ლეგიტიმური მთავრობის დამხობის მიზნით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის საშინაო საქმეებში ჩარევის დაგმობა**

# რუსეთმა და აფრიკამ მოილაპარაკეს კოორდინირებულ მოქმედებაზე ვაჭრობის დედოლარიზაციისთვის



**რუსეთი და აფრიკის ქვეყნები კოორდინირებულად იმოქმედებენ მსოფლიო ვაჭრობაში პოლიტიკურ დიქტატსა და სავალუტო შანტაჟთან დასაპირისპირებლად. შეთანხმება, რომელიც ჩაიწერა რუსეთ-აფრიკის პირველი სამიტის დეკლარაციაში, 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა.**

დეკლარაციაში, აგრეთვე, მოხსენიებულია ქვეყნების განზრახვა, ერთობლივი ძალებით იმოქმედონ ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, სტიქიური უბედურებისა და ეპიდემიების პრევენციისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების უფრო სამართლიანი სისტემის ასაშენებლად, აგრეთვე, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და კოსმოსის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

# რუსეთი და აფრიკა შეთანხმდნენ გაეროს ერთობლივად რეფორმირებაზე



**რუსეთი და აფრიკის ქვეყნები ერთობლივად მიმართავენ ძალისხმევას გაეროს რეფორმირებაზე, მათ შორის, ამ ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს. ეს შეთანხმება ჩაწერილია 24 ოქტომბერს გამოქვეყნებულ რუსეთ-აფრიკის პირველი სამიტის დეკლარაციაში.**

„მხარეები შეთანხმდნენ, მჭიდროდ ითანამშრომლონ გაეროს პრინციპებისა და მიზნების რეალიზაციისას, უზრუნველყონ გაეროს აქტიური როლი საერთაშორისო საქმეებში, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერას; მიმართონ კოორდინირებული ძალისხმევა გაეროს რეფორმირებისთვის, მათ შორის, უშიშროების საბჭოს, აგრეთვე, გაეროს პოტენციალის ასამაღლებლად არსებული და ახალი გლობალური გამოწვევებისა და მუქარების წინააღმდეგ“, — ნათქვამია დეკლარაციაში.



# გერმანიაში იზრდება უკმაყოფილება ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების ყოფნის გამო

**გერმანელ დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ძალიან ნეგატიური ფაქტორია ამერიკელების სამხედრო კონტიგენტის ყოფნა პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დასავლეთსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმების შეწყვეტა არაბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე.**

გერმანელი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების ყოფნის გამო. გერმანიის მემარცხენე პარტიის დეპუტატებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს ხელისუფლებას, ქვეყნიდან გაიყვანოს აშშ-ის სამხედრნოები. მათი აზრით, ამერიკელების ყოფნა არათუ ხელს უწყობს უსაფრთხოების განმტკიცებას, პირიქით — უშლის.

გერმანელ დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ძალიან ნეგატიური ფაქტორია, ამერიკელების სამხედრო კონტიგენტის ყოფნა პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დასავლეთსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმების შეწყვეტა არაბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ გერმანიის მთავრობა ყურად იღებს დეპუტატების მოწოდებას — აშშ-ის გავლენა გერმანიაზე ძალიან დიდია, მაგრამ უსიტყვო მორჩილება, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ იყო, უკვე აღარ არის.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძე**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განვლილმა 30 წელიწადმა დაგვარწმუნა ერთ პოლიტიკურ ჭეშმარიტებაში: აშშ-ის დემოკრატიულ-სამართლებრივი მოწყობა და მაღალგანვითარებული ეკონომიკა მოქმედებს მის საზღვრებს შიგნით, მის გარეთ კი, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელსაც, შესაძლოა, საერთო არც არაფერი ჰქონდეს არა მხოლოდ დემოკრატიასა და სამართალთან, არამედ, პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით ზნეობასთანაც კი.**

# ტენდენცია, რომელიც ძირს უთხრის ქართულ ცნობიერებასა და სახელმწიფოებრიობას

## ნუ ავყვებით ოცდაათ ვერცხლზე გაყიდულ მოღალატეებს!

**საქართველოს ისტორიის გაკვეთილები გვკარნახობს, რომ ჩვენი ქვეყნის სამომავლო ორიენტირების განსაზღვრის საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ წარსულის არა თვითმიზნური და აკვიატებული განქიქებით, არა მასთან უაზრო დაპირისპირებით, არამედ წარსულის გამოცდილებიდან ყველაზე გონივრული პრაქტიკის ჩვენს ქმედებებში გათვალისწინებით, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი ტრადიციებისა თუ მმართველობის იმ ფორმების შენარჩუნებითა და დღევანდელობაში გადმონერგვით, რომლებიც მოგვცემს საშუალებას, მათთან ჰარმონიული თანხმობით სრულვყოთ ჩვენივე ნოვატორული იდეების ხორცშესხმა.**

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ალბათ, ვთანხმდებით, რომ დღევანდელ ვითარებაში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მისწრაფებაა ჩვენი ძირძველი, დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნება; მკვიდრი მოსახლეობის საზღვარგარეთის ქვეყნებში მიგრაციის შეჩერება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება; გარე სამხედრო აგრესიისგან გარანტირებული დაცვა; ჩვენს ყოფიერებაში მოწინავე ევროპული ღირებულებების დამკვიდრება და მასთან მჭიდრო ინტეგრაცია; ქვეყანაში ჭეშმარიტი სამართლისა და დემოკრატიის დამკვიდრება და ამის საფუძველზე მშვიდი ცხოვრება, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და თითოეული მოქალაქის მატერიალური მდგომარეობისა და სოციალური დაცულობის ხარისხის მკვეთრი ამაღლება.

კარგად ჩავუღრმავდეთ და ყოველგვარი ემოციების გარეშე პრაგმატული მიდგომებით გავაცნობიეროთ, რომ ყოველგვარი შიდა თუ გარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ცვალებადობის ფონზე ჩვენი მიზანი და მისწრაფება უნდა იყოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკური ქმედებების განხორციელება, რომლებსაც, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს ქართველი ერის კეთილდღეობა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გადარჩენა-განმტკიცება და, თუ ამისთვის საკუთარი შეხედულებებისა და თვალსაზრისის შეცვლაც დაგვჭირდება, ესეც გავაკეთოთ.

ისტორიაში კარგად არის ცნობილი, მე-16 საუკუნის დასაწყისში როგორ დაიპყრეს ესპანელმა კონკისტადორებმა **კორტესის** სარდლობით ამერიკის კონტინენტზე აბორიგენი მოსახლეობის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ხალხი — აცტეკები და როგორ გამოასალმეს სიცოცხლეს მათი გულუბრყვილო ბელადი **მონტესუმა;** შემდგომ ევროპულმა სახელმწიფოებმა რიგრიგობით როგორ დაიპყრეს, გაძარცვეს, დაიმონეს იქ მცხოვრები აბორიგენები და თავისსავე სამკვიდრო მიწა-წყალზე როგორ აქციეს უმცირესობებად და მეორეხარისხოვან მოსახლეობად.

**როდესაც ჩვენს სინამდვილეში გაბატონებულია ტენდენცია, რომ ჩვენი უცვლელი მიზანი და მისწრაფება, ლამის კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლად გამოცხადების დონეზეც კი, არის ნატოს სამხედრო ბლოკში გაერთიანება და პარალელურად ენერგიულად დომინირებს ინტონაცია, რომ „რუსეთი ოკუპანტია“, პოლიტიკური თვალსაზრისით, ასეთი აშკარად არაპრაგმატული, საღ აზრს მოკლებული, ეროვნული ცნობიერების დამაკნინებელი და ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის საფრთხის შემცველი გაუთვითცნობიერებელი მიდგომები და ქმედებები ძალაუნებურად გვამსგავსებს ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები აცტეკების მოსახლეობას და მათ ბელად მონტესუმას, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ პლანეტის სხვა, დანარჩენი სამყაროს არსებობაზე და ბუნებრივია, მისი ცივილიზაციის დონეზე,** რის გამოც ვერ ჩასწვდნენ იმ ზრახვების ამოცნობას და გაშიფვრას, რომელთა აღსასრულებლადაც მათ მოევლინენ სრულიად უცხო ტომის მომხვდურები.

ცხადია, არც ერთ საღად მოაზროვნე ქართველს არ სურს, რომ საქართველომ აცტეკებისა და მათი ბელადის ტრაგიკული ბედი გაიზიაროს; არ სურს, რომ, ისევე, როგორც ამერიკის დღევანდელი აბორიგენი ინდიელები, ქართველებიც გადავიქცეთ გადაშენებული ერის ცოცხალ ექსპონატებად, რომლებსაც ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს დაუფლებული უცხოტომელები დაანახვებენ ჩამოსულ ტურისტებს.

**მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოებრიობის მიერ თავისთავზე განცდილით კარგად არის აღქმული და გაცნობიერებული ჩვენი ქვეყნის მძიმე რეალობა, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის ინდექსითაც ოფიციალურად აღიარებულია, რომ საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა განიცდის ნელ რეგრესს, რაც იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით იმ ნიშნულს, რომლის მიხედვითაც გაუსაძლისი სიდუხჭირის გამო, ქართველების დიდი უმრავლესობისგან დაცლილ საქართველოს სრულად დაეპტრონებიან უცხოტომელები და ჩვენ მართლაც გადავიქცევით მათი ხელის შემყურე მეორეხარისხოვან მოქალაქეებად და ტურისტებისთვის საჩვენებელ აბორიგენი მოსახლეობის ცოცხალ ექსპონატებად; საქართველო იქცევა ქვეყნად, სადაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დედანში წამკითხველიც კი ძნელი მოსაძებნი იქნება.**

ასეთი კოშმარი რეალობად რომ არ გვექცეს, დასავლეთის თუ ჩრდილოეთის ქვეყნებიდან დაფინანსებულ და მათი ინტერესების გამტარებელი ამა თუ იმ პარტიების, დაჯგუფებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა, ქართული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი პროპაგანდისტული ქმედებების საპირისპიროდ საქართველოს ხელისუფლებამ, ყოველგვარ ვიწრო მერკანტილურ, პარტიულ და ბიზნეს-კორპორაციული ინტერესების გარეშე, სიღრმისეულად და მაღალი პასუხისმგებლობით უნდა გააანალიზოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენი ისტორიული წარსული, მსოფლიოს დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარება და ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს დომინანტი ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესთა გათვალისწინებით, იპოვოს და განსაზღვროს მსოფლიო პოლიტიკურ არქიტექტონიკაში საქართველოს როლისა და ფუნქციის ის ოპტიმალური სტრატეგიული ვექტორები, რომლებიც ქვეყანას, სუვერენიტეტის შენარჩუნებასთან ერთად, მოუტანს მდგრადი მშვიდობისა და განვითარების საშუალებას, ისე, რომ არსებითად არ დავარღვიოთ მსოფლიოს ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა პოლიტიკურ ინტერესთა ბალანსი და მათთვისაც და დანარჩენი ქვეყნებისთვისაც გავხდეთ „მშვიდობის კუნძული“ და არა კონფრონტაციის პოლიგონი.



**საქართველო, ძლევამოსილი რუსეთის ძალისხმევით, მართალია, იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც გაერთიანდა თავის ისტორიულ საზღვრებში; ადგილობრივმა მოსახლეობამ თავი დააღწია თურქთა, სპარსთა და ლეკთა გამუდმებულ და გაუსაძლის ინტერვენციებს; საქართველომ შეინარჩუნა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოება; თურქ-სელჩუკთა მიერ 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის აღებით საქართველოსთვის ქრისტიანულ-ცივილიზაციურ სამყაროსთან დახშული გზა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩაანაცვლა რუსეთზე გავლით ჩრდილოეთის გზამ; ქართველ ხალხს მიეცა მეურნეობის განვითარების, აღმშენებლობისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების საშუალება**

ჯერ კიდევ 1787 წელს **ჯორჯ ვაშინგტონის** ხელმძღვანელობით შემუშავებული კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილმა სახელმწიფოებრივმა მოწყობამ და სამართლებრივმა და დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა აშშ ჩამოაყალიბა უძლიერესი და მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნად, რამაც გამოიწვია მეცნიერების, კულტურისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სტანდარტების მკვეთრი ამაღლება.

სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ამ გარემოებამ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზევე, ქართველი საზოგადოების დიდ უმრავლესობას გვიბიძგა ამერიკის შეერთებული შტატებისკენ.

ეს იყო ქართველი ერის ჯანსაღი ინტუიციური მისწრაფება უკეთესი მომავლისკენ, მაგრამ **განვლილმა 30 წელიწადმა დაგვარწმუნა ერთ პოლიტიკურ ჭეშმარიტებაში: აშშ-ის მაღალი დემოკრატიულ-სამართლებრივი მოწყობა და მაღალგანვითარებული ეკონომიკა მოქმედებს მის საზღვრებს შიგნით, მის გარეთ კი, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელსაც, შესაძლოა, საერთო არც არაფერი ჰქონდეს არა მხოლოდ დემოკრატიასა და სამართალთან, არამედ, პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით ზნეობასთანაც კი.**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი დახმარება გაგვიწია დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ქართველი ხალხის დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო ინტეგრაციის მისწრაფებით და მათი სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემების ჩვენს რეალობაში დანერგვის სურვილით და ასევე იმ გარემოებით, რომ საქართველო თავისი გეოსტრატეგიულად მიმზიდველი ადგილმდებარეობით პერსპექტივაში გახდებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის სრულფასოვანი წევრი და ამით აშშ, ნატოს ქვეყნებთან ერთად, რუსეთის მიმართ მოიპოვებდა ერთგვარ სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობას.

თითქმის ორი ათეული წლის მცდელობის მიუხედავად, ჩვენ არათუ ვერ გავხდით ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის წევრი, არამედ, დღევანდელი მსოფლიოს სამხედრო-სტრატეგიული კონიუქტურიდან გამომდინარე, მასში გაწევრების პერსპექტივაც კი, პრაქტიკულად, ნულს გაუტოლდა.

რაც შეეხება ამ ხნის განმავლობაში დასავლურ სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემების ჩვენს რეალობაში დანერგვას და მათთან მჭიდრო ინტეგრაციას, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ (თუ გამიზნულად არ) შეიმუშავა (კონსტიტუციის ჩათვლით) ის საკანო- ▶

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ალბათ, ვთანხმდებით, რომ დღევანდელ ვითარებაში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მისწრაფებაა ჩვენი ძირძველი, დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნება; მკვიდრი მოსახლეობის საზღვარგარეთის ქვეყნებში მიგრაციის შეჩერება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება; გარე სამხედრო აგრესიისგან გარანტირებული დაცვა; ჩვენს ყოფიერებაში მოწინავე ევროპული ღირებულებების დამკვიდრება და მასთან მჭიდრო ინტეგრაცია; ქვეყანაში ჭეშმარიტი სამართლისა და დემოკრატიის დამკვიდრება და ამის საფუძველზე მშვიდი ცხოვრება, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და თითოეული მოქალაქის მატერიალური მდგომარეობისა და სოციალური დაცულობის ხარისხის მკვეთრი ამაღლობა.

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ნმდებლო ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ცხოვრებაში დაინერგებოდა მოწინავე ევროპული სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემები. ამასთანავე, **დასავლეთის გარკვეული წრეების წარმომადგენლები მოძღვრავდნენ ჩვენს ხელისუფლებებს, თითქოს საქართველოსთვის სულაც არ იყო საჭირო ინდუსტრიალიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების განვითარება და, რომ ყოველივე ამით მოგვამარაგებდნენ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები. ჩვენი მთავარი საქმიანობა კი უნდა ყოფილიყო ვაჭრობა, ტურიზმი და სტუმართა მომსახურება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ჯერ კიდევ ინდუსტრიული და განვითარებული სოფლის მეურნეობის, ამასთანავე, თითქმის ყველა დარგში მოქმედი ორმოცდაათამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქსელით გაჯერებული საქართველოს რესპუბლიკა უნდა გადაქცეულიყო მხოლოდ მომხმარებელ და სხვის მომსახურე ერად.**

ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები, როგორც საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის, ასევე საშინაო მოწყობისა და თავდაცვისუნარიანობის განსაზღვრის კუთხითაც.

დღევანდელ გეოპოლიტიკურ სამყაროში სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არსებობს სამი ზესახელმწიფო: აშშ, რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც გააჩნიათ თავისი საკუთარი უსაფრთხოების არეალები და მის ხელყოფას თითოეული მათგანი არ დაუშვებს არაფრის ფასად. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ თუნდაც 1962 წლის კარიბის კრიზისი, როდესაც სამყარო დადგა მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროების წინაშე.

მოგვწონს ეს თუ არა, **ნუ დაგვავიწყდება, რომ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენ ვიმყოფებით რუსეთის უსაფრთხოების არეალში და ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1962 წელს არ დაუშვა საბჭოთა სტრატეგიული შეიარაღების განთავსება კუბის ტერიტორიაზე და მესამე მსოფლიო ომის ზღვრამდეც კი მიიყვანა სამყარო, ასევე რუსეთი არასდოს არ დაუშვებს იმას, რომ ამიერკავკასიის (და მით უმეტეს საქართველოსტერიტორიაზე, რომელთანაც გადის მისი უშუალო საზღვარი) განთავსდეს რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული დანადგარები. ეს არის ძალიან მკაფიო და ნათელი მოცემულობა და, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ რეალობას და განვაგრძობთ ამ გეოპოლიტიკურ აბსურდში ყოფნას, მუდმივად ვიქნებით ასეთ ქაოსსა და დაძაბულობაში.**

დიახ, **ფაქტია: რუსეთს ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და ჩვენ სრული იურიდიული და მორალური უფლება გვაქვს, მივიჩნიოთ, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში არის ოკუპანტი.**

ახლა პრობლემას შევხედოთ ჩვენი მეზობლის, რუსეთის, გადასახედიდან: **საქართველოს მისწრაფებას, რომ გახდეს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრი, უეჭველად მოჰყვება ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი ალბათობით, თურქეთის საჯარისო კონტიგენტით, ნატოს ჯარების სამხედრო-სტრატეგიული შეიარაღების განთავსება, რაც, ბუნებრივია, სამხედრო თვალსაზრისით, მაღალი რისკის საფრთხის შემცველია რუსეთისთვის. ხოლო იმის მტკიცება და დეკლარირება, რომ საქართველოს მხრიდან გადადგმული ასეთი ნაბიჯი არ იქნება მიმართული რუსეთის საწინააღმდეგოდ, რაღა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა.**

ვისაც თავის ქვეყანაზე გული შესტკივა, დამეთანხმება, რომ, თუ გვინდა მშვიდობა და ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, უსათოოდ უნდა განვსაზღვროთ და დავადგინოთ, სად არის ჩვენი საერთო ინტერესების კვეთა ჩვენს მეზობელ, ზემძლავრ ატომურ სახელმწიფოსთან — რუსეთთან და ვიქონიოთ მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც ამასთანავე, ჩვენთვის არის პოტენციურად ყველაზე დიდი, იაფი და მოხერხებული სავაჭრო პარტნიორი და დღესდღეობით ისეთი სასიცოცხლოდ საჭირო სტრატეგიული პროდუქტის ძირითადი მომწოდებელი, როგორიც არის ხორბალი.

მაგრამ ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ ამ ნაბიჯით ჩვენ მიმართ მტრად განვაწყოთ აშშ ან დასავლეთი ევროპა. პირიქით, მსოფლიოს ყველა სუპერძალა, მათ შორის დიდი ჩინეთიც, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მშვიდობის ბალანსირებულ შენარჩუნებაზე მსოფლიოში, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი სამხედრო-სტრატეგიული კონიუქტურიდან გამომდინარე, უეჭველად მიესალმებიან საქართველოს მხრიდან ასეთ ინიციატივას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივის გაჩენისა და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ინიციატივა, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიის სამხედრო მიუმხრობლობის ზონად გამოცხადების საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას, რომლის შემუშავებაშიც, რუსეთთან ერთად, აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა აშშ-მა, ჩინეთმა, ევროკავშირმა, თურქეთმა, ირანმა და ამიერკავკასიაში ჩვენმა უშუალო მეზობელმა სახელმწიფოებმა აზერბაიჯანმა და სომხეთმა და ხელშეკულების განხორციელებისა და შენარჩუნების გარანტიების საერთაშორისო ვალდებულებები იკისრონ.

საქართველოსთვის ასეთი საეტაპო მნიშვნელობის ისტორიული მასშტაბის ხელშეკრულების მომზადება და დადება კი მოითხოვს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დიდ ძალისხმევასა და დიპლომატიურ გამჭრიახობას, რომლის მრავალმხრივი მოლაპარაკებების სერიალს, როგორც წესი, ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკა.

**იმ შუბლმაგარ ვაიპოლიტიკოსებსა და ასევე, საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ ნეოტროცკისტებს კი, რომლებიც თავგამოდებით გვიმტკიცებენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ უნდა დაველაპარაკოთ, სანამ ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს და, საერთოდ, მიზანმიმართულად ცდილობენ ქართველი საზოგადოების თვალში რუსეთის დემონიზაციას, ვუპასუხებ: ასეთი მიდგომები არ ჯდება არანაირ ჯანსაღ პოლიტიკურ-დიპლომატიური ლოგიკის ჩარჩოებში და, რომ მათი პროპაგანდისტული ქადაგება გამოხატავს დასავლეთის ან თუნდაც თვით რუსეთის აგრესიული წრეების და არა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.**



**ნუ დაგვავიწყდება, რომ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენ ვიმყოფებით რუსეთის უსაფრთხოების არეალში და ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1962 წელს არ დაუშვა საბჭოთა სტრატეგიული შეიარაღების განთავსება კუბის ტერიტორიაზე და მესამე მსოფლიო ომის ზღვრამდეც კი მიიყვანა სამყარო, ასევე რუსეთიც არასდროს არ დაუშვებს იმას, რომ ამიერკავკასიის (და მით უმეტეს საქართველოს) ტერიტორიაზე, რომელთანაც გადის მისი უშუალო საზღვარი, განთავსდეს რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული დანადგარები. ეს არის ძალიან მკაფიო და ნათელი მოცემულობა და, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ რეალობას და განვაგრძობთ ამ გეოპოლიტიკურ აბსურდში ყოფნას, მუდმივად ვიქნებით ასეთ ქაოსსა და დაძაბულობაში**

ამ თვალსაზრისით გადავხედოთ თუნდაც ჩვენს არცთუ შორეულ ისტორიას და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები.

როდესაც მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში, მეტ-ნაკლებად დამშვიდებული დასავლეთ ევროპის შუაგულში, ავსტრიის იმპერატორ **იოზეფ II**-ის კარზე **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** ქმნიდა თავის მუსიკალურ შედევრებს, მის პარალელურად, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გზაგასაყარზე, მუსლიმანური ქვეყნებისგან გაუთავებელი პერმანენტული შემოსევებისა და აოხრებების შედეგად **რუსთაველის საქართველო ისე იყო სისხლისგან დაცლილი, გაპარტახებული და დამცრობილი, რომ თვით თავად-აზნაურთა შორისაც კი სამოცი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათ და ამ გაუსაძლის და შავბნელ ფონზე, პატარა კახად წოდებულმა ბრძენმა ხელმწიფე ერეკლე II-მ, რომელიც ხმალამოღებული პირადად მიუძღვოდა ჯარს უამრავ მტერთან საბრძოლველად და რომელსაც გარდაცვალების შემდეგ ოთხმოცამდე ჭრილობა დაუთვალეს, ქართველი ერის სრული განადგურებისგან გადასარჩენად 1783 წელს ერთმორწმუნე მართლმადიდებელ დიდ რუსეთთან დადო მფარველობითი ტრაქტატი.**

დღევანდელი ფსევდოპატრიოტი ვაიპოლიტიკოსები, რომლებსაც თავი მიაჩნიათ ერეკლე მეფეზე მეტ პატრიოტებად და რუსეთის „შეშინებას" ცდილობენ ქართველის ღირსებისთვის სრულიად უცხო, საოკუპაციო ხაზთან ჩახდილი შარვლების დემონსტრირებით, დიდ მეფეს უწუნებენ სახელმწიფოებრივ აზროვნებას და დიპლომატიურ გამჭრიახობას.

საშოვარზე გამოსული პოლიტიკანებისგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის პრიზმაში უყურებენ საქართველოსაც და მის სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც, ამ ისტორიული ფაქტისადმი მათ ასეთ დამოკიდებულებაზე უნდა ითქვას შემდეგი: რა თქმა უნდა, ზედმიწევნით იცოდა რა იმდროინდელი იმპერიული მმართველობის ბუნება, მიზნები და მისწრაფებები, სრულიად წარმოუდგენელია, რომ მეფე ერეკლეს არ ჰქონოდა პოტენციურად გააზრებული ის უკიდურესი სავარაუდო შედეგები, რომლებიც, შესაძლოა, მომხდარიყო და მოხდა კიდეც სამეფო ტახტისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვით, მაგრამ სწორედ ეს არის მისი უდიდესი სიბრძნე და დამსახურება ქართველი ერის წინაშე, რომ **მან, მორალურ საწყისებს მოკლებული ყველა დროის პოლიტიკანების კრედოს: „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა" — საპირისპიროდ, სასწორის პინებზე დადო, ერთი მხრივ, ქართველი ერის გარდაუვალი აღგვა პირისაგან მიწისა და, მეორე მხრივ, სამეფო ტახტისა და გაუსაძლისი და მყიფე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სავარაუდო დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობა.**

თუ მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნების გადასახედიდან შევხედავთ საქართველოს რუსეთთან ორსაუკუნოვანი შერწყმის ისტორიულ მნიშვნელობას და ყალბი ემოციების გარეშე, პოლიტიკური პრაგმატიზმის კუთხით გავაანალიზებთ ამ თანაცხოვრების შედეგებს, დავინახავთ რომ საქართველო, ძლევამოსილი რუსეთის ძალისხმევით, მართალია, იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც გაერთიანდა თავის ისტორიულ საზღვრებში; ადგილობრივმა მოსახლეობამ თავი დააღწია თურქთა, სპარსთა და ლეკთა გამუდმებულ და გაუსაძლის ინტერვენციებს; საქართველომ შეინარჩუნა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოება; თურქ-სელჩუკთა მიერ 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის აღებით საქართველოსთვის ქრისტიანულ-ცივილიზაციურ სამყაროსთან დახშული გზა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩაანაცვლა რუსეთზე გავლით, ჩრდილოეთის გზამ; ქართველ ხალხს მიეცა მეურნეობის განვითარების, აღმშენებლობისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების საშუალება: **1801 წელს წელში გატეხილ და განადგურებულ საქართველოში თუ აღირიცხებოდა შვიდასი ათასი მცხოვრები, ორსაუკუნოვანი მშვიდობიანი ცხოვრების შედეგად, მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს აღირიცხა დაახლოებით 5,5 მილიონი;**

**ხოლო, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენი თანამემამულის იოსებ სტალინის საბჭოთა კავშირის 30 წლიანი სწორუპოვარი მმართველობის შედეგად, საქართველომ თამარ მეფის ოქროს ხანად წოდებული ეპოქის შემდეგ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულამდე, განიცადა ნამდვილი სამეცნიერო-კულტურული და ეკონომიკური რენესანსი, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და განმტკიცების თვალსაზრისით, თითქმის ყველა ზემოხსენებული კომპონენტის გათვალისწინებით საქართველო, სამწუხაროდ, განიცდის აშკარად გამოხატულ ნელ რეგრესს.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თითქმის ეროვნულ თვითმიზნად გამოვაცხადეთ ევროპარლამენტში ნათქვამი ლოზუნგი: **„მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი"**, ნუ შეგვიპყრობს ილუზია და კარგად გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთის სამყარო მაინც უცხო სხეულად მიიჩნევს საქართველოს და ასევე ისტორიის გამოცდილებიდანაც კარგად ვიცით, რომ მის მოიმედედ ყოფნა არ გამოგვადგება.

ევროპიდან გადმოვიღოთ, დავნერგოთ და შევისისხლხორცოთ, რაც საუკეთესოა დემოკრატიის, სამართლისა და ეკონომიკის მართვის კუთხით; ვეზიაროთ ჭეშმარიტად ღირებულ ევროპულ კულტურას, მაგრამ ნუ დავკარგავთ ქართველად ყოფნის სიამაყის გრძნობას და მოვუსმინოთ ჩვენი ერის გონიერ წინაპრებს.

საქართველოს უგვირგვინო მეფე **ილია ჭავჭავაძე** კი მოგვიწოდებს: **„დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის".**

დიახ, ჩვენი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის პოტენციური შესაძლებლობის გამოყენების თვალსაზრისით, საქართველოს როგორც დღევანდელმა, ასევე მომავალმა ხელისუფლებებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ, მშვიდობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული აღმალობისთვის, სამხედრო უსაფრთხოების ზონად გამოცხადებასთან ერთად, საქართველო უნდა გადავაქციოთ როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, **ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის** სავაჭრო-ეკონომიკური სატრანზიტო კომუნიკაციების გამტარ მნიშვნელოვან არტერიად და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ-ცივილიზაციური ინტეგრაციის ცენტრად.

ნუ ავყვებით საქართველოს არაკეთილმოსურნეებსა და ოცდაათ ვერცხლზე გაყიდულ მოღალატეებს!

**მტკიცედ ვიაროთ ილიას გზით!**

**ანზორ დავითაშვილი,**
არქიტექტორი

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბუნებას სიმდიდრე მოუცია, — რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიედინოს. არ იცით, საქმეს როგორ მოუაროთ? ცოდნა არა გაქვთ? მოიწვიეთ საქმის მცოდნე კაცები, ისინი გიჩვენებენ გზას. არ გაქვთ ფული? ოღონდ საქმეს გულით და გულდადებით მოეკიდენით, აჩვენეთ ქვეყანას, რომ საქმის ერთგულება შეგიძლიანთ და ფულს არავინ დაგიჭერთ".

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

მადლიანი ჰავისა და ნოყიერი ნიადაგის ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა ერთადერთი სახსარი, ერთადერთი წყაროა ცხოვრების გასაძღოლად — ილია ჭავჭავაძის ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, არ გაიზიარეს უკვე „დამოუკიდებელი" ქვეყნის ხელისუფლებებმა, რადგან ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია და საქართველოს სოფლების დიდ ნაწილს გლეხის გარეშე დარჩენა ემუქრება.

თუმცა რაღა ემუქრება...

რაც გვჭირს, საგანგაშოა და დაუყოვნებლივ მისახედი. ავიღოთ თუნდაც რაჭა, რადგან საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით რაჭა ყოველთვის გამოირჩეოდა მიგრაციის მაღალი დონით, რაც, ძირითადად, მისი რელიეფითა და კლიმატით იყო გამოწვეული. მოსახლეობა ხშირად იძულებით ტოვებდა საცხოვრებელს, რადგან სეისმურად და მეწყერულად საშიშ ზოლში ცხოვრობდა.

დღეს რაჭა ინფრასტრუქტურულად განვითარდაო, გვარწმუნებენ ხელისუფალნი, მაგრამ ფაქტია, რომ რაჭაში ნორმალური გზები არ არის, ზოგ ადგილებში კი ტყე-ბუჩქად იქცა ყველაფერი და მანქანას გადაადგილება უჭირს, დათვისა და მგლის შიშით კი ხალხს მოსავალი ვერ მოჰყავს და შინაური პირუტყვის მოვლაც უჭირს...

ამიტომ ხალხმა დატოვა ძირითადი საცხოვრისი. მოსახლეობა მხოლოდ იქ დარჩა, სადაც ვენახია, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსხვილი ვენახები გაიყიდა და თითქმის ყველა შემთხვევაში მყიდველები თბილისელი მეწარმეები არიან, მეწარმეები და არა რაჭველი გლეხები, რადგან, როგორც ჩანს, მთის რეგიონების მიმართ შეღავათის დაწესებამ ვერ წაახალისა რაჭველები. რატომ? აქ ხომ ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების ხელოვნება შთამომავლობით გადაეცემოდა თაობებს, რაჭველ კაცს ვაზის სუნთქვა ესმოდა და ადამიანივით ესაუბრებოდა მას?

— ისევ და ისევ იმ „შეღავათების" გამო.

„ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობაში 700 მილიონამდე ლარის დახარჯვას ერთი მთავარი მიზანი აქვს — დაკარგული სოფლის უკან დაბრუნება" — ეს ფრაზა სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2013 წლის 6 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა. და 6 წელიწადში რამდენ სოფელში დააბრუნეს გაქცეული გლეხი?

რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, წინა პლანზე მაინც რაჭის დემოგრაფიული სიტუაცია იკვეთება — რეგიონი მოსახლეობის გარეშე რჩება. თუ ასე გაგრძელდება, რაჭა 15 წელიწადში აღარ იარსებებს. არადა, რაჭის აღორძინებას საუკუნის წინათ მიაქციეს ყურადღება ჩვენმა დიდმა წინაპრებმა. 1876 წელს ილია წერდა: „რაჭა უფრო მთიანია, ვიდრე ვაკიანი. მაგრამ ძნელად საფიქრებელია, ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოილოს და ნაკლებულობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს. შრომისმოყვარეს და დაუზარებელს რაჭველს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთ-ექვს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადააქცევს; თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით რაჭველი იძულებული აღარ იქნება, თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინვე მოტრიალდებაო".

რაჭველთა „შინ მისატრიალებლად" — მოსახლეობის გადინების შემცირების მიზნით XX საუკუნეში რეგიონში გაიხსნა საწარმოები, ხალხი დასაქმდა, განვითარდა სოფლის მეურნეობაც, ძირითადად, მესაქონლეობა, მემცენარეობა და მეხილეობა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა საწარმო დაიხურა, მოსახლეობა უმუშევარი დარჩა და შესაბამისად, მიგრაციის დონემ საგრძნობლად მოიმატა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რაჭაში მოსახლეობის შემცირების გამო სოფლების უმრავლესობაში გაუქმდა სამედიცინო პუნქტები, დაიხურა სკოლები, რამაც ხელი შეუწყო მათ მთლიანად დაცლას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ონის რაიონში შეიქმნა, სადაც ბევრ სოფელში არც ზაფხულში და არც ზამთარში აღარავინ ცხოვრობს. ამ ბედს გაიზიარებს მალე ის სოფლებიც, რომლებშიც მხოლოდ მოხუცები დარჩნენ.

რამდენი რამ გადაიტანეს რაჭველებმა: მიწისძვრები, 90-იანი წლების ომები და ცხინვალიდან შემოტანილი წამლით გაუბედურებული და განარკომანებული თაობა, 2008 წლის ომის დროს დაბომბვა...

ღირსნი არიან რაჭველები მეტი ყურადღების. ისევ დიდ ილიას დავესესხები და ვიტყვი, რომ „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება", ანუ უსახსროდ დარჩენილი რაჭველი გლეხი კაცისა.

დღეს კი რა სიტუაციაა?

ენატრება რაჭას „თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი" რაჭველი გლეხი.

# მთავრობის პროგრამები «დაკარგული სოფლის უკან დასაბრუნებლად»,

## რომელთა გამოც რაჭაში მალე მკვიდრი მოსახლეობა აღარ დარჩება



დაცარიელებული სოფელი

**«რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი «სოფლური მეურნეობა»**

* „როცა ამბობენ, ესა და ეს ქვეყანა მდიდარი არისო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ ამ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ, რომ შესაძლოა, ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანას, როგორც მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო" *(„მევენახე გლეხთა მდგომარეობა". 1887 წ. 23 ივნისი).*

* „რაჭა უფრო მთიანია, ვიდრე ვაკიანი. მაგრამ ძნელად საფიქრებელია, ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოილოს და ნაკლებულობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს. შრომისმოყვარეს და დაუზარებელს რაჭველს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთ-ექვს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადააქცევს; თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით რაჭველი იძულებული აღარ იქნება, თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინვე მოტრიალდება. ეს მით უფრო სასურველია, რომ **რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება"** *(„იმიგრაცია საქართველოდან". 1876 წ).*

* „მუაჯარიდამ იყო საუცხოვო გადასახედ-გადმოსახედი. ერთ მხრივ ტრიალი მინდვრები, ზოგან აჯეჯილებულნი, ზოგან ტყით მუქად ამწვანებულნი, ჰსცემდნენ ერთნაირად და თანასწორად მაჯამომატებულ ცხოვრების ძარღვსა. მდელოები შეჰღიმოდნენ და შეჰხაროდნენ მზის სხივებსა, როგორც ახალგაღვიძებული ბავშვი თავის დამბადებელ დედასა. მოძრავნი ჩრდილნი, სუბუქ ღრუბლებისაგან მოდგმულნი, წყლის ჭავლსავით მიცურავდნენ გაწოწილ, აბიბინებულ მინდორზედა. დიდრონნი, თავმამწონე მთები, ზოგან თოვლისაგან გაჭაღარავებულნი მოხუცისავით, გულის სიგრილით გადმოჰყურებდნენ თავის მიუწვდომელ სიმაღლიდამ გაზაფხულისაგან გახალისებულთ, მწვანით მოსილთა მთათა. ის თოვლიანი მთები იყვნენ სიბერესავით გრილნი და დაფიქრებულნი, მაშინ როდესაც მათ ქვემოდამ ზოგან ტყიანი, ზოგან ტიტველა მთები მწვანით მოსილნი ჰფეთქდნენ მთელის სიჭაბუკის და განახლების სიცხოველითა. მთაში ყოველიფერი იყო ჭაბუკობასავით ისე მაოცნებელი და მოუსვენარი, როგორც იმ თოვლიან მთებში სიბერესავით დამჯდარი და დამშვიდებული. მუაჯარის გვერდით დიდი ბაღი, უპატრონობისაგან თავმინებებული, ათასფერად იყო აჭრელებული. ხეხილთა ყვავილნი სხვადასხვანაირნი აფერადებდნენ საუცხოვოდ ერთნაირსა ციაგსა და გრილ ჰაერსა, რომელშიაც უხვად იყო გაფანტული ყვავილთაგან აღმოსუნთქული სურნელება. ძლიერი იყო სიცოცხლე იმ დილისა. ყოველი ძარღვი ბუნებისა სრულის თავის სიცოცხლით ჰფეთქდა დაუჩუმრად; სადღესასწაულო, გაურჩეველი გალობა დედამიწისა მიდიოდა მადლით სავსე განცვიფრებულ ცისაკენა. ცაც ისე დაჟინებით მდუმარე იყო, თითქო ქვეყანას ყურს უგდებსო. ახალგაღვიძებული, ნამით პირდაბანილი ბუნება მთელის მხიარულობით იყო გაღიმებული" *(„კოლა". 1858 წ.).*

* „ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა: თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა" *(„რა გითხრათ? რით გაგახარ-* ▶

**«ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური»**

# „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*ოთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

* „ამ გზაზედ დამდგარმა კაცმა, რომ თვალი დააკვიროს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლიარა. ზომიერი ნელთბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივ გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“, 1893 წ. 7 იანვარი).*

* „ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებიარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „ამ ბოლო ხანებში ჩვენმა ქვეყანამ და უფრო მისმა ბუნებურმა სიმდიდრემ მოიზიდა ყურადღება, როგორც თვითონ რუსეთისა, ისეც სამზღვარგარეთისა. საითაც კი მიიხედავთ, ყოვლის მხრიდამ მარტო ის ისმის, რომ აი ეს და ეს ფულიანი ან კაცი ან საზოგადოება მოდის და ამა და ამ საქმეს ჰკიდებს ხელსაო. ან აქამდე რატომ არ იყო ეს ამბავი, გვიკვირს“ *(„ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“. 1887 წ. 16 თებერვალი).*

* „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ, რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში მეთქი. ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდს ფულსაც ხარჯავენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფრხებელი დენა ჰქონდეს“ *(„ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე“. 1893 წ. 13 თებერვალი).*

* „რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულისტკივილად არ იქცეს, **მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება“** *(„ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე“. 1893 წ. 13 თებერვალი).*

* „ზოგიერთს სახელმწიფოში ესე იყო, რომ ორივე ეგ გზა მთავრობას განსაკუთრებით ხელთ ეჭირა და სასოფლო მეურნეობის საქმეთა მარტო თვით განაგებდა, თვით თვისის მოთანამდე პირთაგან სცნობდა საჭიროებას ხალხისას და თვით მოთანამდე პირთაგან მოპოებულს წამალს ადებდა. თითქმის ესე იყო საფრანგეთში, საცა სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განაგებდა ცალკე “სამინისტრო მიწათმოქმედებისა, ვაჭრობისა და საყოველთაო სამუშაოსი“. ამ წყობილებას ემდუროდნენ ფრანციელნი. ამბობდნენ, ეგ სამინისტრო მარტო მიწერ-მოწერაში ვარჯიშობსო და დროსა ჰკარგავსო, საქმე კი იმოდენად არა კეთდება, რამოდენადაც სასურველიაო. ამას გარდა მთავრობის მოთანამდე პირიო, რაც უნდა გულშემატკივარი იყოსო, ნამდვილს ადგილობრივ საჭიროებას ვერ შეიტყობსო, ჯეროვანად ვერ ასწონსო და დააფასებსო“ *(„ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე“. 1893 წ. 13 თებერვალი).*

* „ბუნებას სიმდიდრე მოუცია, — რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიედინოს. არ იცით, საქმეს როგორ მოუაროთ? ცოდნა არა გაქვთ? მოიწვიეთ საქმის მცოდნე კაცები, ისინი გიჩვენებენ გზას. არ გაქვთ ფული? ოღონდ საქმეს გულით და გულდადებით მოეკიდენით, აჩვენეთ ქვეყანას, რომ საქმის ერთგულება შეგიძლიანთ და ფულს არავინ დაგიჭერთ“.

* „მრეწველობა და აღებ-მიცემობა ჯერჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია. ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა და უფრო მეტად მივარდნილი, მიყრუებული ალაგები, მოშორებულნი დიდ ქალაქებზე, მოკლებულნი უგზოობის გამო ბაზრებს, ეკონომიურად იმ მდგომარეობაში არიან, რომელიც საპოლიტიკო ეკონომიაში „ბუნებითს მეურნეობად“ არის ცნობილი“ *(„პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ“. 1887 წ. 16 მაისი).*

* „ამგვარ ეკონომიურს წესწყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას, ნაწარმოები თუნდა მომეტებულიც ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამგვარს მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან, ბაზრის უქონლობის გამო, თავის ნაწარმოებისათვის კარგი გასავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია“.

* „ამიტომაც ცდილობს, ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს; ყოველ წვრილმან შინაურ გარდასახადში, იჯარაში, საცა-კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს; ასე უსწორდება, მაგალითად, ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირს და სხვებსა“. *(„პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ“. 1887 წ. 16 მაისი).*

* „ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხნის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორიც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაივაგლახითა და გაჭირებით“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*



თბილისელი მეწარმეების ვენახები

**«ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე»**



როცა სტიქია საავტომობილო გზის კვალსაც აღარ ტოვებს

**«ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს»**

* „საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად“. *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* **„ჩვენი ეკონომიური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე“.** *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

*„პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემოძრომსა, საცა ბევრნაირი ჭია-ღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოღრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* **„რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერხანად მაინცა“** („ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).

* „თუ ეს წინათ თქმული მართალია, და ამ მართალს მივიღებთ სახეში, მაშინ ცხადად დანახული იქნება ის გზაც, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ ჩვენის განკარგებისათვის და ეკონომიურ შემძლეობის გაძლიერებისათვის“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთადერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა — საადგილმამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად უნაკლულოდ“. *(„სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“. 1886 წ. 28 თებერვალი).*

* **„სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება“** *(„მევენახე გლეხთა მდგომარეობა“. 1887 წ. 23 ივნისი).*

* „ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი ჰავისა გამო ვერა ჰხეირობს“ *(„მევენახე გლეხთა მდგომარეობა“. 1887 წ. 23 ივნისი).*

* „ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც, გლეხისა არ იყოს, „ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტყია”, ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არის დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

* „ყოველს ქართველს თავმოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის“ *(„წერილი მარჯორი უორდროპისადმი“. 1894 წ. 8/20 სექტემბერი).*

* „იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პიროვნული სიტყვა ბ-ნის ლაისტისა, მოჰფენს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ **შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უდევს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“** *(გაზეთი „ივერია“).*

გამოისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ერისიონმა“, სულ რომ არაფერი ვგონივართ, იმ მსოფლიოს აღიარებინა, რომ ჩვენს პაწაწინა ქვეყანას, ჩვენს ხალხს ასეთი სიღრმისა და ასეთი სიდიდის კულტურა აქვს.

# «ეს სიხარული და ბედნიერება სცილდება ყოველგვარ ზღვარს»

**ასე შეაფასა გაზეთმა „პარიზიენმა“ 2002 წლის 7 მარტს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ საგასტროლო წარმოდგენა.**
**უფრო სრულად ასე:**
**„სპექტაკლში ყოველივე პროფესიული სრულქმნილებითაა გადმოცემული. ეს სიხარული და ბედნიერება სცილდება ყოველგვარ ზღვარსა და ჩარჩოებს, რომლებიც ამ დროს მაყურებელში იჩენს თავს“. ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა წიგნი „ერისიონის“ მუდმივი ხელმძღვანელის, ღვაწლმოსილი ლოტბარის — ჯემალ ჭკუასელის შესახებ, რომლის ავტორია ეთერ თათარაიძე. თუ ვინმეს ეთერ თათარაიძის წარდგენა სჭირდება, არ უცხოვრია საქართველოში და ეგაა.**
**გამთენიისას ცა რომ გაიცრიცება და ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი რომ შემორჩება ხვალეს განათებულ კაბადონს, ასეთია მისი უნიკალური პოეტური შემოქმედება:**

**„სამკადრეოთ ვხყუდივარ,**
**ლექსის ხატის კარებზე,**
**თაფლის სანთლებ რქათ მინთი**
**შესაწირა ხარებზე...**
**მზე მისვენავ ანგელოზს**
**საფირონის თვალებზე...“**

**პოეტი („სრულიად ჩამოყალიბებული თვალთახედვის, აზრის მრწამსის პოეტი“ თენგიზ მირზაშვილი), ფოლკლორისტი, მეცნიერი და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების თავდაუზოგავი მსახური, თუმც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი. მუდმივად დაკავებული ამ საქმიანობით.**

ეს-ესაა, ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა ეთერ თათარაიძის წიგნი „ჯემალ ჭკუასელი“.

ავტორთან შევთანხმდით, რომ მომდევნო კვირის ოთხშაბათს შევხვდებოდი ინტერვიუს ჩამოსართმევად. მანამდე თბილისიდან იქნებოდა გასული საქართველოს ტელევიზიით 40 წლის წინათ გადაცემული პირველი ფოლკლორული ზეიმისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეთა მოსაძებნად.

**— იპოვეთ, ვისაც ეძებდით, ქალბატონო ეთერ?**

— მთელი ცხოვრება ძებნაში ვარ *(იცინის)*. 1979 წლის 14 აპრილის მერე, ფოლკლორის საღამო პირველად რომ გაიმართა, 40 წელიწადი გავიდა. ვგეგმავთ, რომ ეს საიუბილეო ღონისძიება 2019 წლის 25 ნოემბერს ჩატარდება რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში. იქ ,უკვე 10 წელიწადია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ვმართავთ უწყვეტლივ, წელიწადში ერთხელ, ამ საღამოებს.

**(თემამ გაგვიტაცა და მივყვეთ. ნაჩუქარი წიგნი მაგიდაზე დევს, როგორც რეგლამენტის შეხსენების ნიშანი).**

— ვეძებდით იმათ, — განაგრძობს **ეთერი**, — ვინც პირველ ორ საღამოში მონაწილეობდა, და, პარალელურად, იმათ შესარჩევადაც, ვისაც ახლა მოვიწვევდით. აი, გუშინ, მაგალითად, ახმეტაში დილიდან ღამემდე ვიყავით გასული, პანკისის ხეობაში. ალვანელებიც მონაწილეობდნენ პირველ საღამოში. შევხვდით თუში მეცხვარის პლატონ უსურაულის ქალიშვილს — **ლელა უსურაულს**, რომელიც მაშინ ძალით ჩამოიყვანეს თბილისში და ამღერეს ბატონმა **ვახუშტი კოტეტიშვილმა** და **ჩუბჩიკამ — თენგიზ მირზაშვილმა.** ახლა ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩვენს ღონისძიებაში, რადგან ძალიან დამძიმებული აქვს ცხოვრება. უარი თქვა. დანარჩენები, ვინც ცოცხალია და ღმერთმა კარგად ამყოფოს, ალბათ, გამოვლენ სცენაზე. უხარიათ, აღარც არავინ ელოდა ეგეთ შეხმიანებას.

ვეძებთ ახლებსაც. გვინდა, რომ ეს იყოს გამორჩეული საღამო. ვებღაუჭებით ხავსებს და გვინდა, რომ არ მოკვდეს ის, რაც ქართულ სულში იყო. საბედნიეროდ, არიან ახალგაზრდებიც. გუშინაც შევხვდით ერთ, ძალიან საინტერესო ავტორს. იმედიანად ვართ. ვფიქრობ, რომ ეს საღამო შედგება, თანაც ძალიან საინტერესოდ.

**— 40 წლის წინანდელ საღამოს მონაწილეთა შორის მაინცდამაინც ახალგაზრდები არ იყვნენ... ასე მახსოვს.**

— ძირითადად ასაკოვანი ადამიანები იყვნენ, მაგრამ იყო ახალგაზრდების რაღაც ფენა, რომელიც, საბედნიეროდ, თითქმის მთლიანად არის გადარჩენილი. ხანდაზმულები, სამწუხაროდ, აღარ არიან... თუმცა ახალგაზრდებსაც მოემატა ის 40 წელიწადი, როგორც ჩვენ (*იცინის მორიდებულად*).

ვეპატიჟებით, აგრეთვე, ძალიან დიდი ღვაწლის ხალხს, რომელმაც ის საღამოები ასე ნათლივრად ატარეთ საქართველოში. ვინც ეს მოვლენა არ შეზღუდეთ; პირიქით, რაც შეგეძლოთ, ხელი შეგვიწყვეთ. ვინც ამ საღამოს ცნობადობა დაუტოვა მთელ თავის ქვეყანას, პირველ რიგში გეპატიჟებით. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, ვინც სცენაზე გამოვიდა და ლექსი წაიკითხა.

**— ეგრე არ არის, ქალბატონო ეთერ!**

— არა, არის! თუ ეს იქვე მოკვდებოდა, თუ ამ საღამოს გაიგებდა მხოლოდ ერთი დარბაზი, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მე ამას საქებრად არ ვამბობ. საქმე ასე იყო.

პირდაპირ ვიტყვი, ნუგზარ ფოფხაძე, ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე, ტეტელევიზიის მაშინდელი ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია, ტელევიზიის ჟურნალისტები, რა თქმა უნდა, დარჩებიან ისტორიაში.

**— ამ ყველაფერს სათავეში ედგა ვახუშტი კოტეტიშვილი, აღმოსავლური პოეზიის უბადლო მთარგმნელი, თვითონაც ბრწყინვალე პოეტი, მეცნიერი და ტელეწამყვანად დაბადებული კაცი... ხომ ვიცი, რა სიდიდე იყო, მოვლენა, მაგრამ, რა ვქნა, ჩემთვის მაინც იმ ბიჭად რჩება, რომელთან ერთადაც თერთმეტი წელიწადი ერთ მერხზე ვისხედით, რომელიც პირველ-მეორე კლასებში, გაკვეთილი რომ გაგვიცდებოდა, მასწავლებლის მაგიდასთან დადგებოდა და გვიკითხავდა ლექსს ონავარ, მურაბის მოყვარულ დაძმაზე — „ამოვსვლიპოთ, ამოვთხვლიპოთ, რას გაგვიგებს ბებიაო, მერე მურით მოვითხუპნოთ ცხვირ-პირი და ყბებიაო“, ხოლო მეთერთმეტე კლასის სახელმწიფო გამოცდას ფიზიკაში ლექსად ჩააბარებდა... ვახუშტი კოტეტიშვილი მისი მეგობრებისთვის მუდმივი აღმოჩენა იყო...**


ეთერ თათარაიძე

## «ეს წიგნი არც მონოგრაფიაა, რომ ვთქვათ, ყველანაირი მკითხველისთვის ინფორმაციის მიმცემია, ადამიანური პორტრეტია ჯემალ ჭკუასელის და არა მისი შემოქმედებითი ხატება»

— ვახუშტისა და **ლექსო ჭინჭარაულს** მიჰყავდათ ის საღამოები. ჩუბჩიკა კულისებში იდგა და იქიდან ხელმძღვანელობდა ყველაფერს.

ვახუშტი, მოგეხსენებათ, თავისი მამის, ქართული ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ფუძის ჩამყრელის, დიდი ვახტანგ კოტეტიშვილის შვილი იყო, და მის კვალში ჩამდგარი, ღირსეულად აგრძელებდა ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელი დიდი ვახტანგ კოტეტიშვილის საქმეს. ამ დიდ მკვლევარს შვიდტომეული მარტო სასიმღერო ტექსტები ჰქონდა მომზადებული, მაგრამ, როცა დახვრიტეს, ყველაფერი უკვალოდ გაქრა — მისი ნაშრომები, მისი დედნები.

მაგრამ ნახეთ, რა ქნა უფალმა — მისი შვილი მოავლინა ამქვეყნად, რომელსაც უგონოდ უყვარდა ქართული ზეპირსიტყვიერება და თვითონაც ქმნიდა ბრწყინვალე ნიმუშებს. როგორ კაფიობდა ვახუშტი, ცნობილია, როგორ წერდა ხალხურ საზომში, ესეც ფაქტია. მე ვიტყოდი, რომ იგი ისეთივე ღონისა და რანგის მოღვაწეა თავისი ქვეყნისთვის, როგორიც მამამისი იყო.

**— სიხარულით შევიტყვე, რომ გამოგიციათ წიგნი ანსამბლ „ერისიონის“ დამფუძნებელსა და უცვლელ ხელმძღვანელზე — ჯემალ ჭკუასელზე.**

— დღეს უნდა გაჩუქოთ.

**— გმადლობთ!.. და ძალიან გამეხარდა, რადგან, თუ ვინმეს უნდა გამოეცა წიგნი ბატონ ჯემალზე, რა თქმა უნდა, ეთერ თათარაიძე უნდა ყოფილიყო. რამ მოგხიბლათ, რამ გადაგაწყვეტინათ წიგნის დაწერა, ეგ ხომ ძალიან დიდი და მძიმე შრომაა.**

— ძალიან დიდი შრომა უდევს მართლაც ამ წიგნს საფუძვლად. არ დავიწყებ რაღაც „არას“ და ასეთი უაზრო ფრაზებით ლაპარაკს. არც მახასიათებს... დიდი რისკიც იყო.

მე არ ვარ ეთნომუსიკოლოგი. ზეპირსიტყვიერების სპეციალისტი ვარ. სიტყვის ცოტათი მცოდნე... *(თავს იმდაბლებს იმიტომ, რომ ბუნებით არის ასეთი).* **„და რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (მათ. 23, 12).**

ეს წიგნი არც მონოგრაფიაა, რომ ვთქვათ, ყველანაირი მკითხველისთვის ინფორმაციის მიმცემია, ადამიანური პორტრეტია ჯემალ ჭკუასელის და არა მისი შემოქმედებითი ხატება.

წიგნის ის ნაწილი, რომელშიც მის მეგობრებსა და მოსწავლეებზე ვსაუბრობთ, ჩემია; ხოლო იუმორი, რომელიც წიგნში ცალკე ამბად არის შეტანილი, მისია. პატარა წიგნად იყო ჩემამდე გამოცემული. თვითონ ისურვა ასე. უამისოდ ნაკლული იქნებოდა წიგნი, რა თქმა უნდა. თუმცა მის საუბარში ყოველ წამს ჩანს, როგორი იუმორის პატრონიც არის.

### ციტატა წიგნიდან

**76 გვერდი უკავია იუმორს წიგნში. მხოლოდ ორ მაგალითს მოვიხმობ თვალსაჩინოებისთვის და ზოგიერთათვის ჭკუის სასწავლებლად.**

„ოზურგეთში, ჭადრების ჩრდილში ათიოდე კაცი ხელების ქნევით დაობდა, მივუახლოვდი, მივესალმე, მომესალმნენ:

— ჯემალის გაუმარჯოს!
— როდის ჩამოი?
— დღეს.
— როის მიხვალ?
— აცალეთ, ბიჭო, კაცს ჩამოსვლა მის ქვეყანაში, — შეუკივლა რეზომ.

ქვეყანაშიო?! გამიკვირდა. თურმე, ნუ იტყვით, გურიის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების თაობაზე ჰქონიათ ამხელა დავიდარაბა. ამისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მოაგვარეს „ათის დათლაში“. ჯარი, საზღვარი, ჩაი, ნაბეღლავი, ადესა, ზღვაი, მთაი, კრიმანჭული, მაგნიტიტი, ციტრუსი, ჩაქუხა... ყოლიფერი ქი იყო, მარა რათ გინდა?! ერთი უბრალო რაცხა უშლიდა ხელს — ელჩობისთვის საჭირო რაოდენობის ხალხი ვერ შეაგროვეს. „ნამეტანი ბევრი პატარა ქვეყნებია დუნიაზე, აი დასაწვავიო“, — ჩიოდნენ. ამიტომ საკითხი მერეიზა გადადვეს“.

**თემები — აქტუალური და მრავალპლანიანი, მასშტაბი — საქართველოს საზღვრებს გაცილებული. ზოგიც — ფილოსოფიური განსჯა.**

**გურულები ყველაზე მეტად თავიანთი კუთხის შვილებს დასცინიან. ბატონი ჯემალი იხსენებს:**

„გურულ ფერხულში „მესამე სართულზე“ ყოველ კონცერტზე ერთი და იგივე მოცეკვავე ადიოდა დოლით ხელში. ეს ძნელად შესასრულებელი ილეთია. ვინაიდან გრძელვადიან გასტროლებზე გახლდით აშშ-ში, ვწუხდი — ეს ბიჭი ან ავად არ გახდეს, ან სხვა რამე არ დაემართოს (ცუდისგან ღმერთმა დაიფაროს!), შემცვლელი ხომ უნდა ჰყავდეს-მეთქი. ამიტომ მეორე ტანმორჩილ გურულს ვუთხარი — ხანდახან შეცვალე „მესამე სართულზე“ შენი მეგობარი-თქო. გადაჭრით უარი მტკიცა — მე იმ სიმაღლეზე ვერ ავალ და, თუ ავედი, დიდხანს ვერ გავძლებო.

— ვითომ რატომ? — გავიკვირვე.
— იმიტომ, რომ კახა მქვია.
— აბა, იმას რა ჰქვია?
— რა ჰქვია და ედუარდი“.

**მკითხველის კარგ ხასიათზე მოსაყვანად ეს ორი ჩანართი ხომ გამოვიყენეთ.**

**გამოვიყენეთ.**

**მაშასადამე, უფლება გვაქვს, განვაგრძოთ ქალბატონ ეთერ თათარაიძესთან საუბარი.**

**საინტერესო ამბებზე ილაპარაკებს.**

### „ქართული ლეგენდა“ („ერისიონი“) უბადლო და სწორუპოვარია

— შვიდ ამბად განაწილდა წიგნი „ჯემალ ჭკუასელი. ვინც წაიკითხა, ისე მეუბნება თუ ასე, არ ვიცი, მაგრამ ყველას მოსწონს. მთავარია, მოსწონთ ის, რომ პოულობენ თვითონ ამ ადამიანის ნამდვილ პორტრეტს.

გამოცემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## „კონცერტის შემდეგ წავედით სავახშმოდ. არ იღებს ხმას. არც მე ვიღებ. — ბიჭო, შენი დირიჟორობა მომეწონა. — რა დირიჟორობა მოგეწონა, ხელი არ გამომილია. — ჰოდა, ეგ მომეწონა, რო არ გამოგილია ხელი და არ იდირიჟორეო“

**— შემოქმედებით და ადამიანურ სახეს?**

— მე თავიდანვე ვამბობდი, რომ არ ვაპირებდი მის შემოქმედებით პორტრეტზე მუშაობას. იმიტომ, რომ ეს ეთნომუსიკოლოგების საქმეა, სპეციალისტებმა უნდა გაარკვიონ, რა უნდა შესულიყო, რა არა. ეგ არც ეხება „ქართულ ლეგენდას“. ის („ლეგენდა“) არის უკვე გამართლებული მსოფლიოს თვალში, რადგან ჩვენი ქვეყნის სახელი უკვე გაიტანა დედამიწაზე.

ქართული ფოლკლორი უკიდეგანოა. მავანის კერძო აზრი — ამას გამოვაკლებდი და იმას დავუმატებდი, მაშინ, როცა საქმე წარმატებულია, სრულიად ზედმეტი და არაფრის მომცემი არ არის, ლამპარივით უკან მიდევნებული სურვილები და შენიშვნებია.

**— მაგის ოსტატებიც გვყავს.**

— ეგეთები რომ ვართ, გამოჩნდა კიდეც. არც მინდა გახსენება... თუ ისეთი შედეგით დასრულდა საქმე, როგორითაც „ქართულმა ლეგენდამ“ თავზე გვირგვინი დაიდგა, იქ მარჩიელობა და მჩხიბაობა აღარაფრის მომცემია, რამდენიც გინდა იამბო. „ერისიონმა“ სულ რომ არაფერი ვგონივართ, იმ მსოფლიოს აღიარებინა, რომ ჩვენს პაწაწინა ქვეყანას, ჩვენს ხალხს ასეთი სიღრმისა და ასეთი სიდიდის კულტურა აქვს.

წიგნში ვსაუბრობ ბატონ ჯემალზე — დაბადებიდან მის ხანდაზმულობამდე („ჯერ სიბერემდე ჯვარი სწერია“). ბევრ ახალ ამბავს გაიგებს მის შესახებ მკითხველი: მის ცხოვრებაზე, მის ბავშვობაზე, მის სიყვარულზე, მის სიდიდეზე, ანსამბლში მის მოხვედრაზე, მის მეგობრებზე...

აქ იკვეთება ძალიან ბევრი ჩვენი მოღვაწის პორტრეტები. მათ შორისაა ჯანსუღ კახიძე, რომელიც ყოველთვის გვერდით ედგა; მერაბ ბერძენიშვილი, რომელიც კოსტიუმებს ქმნიდა „ერისიონისთვის“. ყველანი ხედავდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ ძალა მოდიოდა, რომ ამ ადამიანს ჰქონდა ლიდერის, ხელმძღვანელის უნარი.

**ჯემალ ჭკუასელის ახლობელ ადამიანებზე საუბრისას ქალბატონი ეთერი ერთ პიროვნებაზე აკეთებს აქცენტს — გეოლოგ ჯანო გიორგაძეზე:**

— გული მწყდება, რომ აქამდე არც კი ვიცოდი გვარ-სახელი ამ ადამიანის, რომელმაც აიძულა, ამ გზას *(ხელოვანის გზას)* დადგომოდა ჯემალ ჭკუასელი. ჯანო ეკითხება, რა სპეციალობა გაქვსო, აგრონომიო, უპასუხებს ბატონი ჯემალი. — რაის აგრონომიო, ატამი და ვაშლი ერთმანეთისგან ვერ გაგირჩევია. წადი, ბიჭო, მიხედე სიმღერას, წადი იმღერეო!

ზოგჯერ ერთი ფრაზაც აუწონის ადამიანს მთელ ცხოვრებას. ჯანო გიორგაძემ ძალიან სწორად აუწონა და განუსაზღვრა მომავალი ბატონ ჯემალს.

### ციტატა წიგნიდან

„ჯანო კახიძეზე იმდენი მაქვს სალაპარაკო. ქუთაისის ანსამბლი ვართ ბალტიისპირეთში. უცებ ვხედავ აფიშას: მეორე დღეს აქვს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. იმას ჩვენი აფიშა უნახავს. თაიგულები, მე რომ მომართვეს, გავუგზავნე მეშვიდე რიგში, ახლაც მახსოვს, მეშვიდე რიგში იჯდა ჯანო. მიართვით იმას, ვინც მომიტანა-მეთქი. გაგიჟდა: „რა ქენი, ბიჭო, ესაო!“ სად გამომიგზავნეო...

კონცერტის შემდეგ წავედით სავახშმოდ. არ იღებს ხმას. არც მე ვიღებ.

— ბიჭო, შენი დირიჟორობა მომეწონა.

— რა დირიჟორობა მოგეწონა, ხელი არ გამომილია.

— ჰოდა, ეგ მომეწონა, რო არ გამოგილია ხელი და არ იდირიჟორეო...

ჯანო გიორგაძემ მითხრა: ამხელა კაცმა, ჯანო კახიძემ, დაგახასიათა, რომ შეძლებო.

არა, მე მინდა ჩემი სპეციალობითო. რა აგრონომიც ხარ, ბიჭო, ვიცი. ამას წინათ მე გკითხე, რაცხას ჭამდი, რას ჭამო? მითხარი — ვაშლსო. ვხედავ, ატამს ჭამდი... რაის აგრონომი ხარ, ბიჭო შენო...

რას ნიშნავს ერთი კაცი? ხანდახან მთელ სახელმწიფოს, ასეთი იყო ჯანო... (მოსკოვში ტროლეიბუსმა დაარტყა ჯანო გიორგაძეს. რაღაცას კითხულობდა, ტროლეიბუსი ავარდა ტროტუარზე...)“.

არანაირი კონსერვატორია არ აქვს დამთავრებული, მაგრამ უმაღლესი მუსიკალური განათლება მიღებული აქვს ფოლკლორში, რომელიც ყველაზე დიდ კონსერვატორიებს აჭარბებს: მამა ჰყავს **შერმანდი ჭკუასელი**, რომელიც არის სიმონიშვილების, ერქომაიშვილებისა და იმ თაობის გენიალური მომღერლების გვერდით მდგომი ფანტასტიკური მომღერალი. მათი დიდი სკოლა აქვს გავლილი ჯემალ ჭკუასელს, რომელსაც ვერ გაივლი კონსერვატორიაში.

ბატონი ჯემალი არის ძალიან წრფელი მთხრობელი, დაუნდობელი თავის თავისაც კი. ხოლო როცა სიმართლეა, წიგნი უკვე წარმატებული იქნება.

ის არის უკიდეგანო ადამიანი თავის სამეგობრო სივრცეში. იმდენმა ამბავმა მოიყარა აქ თავი, რომლებიც წიგნში არ შესულა, რომ გული მწყდება. უფრო მეტი გამოჩნდება კიდევ, მაგრამ ეგ ბედნიერებაა, მე ვთვლი. მომავალში კიდევ ვინმემ აუცილებლად უნდა გააკეთოს არა მხოლოდ ამ ტიპის წიგნი, არამედ, თუნდაც, მარტო ფოტომასალა, ალბომებად გამოცემული, თავისი მინაწერებით. ეს იქნება დიდი შენაძენი ჩვენი კულტურისთვის და ისტორიისთვის. ეს უმდიდრესი ფოტომასალა ვერ შევიტანეთ წიგნში, ამ გამოცემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

ეს წიგნი ფონდ „ქართული გალობის“ მეექვსე სერიული გამოცემაა. მართლა საინტერესო გამოცემებს ამზადებენ იქ.

**— ბატონ ჯემალს ხომ არ მოეძალა განწყობილება — მე რაც შემეძლო, გავაკეთე, ახლა სხვებმა მიხედონო?**

— არა, პირიქით: ოცნებობს ბავშვივით, რა უნდა გააკეთოს, რა აქვს გასაკეთებელი. წარმოუდგენელი ენერგიის ადამიანია. დაუღალავია. მის ორ-სამ რეპეტიციას დავესწარი და, რაც იქ ვნახე, იქიდან გამომდინარე ვლაპარაკობ.

ამჟამად „ერისიონში“ სიმღერა ჩაიბარა მისმა ვაჟმა, რომელიც წლობით ამ ანსამბლში მოღვაწეობდა, მღეროდა — შერმანდინ ჭკუასელმა (ბაბუის სეხნიაა). მამამ თქვაო: დროებით ედიშერი დაარქვით, ვაითუ შერმანდი არ გამოვიდესო. ეტყობა, იუმორი ამ გვარს თაობიდან თაობაში ბუნებრივად გადაეცემა.



ჯემალ ჭკუასელი თავის იუბილეზე

**წიგნში ვსაუბრობ ბატონ ჯემალზე — დაბადებიდან მის ხანდაზმულობამდე («ჯერ სიბერემდე ჯვარი სწერია»). ბევრ ახალ ამბავს გაიგებს მის შესახებ მკითხველი: მის ცხოვრებაზე, მის ბავშვობაზე, მის სიყვარულზე, მის სიდიდეზე, ანსამბლში მის მოხვედრაზე, მის მეგობრებზე... აქ იკვეთება ძალიან ბევრი ჩვენი მოღვაწის პორტრეტები. მათ შორისაა ჯანსუღ კახიძე, რომელიც ყოველთვის გვერდით ედგა; მერაბ ბერძენიშვილი, რომელიც კოსტიუმებს ქმნიდა «ერისიონისთვის». ყველანი ხედავდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ ძალა მოდიოდა, რომ ამ ადამიანს ჰქონდა ლიდერის, ხელმძღვანელის უნარი**



ვახუშტი კოტეტიშვილი

ეტყობა, გამოუვიდა, რადგან დარჩა შერმანდინად.

„ერისიონის“ წარმატებები (ეს არის პირველი რიგის სათქმელი) ბატონ ჯემალთან ერთად ფანტასტიკური ქორეოგრაფის — რეზო ჭოხონელიძის დამსახურებაც არის. არაჩვეულებრივი ტანდემი იყო. ძალიან ემადლიერება მას ბატონი ჯემალი. ქორეოგრაფიას ამჯერად ჭკუასელების ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი ხელმძღვანელობს — ეკა ჭკუასელი.

**— რამდენ ხანს გაგიგრძელდათ წიგნზე მუშაობა? წელიწადი?**

— მეტი! ეგრე არაფერი გამძნელებია. მე არ უნდა გავცნობოდი იმ მასალას, რომელიც არსებობდა-თქო, სანამ ამას ვაბრალებდი. რაღაცები მზღუდავდა. ზოგჯერ ერთ გზას რომ გავყვებოდი, მერე მივხვდებოდი, რომ ასე არ შეიძლება. არსებულ მასალებს, ყველაფერს წინასწარ რომ არ გავცნობოდი (რამაც შემიშალა ხელი), მაშინ ეგეთი წიგნი შეიძლება ორ თვეში დამემთავრებინა.

თავის თავზე ყველაფერს ყვება ბატონი ჯემალი. საშინელება ხდებოდა, როცა იგი სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელად დანიშნეს. ებრძოდნენ, როგორც ვიცით ქართველებმა, ისე. მანამდე, როცა ქუთაისის ანსამბლის ხელმძღვანელად მიიწვიეს, უცებვე გამოჩნდნენ ავისმოსურნენი. სამი თვე მაინც აცალეთ, რამე რომ გააკეთოსო, შეეწინააღმდეგენ ჭკუადამჯდარნი. სამი თვის მერე იქიდან ვერავინ გამოიყვანსო.

**— ესე იგი, იცოდნენ, რა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის პატრონიც იყო.**

— დიახაც იცოდნენ და კონკურენტის გზიდან ჩამოცილებას ცდილობდნენ... მე მებრძოლი კაცი ვარო, — ამბობს ბატონი ჯემალი. არაფრის მეშინიაო. მაგრამ ძალიან დიდხანს უარს ამბობდა, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს სათავეში რომ ჩადგომოდა. ამავე დროს არგამმეტებელია: გვარ-სახელს არ იტყვის ვინც უხიმანა, ვინც უმტრო იმისას.

თავის ცოლზე უგონოდ შეყვარებულია. ფანტასტიკური ოჯახი აქვს, არაჩვეულებრივი შვილები ჰყავს, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით დახუნძლულია. ღმერთმა კვლავაც ამრავლოს!

გიული ცოლად მეცხრე კლასიდან გაჰყვა ჯემალს. ღვთიური ადამიანია, ქალაქელი გოგო, რომელსაც სოფლის არაფერი გაეგებოდა. შემოდგომაზე პირველად ნაბლის ჩენჩო რომ ჩამოიყრება, დაინახა და ჯემალს დაუძახა: — ჯემალ, მოდი, რამდენი ზღარბიაო.

### ციტატა წიგნიდან

„ერთხელ მესმის ძახილი: დალმართი იყო, ეზოს დაბლა ხევი და იქ იდგა ნაბლის ხე, — ჯემალ, ჯემალ, აქ მოდი, აქ მოდი, რამოდენა ზღარბებიაო.

ჩავედი. სადაა ზღარბები, არ ინძრევიან.

— შენ რომ ხმამაღლა დამიძახე, შეეშინდათ და დაიმალნენ, გაჩერდნენ, — მოვკიდე ერთ ნაბლის ჩენჩოს ხელი და:

— არ მოკიდო, არ მოკიდო, გიჩხვლიტავსო...

გადავაბრუნე ის ჩენჩო და გაიკვირვა, ეს რანაირი ზღარბიაო?!

— როგორი ზღარბია და შვილი გეექცა სადღაც და იმიტომაა ცარიელი.

დამიჯერა, ძალიან გულუბრყვილო იყო“.

თვითონ ამბობს ბატონი ჯემალი, გიული რომ არ მყოლოდა, მე არავინ ვიქნებოდიო...

**— თქვენს ამ წიგნს რა ვერდიქტი გამოუტანა ბატონმა ჯემალმა?**

— მითხრა, რომ ახლა მივხვდი, ვინც ვყოფილვარო. ვითომ ახლა მიხვდა — თვითონ იამბო, ვინ არის: თურმე რა კარგი ბიჭი ყოფილა *(გულიანად ვიცინით).*

**P.S. ამ ინტერვიუს დასკვნით სიტყვად აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნში გამოქვეყნებული წერილის ერთ აბზაცს მოვუხმობდი.**

**„როცა ჯემალ ჭკუასელის შემოქმედებით წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი ქვეყნის — საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტია, ღვთისმოსავია და სამშობლოს მომავალზე მოფიქრალია. ეჭვი არ არის, რომ ჯემალ ჭკუასელი მომავალშიც წარმატებით იღვაწებს ქართული ხელოვნების წინსვლისა და გამარჯვებისათვის“.**

მოვუხმობდი და სწორიც იქნებოდა!

მაგრამ წიგნის ხალისიანი განწყობილების შესანარჩუნებლად ორიოდ სიტყვას დავუმატებ ჯემალ ჭკუასელის იუმორის ზარდახშიდან:

„1982 წლის 10 მარტს თბილისში ახლადშექმნილი ქუთაისის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოვიყვანე. პრემიერა დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ბატონი ედუარდ შევარდნაძეც დაგვესწრო. თან მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები იახლა უკლებლივ.

კონცერტის შემდეგ კულისებში შემოვიდა, მოგვითხრო, რომ ქუთაისის საზოგადოებაც ძალიან კმაყოფილი და გახარებულია, რასაც მთელი გულით გილოცავთო...

შემდეგ მოულოდნელად ჩამეკითხა:

— ჯემალ, სადაური ხარ შენ?

— გურული, — ვუპასუხე ამაყად.

— მთავარი ქორეოგრაფი? *(ჭოხონელიძე)*

— ისიც გურულია.

— მხატვარი მერაბ ბერძენიშვილიც გურულია, ხომ?

— დიახ.

— ქუთაისის ქალაქკომის მდივანი?

— გურული ვარ, — გაკვირვებით უპასუხა ნუგზარ რუხაძემ.

— მეც გურული ვარ და ამ ქუთაისლებს, ნეტა რა უხარიათ? — გულიანად გაიცინა ედუარდ შევარდნაძემ“.

**არმაზ სანებლიძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს ჩვეულებრივი აეროპორტია, მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ასე არ არის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ აეროპორტის მთავარი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი გადის ქალაქის მთავარ ქუჩაზე, და ყოველთვის, როცა თვითმფრინავი უნდა დაფრინდეს, ავტომობილები უნდა გაჩერდნენ და გაატარონ თვითმფრინავი.**

# ყველაზე უჩვეულო და სახიფათო აეროპორტები მსოფლიოში

ფსიქოლოგები ფრენისადმი შიშს ერთ-ერთ რთულ ფსიქოლოგიურ პრობლემად მიიჩნევენ: ზოგიერთს ელეთ-მელეთი ემართება მხოლოდ იმის გაფიქრებაზეც კი, რომ თვითმფრინავში მიუწევს ჩაჯდომა და გაფრენა. ეს შიში ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობად იქცევა ხოლმე და ადამიანებს ხელს უშლის მოგზაურობასა და ულამაზესი ქვეყნების დათვალიერებებში. კვლევების თანახმად, ფრენის შიში ძლიერდება, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოების საკითხებს, მათ შორის, აეროპორტში...
გთავაზობთ სახიფათო აეროპორტების ჩამონათვალს.



## ველინგტონის საერთაშორისო აეროპორტი — ახალი ზელანდია

ამ აეროპორტში დაშვება შეიძლება სახიფათო იყოს იმიტომ, რომ აქ მხოლოდ ერთი ასაფრენ-დასაფრენი ზოლია, თანაც მოკლე, ამ ზოლის ბოლო კი მთავრდება... ზღვაში. ყველაფრის მიუხედავად, აეროპორტი ლამაზ ადგილზეა, ასე რომ ველინგტონის საერთაშორისო აეროპორტს შეიძლება ეწოდოს არა მხოლოდ ერთ-ერთი სახიფათო, არამედ ლამაზიც.



## კანსაის საერთაშორისო აეროპორტი — იაპონია

ხელოვნურ კუნძულ კანსაის სიგრძე 4 კმ-ია, სიგანე — 2,5 და ამბობენ, რომ ის კოსმოსიდანაც კი ჩანს. საინჟინრო თვალსაზრისით, ეს აეროპორტი ყველაზე შთაბეჭდავია მსოფლიოში, მაგრამ ინჟინერიის ეს შედევრი ხშირი მიწისძვრების, მძლავრი ციკლონებისა და არასტაბილური ზღვის ფსკერის გამო ერთ-ერთ სახიფათო აეროპორტად ითვლება მსოფლიოში.



## ბარას საერთაშორისო აეროპორტი — შოტლანდია

ეს მართლაც უნივერსალური აეროპორტია დედამიწაზე, იქ ხომ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ნაცვლად გამოყენებულია პლაჟი, დიახ, პლაჟზე მოწყობილია სამკუთხედის ფორმის 3 ასეფრენ-დასაფრენი ზოლი, რომლებიც ხის ხელებით არის გამიჯნული.



## გისბორნის აეროპორტი — ახალი ზელანდია

ეს ყველაზე უცნაური, უჩვეულო და გიჟური აეროპორტია მსოფლიოში. რატომ? იმიტომ, რომ მთავარი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გასწვრივ გადის რკინიგზის ხაზი. დიახ, რკინიგზის ხაზი, და დისპეტჩერებმა უნდა აკონტროლონ თვითმფრინავების აფრენა-დაფრენა და მატარებლების მიმოსვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინათ რკინიგზის ხაზი დახურეს, ფრენები მაინც ხორციელდება.



## ტენცინგისა და ჰილარის სახელობის აეროპორტი

2010 წელს ტელეარხმა History Channel-მა ეს აეროპორტი მსოფლიოში ყველაზე სახიფათოდ მიიჩნია. ის მდებარეობს 2900 მ-ის სიმაღლეზე, მისი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი კი ერთ მხარეს მთავრდება მაღალი მთით, მეორე მხარეს კი — უფსკრულით.



## გიბრალტარის აეროპორტი

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს ჩვეულებრივი აეროპორტია, მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ასე არ არის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ აეროპორტის მთავარი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი გადის ქალაქის მთავარ ქუჩაზე და ყოველთვის, როცა თვითმფრინავი უნდა დაფრინდეს, ავტომობილები უნდა გაჩერდნენ და გაატარონ თვითმფრინავი.



## მადეირის აეროპორტი — პორტუგალია

კუნძულ მადეირის ამ უჩვეულო საერთაშორისო აეროპორტს აქვს ძალიან მოკლე ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და ეს მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს 2-ჯერ გაადიდეს. ამას გარდა მას ერთი მხრიდან აკრავს მთები, მეორე მხრიდან — ოკეანე. აეროპორტი მსოფლიოში ერთ-ერთ სახიფათოდ ითვლება.



## გუსტავ III-ის სახელობის აეროპორტი — სენტ-ბარტელემი

კარიბის ზღვის აუზში მდებარე საფრანგეთის კუთვნილი კუნძულის აეროპორტს უჩვეულოდ მოკლე ასაფრენ-დასაფრენი ზოლი აქვს და ამიტომ ემსახურება მხოლოდ პატარა თვითმფრინავებს. ზოლი იწყება მთის ფერდობიდან და მთავრდება პლაჟზე.



## აგატის აეროპორტი — ლაქშადვიპი (ინდოეთი)

ეს აეროპორტი ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანით. ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 1219 მ-ია და ისე მოკლეა, რომ სხვა უფრო დიდი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ფრაგმენტს ჰგავს. ეს ერთადერთი აეროპორტია ინდოეთის ტერიტორია ლაქშადვიპისა, რომელიც 36 ეგზოტიკური კუნძულისგან შედგება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ვეამ 2003 წელს დაასრულა კარიერა და მყისვე ჩაერთო პოლიტიკაში. მან მალე გამოაცხადა, რომ სურს თავისი ქვეყნის — ლიბერიის პრეზიდენტობა. 2005 წელს, ათი წლის თავზე, როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ვეამ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხდა მეორეში. დამარცხებული ვეა მაიამიში წავიდა სასწავლებლად. 2014 წელს ის სენატში აირჩიეს და მისი პირდაპირი კონკურენტი იყო მოქმედი პრეზიდენტის ვაჟი. ვეამ ხმების 78% მოაგროვა, 2017 წლის დეკემბერში კი საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 წარმატებული სპორტსმენი, რომლებმაც პოლიტიკაშიც გამოიჩინეს თავი

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვანაირად იწყობენ ცხოვრებას, მაგრამ სპორტის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად მიდიან პოლიტიკაში. ეს გასაკვირი არ არის, რადგან სპორტში მიღწეული წარმატებები მათ ამომრჩეველთა ხმების მოპოვებაში ეხმარება, თუმცა ხელისუფლების ზედა ეშელონებში მხოლოდ ერთეულები თუ ხვდებიან.



## მენი პაკიაო, 40 წლის, ფილიპინები



მოკრივე 1995-2917 წლებში, 2015 წლიდან ფილიპინების პარლამენტის სენატორი.

თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი მოკრივე, კარიერის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე ჩაერთო პოლიტიკაში — 2007 წელს.

პაკიაომ დააარსა ფილიპინების ლიბერალური პარტია, 2010 წელს გაიმარჯვა კონგრესის არჩევნებში. მოგვიანებით კი **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან** (ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, რომელიც საშუალო წონით კატეგორიაში გამოდიოდა) ცნობილი დამარცხების შემდეგ პარლამენტის ზედა პალატის სენატორად აირჩიეს.

მენის აღმერთებენ სამშობლოში, ამიტომ შეიძლება მალე ვიხილოთ პრეზიდენტის პოსტზე.



## რომარიო, 53 წლის, ბრაზილია

რომარიო დე სოუზა ფარია ფეხბურთს თამაშობდა 1979-2009 წლებში. 2015 წლიდან ბრაზილიის პარლამენტის სენატორია.

რომარიომ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა 43 წლისამ დაასრულა, ერთი წლის შემდეგ კი მისი ვარსკვლავი პოლიტიკურ ცის კაბადონზე აკიაფდა. 2010 წელს რომარიო აირჩიეს ეროვნული კონგრესის ქვედა პალატაში ბრაზილიის სოციალისტური პარტიიდან.



## ჯორჯ ვეა, 53 წლის, ლიბერია



ფეხბურთელი 1981-2003 წლებში. 2018 წლის 22 იანვრიდან ლიბერიის პრეზიდენტი.

ეს აფრიკელი ფეხბურთელი თავისი კონტინენტის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წარმომადგენელია, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი — „ოქროს ბურთი" მოიპოვა.

ვეამ 2003 წელს დაასრულა კარიერა და მყისვე ჩაერთო პოლიტიკაში. მან მალე გამოაცხადა, რომ სურს თავისი ქვეყნის — ლიბერიის პრეზიდენტობა. 2005 წელს, ათი წლის თავზე, როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ვეამ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხდა მეორეში. დამარცხებული ვეა მაიამიში წავიდა სასწავლებლად. 2014 წელს ის სენატში აირჩიეს, მისი პირდაპირი კონკურენტი იყო მოქმედი პრეზიდენტის ვაჟი. ვეამ ხმების 78% მოაგროვა, 2017 წლის დეკემბერში კი საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.



## იმრან ხანი, 66 წლის, პაკისტანი

კრიკეტის პროფესიონალი მოთამაშე, 2018 წლიდან — პაკისტანის პრემიერმინისტრი.

პაკისტანური კრიკეტის ლეგენდა (ინდოსტანის ნახევარკუნძულზე სპორტის ეს სახეობა თითქმის რელიგიაა), გული ეროვნული ნაკრებისა, რომელმაც 1992 წელს მსოფლიოს თასი მოიპოვა — ფინალში დაამარცხა ინგლისი.

სპორტიდან წასვლის შემდეგ ხანი პოლიტიკაში ჩაერთო და სათავეში ჩაუდგა პარტია ტეპრიკ-ე-ინსაფს — ამჟამად ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ქვეყანაში. ხანი „თალიბანის" დაუძინებელი მტერი და გავლენიანი ადამიანია პაკისტანში. გამორიცხული არ არის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პაკისტანის პრეზიდენტი გახდეს, 2018 წლიდან კი ქვეყნის პრემიერმინისტრია.





## პალ შმიტი, 77 წლის, უნგრეთი

მოფარიკავე, შემდეგ უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. ეკავა უნგრეთის პრეზიდენტის პოსტი, იყო უნგრეთის პარლამენტის სპიკერი და ევროპარლამენტის ვიცეთავმჯდომარე.



პალ შმიტი პრეზიდენტის პოსტისკენ დიდხანს მიდიოდა. 1968 და 1972 წლებში იყო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. სპორტულ ფარიკაობასთან ერთად სწავლობდა 4 ენას — ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულსა და ინგლისურს. დაამთავრა 2 უმაღლესი სასწავლებელი. მუშაობდა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში, იყო უნგრეთის უდიდესი სტადიონის, „ნეპშტადიონის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შემდეგ — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ელჩი ესპანეთსა და შვეიცარიაში.

2010 წელს (იმხანად 68 წლის იყო) პარტია „ფიდესის" მხარდაჭერით წამოაყენა თავისი კანდიდატურა უნგრეთის პრეზიდენტის პოსტზე. პალ შმიტს ეს პოსტი 2 წლის განმავლობაში ეკავა. მის სადოქტორო დისერტაციაზე ატეხილი სკანდალის გამო 2012 წელს პოსტიდან გადადგა — გაირკვა, რომ მისი ნაშრომი, პრაქტიკულად, ასლი იყო სპორტის ბულგარელი მოღვაწის, ნიკოლაი გეორგიევის, ნაშრომისა.



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# დასავლეთის კაპიტულაცია

**19 ოქტომბერს გერმანული ჟურნალი „შპიგელი“ დაიბეჭდა ყდით, რომელზეც შორს მიმავალი ამერიკული სამხედრო მანქანების ფონზე (კადრი სირიიდან) ეწერა „დასავლეთის კაპიტულაცია“.**

შესაძლოა, ეს ჟურნალისტის მიერ გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ სირიიდან გასვლა ამერიკის არმიისა, რომლის ბაზებიც მყისვე დაიკავეს რუსმა სამხედროებმა, დასავლეთში სწორედ ასე აღიქმება. სამხედრო ბაზაზე მიგდებული ამერიკული დროშა პირდაპირი კაპიტულაცია არ არის, მაგრამ ასეთი სურათი მსოფლიოს არ ახსოვს ვიეტნამის ომის შემდეგ. ბოლო ათწლეულებში ყოველთვის პირიქით იყო — როცა თვითკმაყოფილი ამერიკელი რეინჯერები შედიოდნენ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში. სირიიდან გამოსვლის კვალდაკვალ დაიწყო საუბრები ერაყიდან და ავღანეთიდან ამერიკელების გასვლის შესახებ. როგორც ისტორია გვასწავლის, ასეთ მომენტებში იწყება ჯაჭვური რეაქცია და ერთ კაპიტულაციას მეორე მოჰყვება ხოლმე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**სამხედრო ბაზაზე მიგდებული ამერიკული დროშა პირდაპირი კაპიტულაცია არ არის, მაგრამ ასეთი სურათი მსოფლიოს არ ახსოვს ვიეტნამის ომის შემდეგ. ბოლო ათწლეულებში ყოველთვის პირიქით იყო — როცა თვითკმაყოფილი ამერიკელი რეინჯერები შედიოდნენ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში**






## რაზე მიანიშნებს ხელისუფლების შეცვლა არგენტინაში

**არგენტინაში საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატმა ალბერტო ფერნანდესმა გაიმარჯვა.**

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ არგენტინის ექსპრეზიდენტი **მაურისიო მარკი** არჩევნებში დამარცხდა არა იმიტომ, რომ ორიენტირებული იყო ვაშინგტონზე, არამედ იმიტომ, რომ ატარებდა ნეოლიბერალურ ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას.

მარკი არჩევნების წინ ლაპარაკობდა შეცდომებსა და „მარცხნივ“ გადახრაზე, რაც მოხდა არგენტინაში წინა პრეზიდენტის — **კრისტინა კირშნერის** პერიოდში, მაგრამ საწინააღმდეგო მხარეს გადასვლამ და მემარჯვენე ლიბერალური რეცეპტების პრაქტიკაში გამოყენებამ დადებითი შედეგები ვერ მოიტანა.

**„ძალიან საინტერესო მოვლენები ხდება არა მხოლოდ არგენტინაში, არამედ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც. მემარჯვენე ლიბერალური იდეების გამოყენებას არ მოაქვს ის შედეგები, რომლებიც სურს ხალხს“,** — აღნიშნავენ ექსპერტები.

# მეგობრების მოყვარული, კარგი მეოჯახე, უაღრესად განათლებული, პატრიოტი და თბილისელი «ხულიგანი»



**ცნობილ დიპლომატს, რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფს, საგარეო საქმეთა მინისტრს და შემდეგ პრემიერმინისტრს, თბილისელ ევგენი პრიმაკოვს (უფროსს) 29 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდებოდა. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს მისი შვილიშვილის, ევგენი პრიმაკოვ-უმცროსის, „როსიისკაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან, როგორი კაცი იყო ბაბუამისი. მოდი, ერთად გავიხსენოთ კიდევ ერთი სახელოვანი თბილისელი.**

„...**ევგენი მაქსიმოვიჩი** დაიბადა არა კიევში, არამედ მოსკოვში. მისი მამა რეპრესირებული იყო. ევგენი მაქსიმოვიჩის დედამ — ანამ ბაბუაჩემი თბილისში წაიყვანა. იმხანად ის ძალიან პატარა იყო... დედა შვილს მარტო ზრდიდა, ისინი ლენინგრადის ქუჩაზე მდებარე სახლის კომუნალური ბინის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. იზრდებოდა, როგორც ყველა თბილისელი ბიჭი. შემდეგ შევიდა ვაჟთა სკოლაში პლეხანოვის პროსპექტზე. ომისა და ომის შემდგომი პერიოდის თბილისი ხულიგნების ქალაქი იყო და მათი კომპანიაც საბრძოლო იყო.

როცა ჩვენი ოჯახის წევრები სუფრას მიუსხდებოდნენ, იწყებოდა მოგონებები, ბაბუა ყვებოდა ჩადენილ ანცობებსა და ეშმაკობებზე. სწორედ მაშინ შეამჩნია მან თავისი მომავალი მეუღლე **ლაურა ვასილის ასული ხარაძე.**

ის პროფესიონალი იყო და უამრავ დროს ხარჯავდა სამუშაოზე, რომლითაც სამშობლოს ემსახურებოდა. ეს იყო ყველაზე მთავარი მის ცხოვრებაში... **მას ძალიან უყვარდა ბავშვობის მეგობრები და არც ერთი მათგანი არ დაუკარგავს. სადაც უნდა ემუშავა, რომელი პოსტიც უნდა დაეკავებინა, სახელმწიფო კიბის რომელ საფეხურზეც უნდა ასულიყო, არასოდეს ივიწყებდა მათ, ვისთან ერთადაც გაიზარდა. ბაბუა მასწავლიდა, რომ არსებობს სამი რამ, რომელთა გარეშეც მამაკაცი ვერ იარსებებს. ესენია: ოჯახი, მეგობრები და სამუშაო. და თუ ამ სამიდან რომელიმე ცუდია, მაშინ შენ სრულად არ ხარ შემდგარი...**

ევგენი მაქსიმოვიჩი განსაცვიფრებლად განათლებული კაცი იყო, ყველაფრის მცოდნე, გამგები. ის იყო პატრიოტი, უყვარდა ჩვენი ქვეყანა, მისთვის მთავარი იყო ის, რისი გაკეთება შეეძლო, რომ ქვეყანას უკეთესად ეცხოვრა. თბილისში გაზრდილი კაცი ვერ შეეგუა იმას, რომ ჩვენი სამშობლოს ბევრი ნაწილი უცებ საზღვარგარეთად იქცა. მისთვის ეს მძიმე ტრავმა იყო... ყველაზე მეტად კი ის ვერ იტანდა ანგარებას, ცბიერებასა და ღალატს“.

რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვის** განცხადებით, ევგენი პრიმაკოვის დიპლომატიური სტილის „სავიზიტო ბარათი“ იყო „საოცარი უნარი, მის მიმართ დადებითად განეწყო თანამოსაუბრე“, გამოეძებნა საერთო ენა და მიეღწია კომპრომისისთვის არა მხოლოდ თანამოაზრეებთან, არამედ ოპონენტებთანაც.


ორი ევგენი პრიმაკოვი

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

**ნანა ქიბროწაშვილი**
**ფირმა «იადიგარ დაუდის» დირექტორი**

გთავაზობთ მკურნალობას 40-წლიანი გამოცდილებით და გარანტირებული შედეგით. ვკურნავ:

1. ფუტკრის პროდუქტებით კუჭ-ნაწლავის წყლულებსა და ეროზიებს (სისხლმდენიც), ფაღარათს, ნაღვლის ბუშტს, ელენთას, ჰეპატიტს (არა ვირუსულს), შებერილობას, ბუასილს, ჰაიმორიტს, შარდის შეუკავებლობას, ჭიებს, პროსტატიტს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას; კონტაქტის შიშს, სქესობრივ სისუსტეს, ცისტიტს, პიელონეფრიტს, პირიდან სუნს, კლიმაქსს, ბრონქიტს, წითელ ქარს, სოკოვანს, მარილების წანაზარდებს, საერთო სისუსტეს;
2. სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც: ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, პესიმიზმს, აგრესიას, აკვიატებებს, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, ადამიანი თავისუფლდება ნეგატიური ზემოქმედებისგან.

გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

**მისამართი: წერეთლის 57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №777. ტელ. 599-49-84-23 — ნანა, მიღება წინასწარი ჩაწერით**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894